ლელო

№020 (12 397) 26 იანვარი შაბათი 2008
გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ყაზბეგი ეროვნული ბიბლიოთეკა



დღეს და ხვალ, სპორტის სასახლეში, თბილისის მსოფლიო თასი

# მართლა მსოფლიო თასია, არ გააცდინოთ!

ირაკლი თავაძე

დღეს თბილისის სპორტის სასახლეში ძიუდოისტთა სეზონის პირველი მსოფლიო თასი დაიწყება, რომელიც ამჯერად სალიცენზიო სტატუსისაა. ჩვენი ტურნირის ისტორიაში, ეს 33-ე შეჯიბრებაა და სასიხარულოა, რომ იგი ძველ დიდებას იბრუნებს. ადრე ამ ტურნირს მსოფლიოს არაოფიციალურ ჩემპიონატსაც უწოდებდნენ და იშვიათად მოჭიდავე, აქ არ განათლულიყო.

სამწუხაროდ, ბოლო წლების ძნელბედობები ტურნირსაც შეეხო და ათიოდე წლის წინ რამდენიმე წლით შეწყდა კიდეც. ეს შეჯიბრება სალიცენზიო სტატუსისა 2004 წელსაც გახლდათ და მაშინაც ძლიერი ფალავნები გვესტუმრნენ. კიდევ უფრო სოლიდური შემადგენლობა შეიკრიბა 2005 და 2006 წლებში, მაგრამ აქედანვე შეიძლება ითქვას, რომ წლევანდელი სიძლიერით სამივეს გადააჭარბებს - მასპინძელთა ჩათვლით, ამჯერად ტურნირში 39 ნაკრების 252 ძიუდოისტი იჭიდავებს და რაც ყველაზე სასიხარულოა, მართლაც იმდენად ძლიერი შემადგენლობა შეიკრიბა, როგორსაც წინასწარი განაცხადების მიხედვით ველოდით. მაყურებელი 3 ოლიმპიურ, 5 მსოფლიო და 10-მდე ევროპის ჩემპიონს იხილავს.

აქ შეგნებულად არაფერს ვამბობთ იგივე ტურნირების მედალოსნებზე, რადგან ძალზე გრძელი სია გამოგვივა. ოლიმპიურ ჩემპიონთაგან იაპონელი **მასატო უჩიშიბა** (66), მასპინძელი **ზურაბ ზვიადაური** (90) და მისი გაბერძნებული ბიძაშვილი **ილიას ილიადისი** გამოვლენ, რომელიც ამჯერად 100-ში იჭიდავებს. ოლიმპიურ ჩემპიონთაგან მხოლოდ ბელარუსი **იჰარ მაკარაუ** (100) დაგვაკლდება. შეპირებული მსოფლიო ჩემპიონები უკლებლად იჭიდავებენ - **ირაკლი ცირეკიძე** (90), უნგრელი **აკოშ ბრაუნი** (73), ფრანგი **ფრედერიკ დემონფოკო** (100) და ჰოლანდიელები - **რუბენ ჰოუკესი** (60) და **დენის ფან დერ ხესტი** (+100).

10




# ელენე მერვე ადგილზეა

## დასანანი წაქცევა რომ არა...

გუშინ მოციგურავეთა ევროპის ჩემპიონატზე ქალთა მოკლე პროგრამა გაიმართა, პირველი დღის მერე 18 წლის **ელენე გედევანიშვილი** მერვეა. ელენემ მოკლე პროგრამის შესრულებისთვის მსაჯებისგან 53,43 ქულა დაიმსახურა (ტექნიკური კომპონენტებისთვის - 30,06, ხოლო პროგრამულისთვის - 24,37), რომ არა დასანანი დავარდნა, ელენე მოკლე პროგრამას მეექვსე ადგილზე დაასრულებდა, თუმცა არც ახლა აქვს ყველაფერი დაკარგული - ქართველი სპორტსმენი სულ რაღაც 3,5 ქულით ჩამორჩება ამ დროისთვის მესამე ადგილზე მყოფ ფინელ **ლაურა ლეპისტოს**. ასეთი ჩამორჩენის გაბათილებას თავისუფალ პროგრამაში თავისუფლად შეიძლება.

40 მონაწილეს შორის, ქართველი მოციგურავე ბოლოსწინა ჯგუფში, ბოლოსწინა გამომსვლელი იყო. მან კვლავ ცნობილი „კაბარე" შეასრულა (როგორც შარშან შემოდგომით მსოფლიოს გრან-პრის ეტაპებზე ამერიკასა და იაპონიაში). ელენე მოკლე პროგრამის დასაწყისშივე დავარდა, თუმცა შემდეგ კარგად ისრიალა. შარშან ევროპის ჩემპიონატზე გედევანიშვილმა მერვე ადგილი დაიკავა, არადა მაშინ მოკლე პროგრამა საუკეთესოდ შეასრულა (კარიერის საუკეთესო მაჩვენებელი - 60,19). ახლა ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ისრიალებს დღე „სასიყვარულო ისტორიების" ჰანგებზე. შეგახსენებთ, რომ კარიერაში საუკეთესოდ თავისუფალი პროგრამა მან ტურნირის 2006 წლის ზამთრის ოლიმპიადაზე შეასრულა, სადაც 93,56 ქულა მიიღო და მეათე ადგილზეც გავიდა.

პირველი დღის შემდეგ იტალიელი **კაროლინა კოსტნერი** დაწინაურდა 59,31 ქულით. ის სულ მცირედით უსწრებს ფინელ ლამაზმან **კიირა კორპის** (58,60). მესამეზეც ფინელია, **ლაურა ლეპისტო** - 56,96. შვეიცარიელი **სარა მაიერი** ჯერჯერობით პოდიუმს მიღმაა, მედლებისთვის ბრძოლა თავისუფლად შეუძლიათ უნგრელ ვეტერან **იულია შებეშჩენს** და **ვალენტინა მარკეის**. დღეს თავისუფალი პროგრამა 16 საათზე დაიწყება. ელენე გედევანიშვილი გახსნის ბოლოსწინა ჯგუფს. მონაწილენი ასეთი თანმიმდებრობით გამოვლენ (ბოლო ორი ჯგუფი): ელენე გედევანიშვილი, **იენი იაჰამაა, ანეტ დიტრტი, იენა მაკორკელი, თუგბა კარადემირი, ქსენია დორონინა**, კაროლინა კოსტნერი, ვალენტინა მარკეი, კიირა კორპი, ლაურა ლეპისტო, სარა მაიერი, იულია შებეშჩენი.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ევროპის ჩემპიონატი ფიგურულ ციგურაობაში
21-27 იანვარი, ზაგრები (ხორვატია)

| ქალები. მოკლე პროგრამა |
| --- |
| 1. კაროლინა კოსტნერი (იტალია) - 59,31 |
| 2. კიირა კორპი (ფინეთი) - 58,60 |
| 3. ლაურა ლეპისტო (ფინეთი) - 56,96 |
| 4. სარა მაიერი (შვეიცარია) - 56,44 |
| 5. იულია შებეშჩენი (უნგრეთი) -55,54 |
| 6. ვალენტინა მარკეი (იტალია) - 53,69 |
| 7. იენა მაკორკელი (ბრიტანეთი) - 53,68 |
| **8. ელენე გედევანიშვილი (საქართ.) - 53,43** |
| 9. ანეტ დიტრტი (გერმანია) - 51,99 |
| 10. ქსენია დორონინა (რუსეთი) - 50,93 |




# განუზრახავა მლადაში ისინჯება

## მალე ერთწლიანი კონტრაქტიც გაფორმდებაო...

3

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

ლეგიონერი

# რევიშვილი ტოპმიოლერმა გაახარა

## რუბინიდან იჯარით წასვლა მსურდა, მაგრამ არ გამიშვეს


ნუკრი რევიშვილი

**ნუკრი რევიშვილი** ეროვნულ ნაკრებში დააბრუნეს. კლაუს ტოპმიოლერი ყაზანის „რუბინის" მეკარეს ფავორიტად თვლიდა, ამხანაგურ მატჩებში თავის გამოჩენის საშუალება მისცა და მასაც თავი არ შეურცხვენია. თუმცა შარშან ნუკრი მრავალჯერ დაშავდა და მწვრთნელის ინტერესიც გარკვეულწილად განელდა.

ნუკრი იანვარში ყაზანელებთან ერთად, თურქეთში ემზადებოდა. ეს ეტაპი დასრულდა და ორდღიანი შესვენების დროს, ნუკრი საქართველოში დაბრუნდა. ახალგაზრდა მეკარე გუშინ ისევ თურქეთში უნდა გამგზავრებულიყო. ჩვენც ვისარგებლეთ შეთხვევით და ბოლო დროს წარმოქმნილი კითხვებზე პასუხის მილებას შევეცადეთ.

**- ნუკრი, საკმაოდ დიდი ხნის შესვენების შემდეგ გამოგიძახეს ნაკრებში...**

- ძალიან გამეხარდა, რომ ტოპმიოლერი ისევ მენდო. არადა, გარკვეული პერიოდის განმავლობაში ვფიქრობდი, რომ ალარ ვჭირდებოდი. საბედნიეროდ, ასე არ ყოფილა.

ნაკრებში მიწვევეა ყოველთვის სასიამოვნოა, მით უფრო ახლა. წინა წელი ძალიან ულბლო ალმოჩნდა. ხან ავარიაში მოვყევი, ხან ტრავმების გამო ვერ ვთამაშობდი, მერე ჩემი ბავშვობის მწვრთნელის, თემურ ნადირაძის თავს დალუპვა განვიცადე ძალიან. ტოპმიოლერი თუ მათამაშებს, თავს არ შევირცხვენ. მჯერა, რომ ნაკრების დონეზე თამაში შემიძლია.

**- მიწვევა სასიამოვნოა, მაგრამ შარშანდელი ავარიის შემდეგ, ვარჯიში ახლახანს დაიწყე და როგორც შევიტყვეთ, ბოლოს თავის ტკივილებმაც შეგაწუხა.**

- ღვთის წყალობით, ახლა ყველაფერი კარგადაა და ვარჯიშიც დავიწყე.

**- თავის ტკივილები ალარ გაწუხებს?**

- სერიოზულად არც ამტკიებია.

**- ამის გამო ხომ საერთო ჯგუფში ვარჯიში აგიკრძალეს?**

- მხოლოდ ორი დღე დამასვენეს. ახლა თავს მართლა კარგად ვგრძნობ, არაფერი მაწუხებს. მცირე ტკივილების გამო, ანთალიაში ყურბან ბერდიევმა დამასვენა. საბედნიეროდ თავის ტკივილმა ძალიან მალე გამიარა. ახლა ანთალიაში დავბრუნდები და ჩვეულებრივად ვივარჯიშებ.

**- ბერდიევმა ჩვენთან საუბარში უარყო გავრცელებული ინფორმაცია „რუბინიდან" შენი გაშვების შესახებ. თუმცა კვამლი უცეცხლოდ არ ჩნდება. რეალურად საკითხი ასე მართლა დაისვა?**

- თავად არ სურდათ ჩემი გაშვება, მე ვესაუბრე იჯარაზე.

**- რატომ?**

- რატომ და ორი მეკარე გაუშვეს, ორი ახალი მოიყვანეს და ვიფიქრე, შეიძლება, არ მათამაშონ-მეთქი. მერე ბერდიევს ვესაუბრე, თუ არ მათამაშებდა, დროებით სხვაგან გადასვლა მერჩივნა. მოკლედ, მსგავსი საუბარი იყო, მაგრამ ამაზეც არც იფიქრონ, უარი მითხრა. სხვათაAშორის, მან ლამის მთელი გუნდი ტრანსფერზე დააყენა და მხოლოდ რუსები, ლაშა და მე დაგვტოვა. ორივე ჩემი კონკურენტი გაუშვა, კოლინკოც და ხარჩიკიც. ჩემი გაშვება რომ მოენდომებინა, ნამდვილად არ მომერიდებოდა.

**- ასეთ მდგომარეობაში შეკრებაზე ჩამოსვლამდე ფორმის აღდგენას მოასწრებ?**

- კი რა თქმა უნდა, რადგან უკვე ნელ-ნელა ვვარჯიშობ და მალე ვითამაშებ. მესამე შეკრება ესპანეთშია და იქ საკონტროლო მატჩებშიც ვითამაშებ.

მერაბ მამულაშვილი



ეროვნული ნაკრები. მეტოქე

# სტარკოვის ოცეული

ლატვიასთან 6 თებერვლის მატჩისთვის შემადგენლობა **კლაუს ტოპმიოლერმა** გუშინწინ დაასახელა, გუშინ კი იგივე ლატვიელთა მთავარმა მწვრთნელმა **ალექსანდრ სტარკოვმა** გააკეთა - თბილისური მატჩისთვის ნაკრებში 20 ფეხბურთელი გამოიძახა:

მეკარეები: ალექსანდრ კოლინკო (78 მატჩი ნაკრებში, რუბინი, რუსეთი), ანდრის ვანინსი (10, ვენტსპილსი), დენის რომანოვსი (2, დინამო, რუმინეთი).

მცველები: ოსკარს კლავა (20 მატჩი\1 გოლი, მეტალურგსი), იგორს სტეპანოვსი (94\3, ესბიერგი, დანია), დენის ივანოვსი (15\0, მეტალურგსი), კასპარს გორკსი (13\1, ბლექპული, ინგლისი), ძინტარს ზირნისი (53\0, მეტალურგსი), დენის კასანოვსი (8\0, ვენტსპილსი).

ნახევარმცველები: ალექსეის ვიშნიაკოვსი (26\4, სკონტო), ვიტალის ასტაფიევსი (140\13, სკონტო), იურის ლაიზანსი (89\14, შინიკი, რუსეთი), ანდრეის რუბინსი (91\8, სპარტაკი მ, რუსეთი), იურის ჟიგაიევსი (2\0, რიგა), გენადის სოლონიცინსი (22\1, მეტალურგსი), ალექსანდრს გაუნა (3\0, სკონტო).

თავდამსხმელები: მარის ვერპაკოვსკისი (68\23, ჰაიდუკი, ხორვატია), გირტს კარლსონსი (24\5, უკლუბოდ), ვიტას რიმკუსი (70\10, ვენტსპილსი), ანდრეის პერეპლოტკინსი (3\0, სკონტო).

ლატვიელები 2 თებერვალს რიგაში შეიკრიბებიან და იმავე დღეს მწვრთნელი თანამემამულე ჟურნალისტებისთვის პრესკონფერენციას გამართავს. ბალტიისპირელები 4 თებერვალს გვესტუმრებიან და სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტში" დაბინავდებიან.

დაბოლოს, შეგახსენებთ, რომ დღემდე საქართველოსა და ლატვიის ნაკრებები

ოთხჯერ შეხვედრიან ერთმანეთს, მათ შორის ორჯერ ამხანაგურად. ორი მატჩი საქართველომ მოიგო, ერთი ლატვიამ და ერთიც ფრედ დასრულდა.

დავით ცაბაძე



# ქემოკლიძეს ხაზარში იწვევდნენ?

ბოლო დღეებში გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს, **რევაზ ქემოკლიძე** აზებაიჯანის ერთ-ერთ კლუბში გადასვლას აპირებს. ცხინვალის „სპარტაკის" მცველი, რომელსაც საქართველოს ნაკრებში გამოსვლის გვარიანი გამოცდილება გააჩნია, ინფორმაციას უარყოფს.

*„მოლაპარაკება ერთ-ერთ კლუბთან მართლა მქონდა. უფრო ზუსტად ჩემი სახელით მათ მენეჯერი დაელაპარაკა. როგორც ვიცი, აზერბაიჯანის ჩემპიონი ლენქორანის „ხაზარი" იყო დაინტერესებული. პირობებზე რომ დაიწყო საუბარი, მილიონები ნაღდად არ მომითხოვია, მაგრამ ეტყობა, თავად კიდევ უფრო ნაკლები ჰქონდათ გათვალისწინებული და მოლაპარაკება შეწყდა.*

*აზერბაიჯანში ერთი დღითაც არ ჩავსულვარ და გამიკვირდა, როდესაც დაწერეს, თითქოს „სპარტაკიდან" წავედი. ჯერჯერობით არსად არ წავსულვარ და ისევ ამ გუნდში ვვარჯიშობ." -* გვითხრა ქემოკლიძემ.

ისე უცნაურია, საქართველოს ნაკრებში ნათამაშები ფეხბურთელით საქართველოს ჩემპიონატის არც ერთი ლიდერი რომ არ ინტერესდება. „სპარტაკისადმი" ჩვენი პატივისცემის მიუხედავად, რეზოს კლასის ფეხბურთელი გაცილებით მაღალი დონის კლუბში თამაშს იმსახურებს.

მერაბ მამულაშვილი

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge
24 საათის განმავლობაში
უწყვეტი მომსახურება
ტექნიკური მხარდაჭერა
გარანტირებული ხარისხი
გადაიხადე სახლიდან გაუსვლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!

გახსენი... ყაზბეგი

www.kazbegi.com

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ლეგიონერები

# გაუგებარი არაფერია

## ხიზანიშვილთან მაკლიში და ცქიტიშვილი მიდიან

6 თებერვალს ლატვიასთან ამხანაგური მატჩისთვის კლაუს ტოპმოლერმა არ გამოიძახა ბლექბერნელი ზურაბ ხიზანიშვილი. ევრო 2008-ის შესარჩევის ბოლო შეხვედრაში მწვრთნელმა ის სასტარტოსი არ გაამწესა, ხიზანიშვილმა თამაშამდე ორი დღით ადრე ტრავმსი მომიზეზებით შეკრება დატოვა, მერე კი განაცხადა, სანამ არ ამნიხსნიან, თუ რა მიზეზით არ დამაყენეს თერთმეტეულში, ტოპის განვრთნილ ნაკრებში არ ვითამაშებო. ამის შემდეგ კონფლიქტს პოლიტიკური სარჩულიც დაედო - ზურა მემარჯვენეთა ლიდერის, დავით გამყრელიძის ახლო ნათესავია და გაჩნდა ეჭვი, რომ ამის გამო არ ათამაშეს ლიტვასთან.

**ხიზანიშვილს გუშინ შევეხმიანეთ ინგლისში და პირველ რიგში, ნაკრებში არგამოძახებაზე ჩამოვუგდეთ სიტყვა.**

- ლატვიასთან მატჩისთვის იმისთვის არ გამოძახეს, რაც ლიტვასთან მატჩის პერიოდში მოხდა. მოკლედ, გაუგებარი აქ არაფერია. პირველად ხდება, რომ ტრავმა არ მაქვს და ნაკრებში არ მიძახებენ.

**- ამასობაში „ბლექბერნთან“ კონტრაქტი 2011 წლამდე გააგრძელე. კლუბმა უკეთესი პირობები შემოგთავაზა?**

- კი, ახალი კონტრაქტით უკეთესი პირობები მექნება. „ბლექბერნის“ დაჟინებული თხოვნა იყო, თანამშრომლობა გამეგრძელებინა. ახალი ხელშეკრულებით ძალიან კმაყოფილი ვარ.

**- შესაძლოა, პრემიერლიგაში მალე ერთადერთი ქართველი აღარ იყო - ლევან ცქიტიშვილი „ბირმინგემში“ მოწყობას ცდილობს. ხომ არ გილაპარიაკია მასთან?**

- მას დღეს ველაპარაკე, უკვე მივიდა „ბირმინგემში“. პრემიერლიგაში „ასტონ ვილას“ ვხვდებით, მე ტრავმის გამო ვერ ვითამაშებ, თუმცა ცქიტიშვილი და „ბირმინგემის“ მწვრთნელი ალექს მაკლიში მაინც დაესწრებიან ამ თამაშს და მეც მომინახულებენ. „ბირმინგემი“ შაბათს არ თამაშობს, ტურის მატჩი სამშაბათს უწევს.

**- რა ტრავმა გაქვს?**

- სერიოზული არაფერია, საზარდული ამტკივდა, თუმც ეს იმ ტრავმის რეციდივი არ არის, რომელიც წინა სეზონში მქონდა.

**- მაკლიში შენი მწვრთნელი იყო „რეინჯერსში“ და ცქიტიშვილზე ხომ არ უკითხავს რამე?**

- არა, ასეთი საუბარი არ გვქონია. ცქიტიშვილით თვითონ „ბირმინგემი“ დაინტერესდა ყოველგვარი რეკომენდაციის გარეშე.

**- ცქიტიშვილი კონტრაქტის გასაფორმებლად ჩავიდა „ბირმინგემში“ თუ მაკლიში მას ჯერ ვარჯიშებზე უნდა დააკვირდეს?**

- ზუსტად ვერ გეტყვით. ფაქტია, ცქიტიშვილი ნახევარი სეზონი უგუნდოდაა და ასეთ დროს ძალიან ძნელია ეგრევე კონრაქტის გაფორმება. ისიცაა, რომ დროც ბევრი არ არის - სატრანსფერო ფანჯარა ინგლისში 1 თებერვალს იხურება.

**დავით თავართქილაძე**



გიორგი განუგრავა (მარჯვნივ) პრადეცთან მატჩში



სავარაუდო ტრანსფერი

# განუგრავა მლადაში გადადისო...

"ზესტაფონიდან" და სხვადასხვა ასაკობრივი ნაკრებიდან კარგად გვახსოვს ნახევარმცველი **გიორგი განუგრავა**. მას **გაიოზ დარსაძის** ფორმაციის ეროვნულ გუნდში არაერთი მატჩი აქვს ჩატარებული. განუგრავა ჯერ საბერძნეთსა და კვიპროსზე იმყოფებოდა, იანვრის დასაწყისში კი შვეიცარიული "ბაზელში" გადასვლის შანსიც ჰქონდა. ახლა იგი ისევ კვიპროსზეა, თუმცა ამჯერად უკვე ჩეხურ "მლადასთან" ერთად. მოგეხსენებათ, ბოლესლავის "მლადას" **დუშან უჰრინი-უმცროსი** წვრთნის, თბილისის "დინამოს" თავკაცის ვაჟი.

"მლადას" ოფიციალურ ვებგვერდზე მოპოვებული ცნობების თანახმად, გიორგი განუგრავა უკვე ორ კვირაზე მეტია, რაც ამ გუნდის შემადგენლობაში ვარჯიშობს. იგი ბოლესლაველებს ჯერ კიდევ ჩეხეთში ვარჯიშისას შეუერთდა და ახლა კვიპროსულ შეკრებაზეც თან ახლავს. უფრო მეტიც, განუგრავამ ჩეხურ გუნდში უკვე ორ ამხანაგურ მატჩში მიიღო მონაწილეობა. 12 იანვარს "მლადა" "პრადეცთან" 0:2 დამარცხდა. განუგრავამ ამ შეხვედრაში მეორე ტაიმი სრულად ითამაშა. ბოლესლაველებმა კი ტაიმებში თითო გოლი მიიღეს. მეტსაც გეტყვით, განუგრავას გოლის გატანის შანსიც ჰქონდა, მაგრამ ვერ გამოიყენა.

16 იანვარს "მლადამ" ბოჰემიანსთან" 1:1 ითამაშა. ამ მატჩში განუგრავა უკვე სასტარტო შემადგენლობაში იყო და შესვენების მერე მოედანზე აღარ გამოჩენილა. ბოლესლაველებმა პირველი ტაიმი წააგეს, 67-ე წუთზე კი წონასწორობა აღადგინეს და ეს შეხვედრაც ასე დასრულდა.

24 იანვარს გავრცელებული ცნობით, განუგრავა მალე გააფორმებს კონტრაქტს (მინიმუმ ერთწლიანს) "მლადასთან".

**დავით ცაბაძე**

# კალაძემ შეცდომა აღიარა

"მილანი" **კახა კალაძის** პოზიციაზე მცველს ყიდულობს", "კალაძეს შემცვლელი მოუძებნეს", "კალაძის კონკურენტი პასკუალე იქნება"... ეს და ამგვარი სათაურები ამშვენებდა გუშინ სპორტული სააგენტოების მიერ გავრცელებულ ცნობას, რომლის შინაარსიც ალბათ სათაურიდანაც ცხადი ხდება. "მილანს" მცველის შეძენა აქვს გადაწყვეტილი, ეს ფიორენტინელი **მანუელ პასკუალეა**. მას "ფიორენტინასთან" 2009 წლამდე აკავშირებს კონტრაქტი, მაგრამ ფლორენციელები ფეხბურთელთან ხელშეკრულების გახანგრძლივებას არ აპირებენ.

ბუნებრივია, იკითხავთ, თუ რა არის ამგვარი ინფორმაციების გავრცელების მიზეზი. საქმე ისაა, რომ გუშინწინ ჩემპიონატის მორიგ მატჩში "მილანი" „ატალანტასთან" სტუმრად 1:2 დამარცხდა. კალაძემ მოედანზე 90 წუთი დაჰყო, გაშვებულ გოლში დაადანაშაულეს და გარეჯა 5.5 ქულით შეუფასეს. ნაგების შედეგად "მილანი" მე-10 ადგილზე დაქვეითდა. მართალია, "როსონერის" მეტოქეებზე ორი მატჩით ნაკლები აქვს ჩატარებული, მაგრამ საგანგაშო ისაა, რომ ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის მებრძოლ მონინავე ოთხეულთან **კარლო ანჩელოტის** გუნდს უკვე 10 ქულა აშორებს.

გუშინვე კახამ პრესკონფერენცია გამართა, სადაც რამდენიმე საკითხზე ისაუბრა. აქედან ყველაზე მნიშვნელოვანი ის იყო, რომ ქართველმა აღიარა, „ატალანტასთან" გაშვებული გოლი ჩემი ბრალი იყოო.

**დავით ცაბაძე**

GEO FM 95.1

ავტორადიო თბილისი

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

ლეგიონერები


გოგიტა გოგუა

# გოგუას ფლანგზე უშვებენ

ნალჩიკის „სპარტაკი“ ისევ თურქეთში გაემგზავრა სეზონისწინა მოსამზადებელ შეკრებაზე. გამგზავრების წინა დღეს „სპარტაკის“ Mმთავარმა მწვრთნელმა **იური კრასნოჟანმა** პრესკონფერენცია გამართა, სადაც ტრანსფერებსა და საქართველოს ნაკრების ნახევარმცველ **გოგიტა გოგუას** მომავალ ფუნქციებზეც ისაუბრა:

*„ჩვენ გვსურს გოგიტა გოგუას შეძენა. მისი ტრანსფერის საკითხი უახლოეს დღეებში უნდა გადაწყდეს. მის დაყენებას მარცხენა ფლანგზე ვაპირებ. გოგუა სპეციფიური ფეხბურთელია. გოგიტას საუკეთესო სათამაშო თვისებები გააჩნია და კოლექტივის ინტერესებისთვის უნდა გამოვიყენოთ.“*

გოგუა ნალჩიკში ჯერ კიდევ ორი წლის წინათ დააყენეს ფლანგზე და ახლა, ეტყობა, მარცხნივ მუდმივი ადგილიც მოუძებნეს. თუმცა მისთვის ეს უცხო არაა, საქართველოს ნაკრებშიც უთამაშია სხვადასხვა პოზიციაზე, მარჯვნივ, მარცხნივ, ცენტრში და დაცვაშიც კი.

თურქეთში ნალჩიკის „სპარტაკი“ პოლტავის „ვორსკლას“ დაუპირისპირდება, სადაც **ლაშა ჯაკობია** გადავიდა.

**მერაბ მამულაშვილი**

# იენა თასზე ონიანის გარეშე

**გიორგი ონიანის**, გიორგი სეთურიძის და ილია კანდელაკის „კარლ ცაისი“ თურქული ბელეკიდან შინ დაბრუნდა და სეზონის განახლებისთვის მზადებას აგრძელებს.

ადრეც გაუწყეთ, რომ ბელეკში ონიანი დაშავდა და როცა გუშინ მას იენაში დავურეკეთ, გვითხრა, ფეხზე სურათი გადავიღე, კუნთი განყვეტილი არ აღმოჩნდა და მეორე დღეა, ინდივიდუალურად, მსუბუქად ვვარჯიშობ, სავარაუდოდ, ერთ კვირაში დავიწყებ სრული დატვირთვით ვარჯიშსო.

30 იანვარს იენელები გერმანიის თასის მერვედფინალში ბუნდესლიგურ „არმინიას“ მასპინძლობენ და ალბათ ონიანის გარეშე მოუწევთ თამაში. მეორე ბუნდესლიგის მეორე წრის პირველ შეხვედრა კი „კარლ ცაისს“ 4 თებერვალს აქვს „ალემანიასთან“.



გიორგი ონიანი

ბელეკში იენელებმა სამი მატჩი ითამაშეს: „კოტბუსს“ 2:1 მოუგეს, „სენტ გალენს“ 1:0, ხოლო კიევის „არსენალთან“ 1:2 წააგეს. გერმანიაში დაბრუნებული „კარლ ცაისი“ ბუნდესლიგურ „ვოლფსბურგს“ გაეჯიბრა და 3:4 დამარცხდა. ამ შეხვედრებში კანდელაკი და ახლად გამოჯანმრთელებული სეთურიძე მინიმუმ ერთ ტაიმს სულ თამაშობდნენ.

**დავით თავართქილაძე**

## კობიმ როდრიგესი გააცილა

**გუშინ** გადაჭედილმა „ფელტინს არენამ“ „შალკედან“ **დარიო როდრიგესი** გააცილა. ვეტერანმა ურუგვაელმა „ხუმარათა“ რიგებში ხუთნახევარი წელიწადი გაატარა. მის დასაფასებლად „შალკესა“ და შვეიცარიული „ბაზელის“ ამხანაგური მატჩი გაიმართა.

თამაში გელზენკირხენელებმა 1:0 მოიგეს ჯერალდ ასამოას მიერ 44-ე წუთზე გატანილი გოლით. **ლევან კობიაშვილი** მოედანზე 65-ე წუთზე შევიდა ფაბიან ერნსტის ნაცვლად და საყრდენი ნახევარმცველის ფუნქციები შეასრულა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

## ყველა თეთრაძესთან

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ორი წევრი **რევაზ ბარაბაძე** და **გიორგი ნავალოვსკი** თურქეთში იმყოფებიან, სადაც რუსეთის პირველი დივიზიონის კლუბ „ანჟიში“ სინჯებს გადიან. ქართველებმა „ზარიასთან“ ამხანაგურ მატჩშიც მიიღეს მონაწილეობა, რომელიც 0:0 დასრულდა. ამ შეხვედრაში **ომარ თეთრაძის** გუნდში სასტარტოში იყვნენ **ვალერი აბრამიძე**, **მიხეილ აშვეთია** და რევაზ ბარაბაძე, ხოლო მეორე ტაიმში შევიდა **რევაზ ჯიქია**, რომელმაც ბარაბაძე შეცვალა. ჯიქია და ნავალოვსკი „ოლიმპის“ ფეხბურთელები არიან, ბარაბაძე კი ბოლოს „კარლ ცაისში“ირიცხებოდა, თუმცა იქიდან ისე გამოუშვეს მეორე ბუნდესლიგაში ერთხელაც არ უთამაშია. ამხანაგურ მატჩში არ უთამაშიათ **გოჩა ხოჯავას** (კბილის ტკივილი) და **ზურაბ არზიანს** (მცირე ტრავმა).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# ბომბარდირებში დემეტრაძე და გიგიაძე არიან

## ერთი პოკერი დემეტრაძისაა

**გუშინ** უკრაინელმა სტატისტიკოსებმა საინტერესო მასალა გაავრცელეს - ქვეყნის ჩემპიონატის ტოპბომბარდირები დაასახელეს, აგრეთვე პოკერისა და ყველაზე სწრაფი გოლის ავტორები. ასევე დაითვალეს, ვის უფრო მეტ უკრაინულ კლუბში უთამაშია. საინტერესო კი ეს მონაცემები იმითაა, რომ მასში სამი ქართველი ფეხბურთელია დასახელებული – **გიორგი დემეტრაძე, ვასილ გიგიაძე** და **ავთანდილ კაპანაძე**.

დემეტრაძე და გიგიაძე უკრაინის ჩემპიონატების ბომბარდირებში მოხვდნენ. 53-53 გოლით ისინი 23-24-ე ადგილებს იყოფენ. მათ თითო გოლით უსწრებენ **ბონდარენკო** და **ბრანდაუ**. მათ ზემოთ, მე-20 ადგილზე 58 გოლით "ტავრიას" ყოფილი ფეხბურთელი ავთანდილ კაპანაძეა.

დაბოლოს, დემეტრაძე კიდევ ერთ ნომინაციაშია ნახსენები. უკრაინის ჩემპიონატში 7 ფეხბურთელს აქვს შესრულებული პოკერი, მათგან ერთ-ერთი ქართველი ფორვარდია - მან კიევის "დინამოში" ასპარეზობისას მოახერხა 4 გოლის გატანა.


ვასილ გიგიაძე 19)


გიორგი დემეტრაძე

# მოდებაძემ ისევ ითამაშა

## მისი ბედი მალე გაირკვევა

**პერმის** „ამკარში“ კვლავ ითამაშა **ირაკლი მოდებაძემ**. გუშინ რუსებმა ბელექში საკონტროლო შეხვედრა პოლონეთის „ზაგლებიესთან“ გამართეს და 1:0 მოიგეს. ქართველ თავდამსხმელს ამჯერად თავი არ გამოუჩენია, მაგრამ ძირითად შემადგენლობაში ითამაშა და მეორე ტაიმში შეცვალეს.

ამჯერად მისმა კონკურენტმა, ასევე გასასინჯად მყოფმა **ნიკიტა სატალკინმა** გამოირჩა. მის გარდა, პერმელთა ჩერნიგორიელმა მწვრთნელმა **დრაგან ბოჟოვიჩმა** სერბი **მილოვანოვიჩი** მიიწვია გუნდში. პერმელები კიდევ ორ საკონტროლო შეხვედრას უკრაინულ გუნდებთან გამართავენ და ირაკლი მოდებაძის ბედიც ამის შემდეგ გაირკვევა.

**მერაბ მამულაშვილი**


ირაკლი მოდებაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა


ვალტერ ნოველინო


ფრანჩესკო გვიდოლინი


დელიო როსი

იტალია. სერია A. XX ტურის წინ

# მწვრთნელთა ტრიო კვლავ რისკის ქვეშ

## იუვენტუსი ბუფონის გარეშე. მილანისთვის სან სიროს ჯადო მოხსნილია?

| დღეს |
| --- |
| სამპდორია-სიენა |
| რომა-პალერმო |

| ხვალ |
| --- |
| ატალანტა-რეჯინა |
| კალიარი-ნაპოლი |
| კატანია-პარმა |
| ემპოლი-ფიორენტინა |
| მილანი-ჯენოა |
| ტორინო-ლაციო |
| უდინეზე-ინტერი |
| ლივორნო-იუვენტუსი |

სერია A ახალ წრეზე ნავიდა. დღეს იტალიის ჩემპიონატი ეკვატორს გადალახავს. შაბათის პირველი მატჩი "სამპდორია"-"სიენაა". გასულ ტურში ორივე გუნდმა მნიშვნელოვანი ქულები მოიპოვა. გენუელებმა "იუვენტუსთან" გასვლაზე საპატიო ფრეს მიაღწიეს, ტოსკანელებმა კი პალერმოში 3:2 მოიგეს. ამ ეტაპზე ისინი სხვადასხვა ამოცანას ნყვეტენ. "სამპი" უეფას ზონაში მოხვედრას ცდილობს, "სიენამ" კი გავარდნა უნდა აიცილოს თავიდან. ცხრილში არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, არ არსებობს მატჩი, განსაკუთრებული მნიშვნელობა არ ჰქონდეს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ისიც, თუ რით ხვდებიან მეტოქეები კონკრეტულ მატჩს. "სამპდორიას" ტრავმირებულთა რიცხვს ნახევარმცველი **პაოლო სამარკოც** დაემატა. ამას გარდა, დისკვალიფიცირებულია არგენტინელი მცველი **უგო კამპანიარო**. "სიენა" საბრძოლო შემადგენლობითაა. **მარიო ბერეტა**, ჯერჯერობით, ვერ ახერხებს "ლევანტედან" მოყვანილი **კრისტიან რიგანოს** დაყენებას. ვეტერან ფორვარდს ტრავმა აწუხებს.

ძალიან საინტერესო თამაშია "რომა"-"პალერმო". ამ უკანასკნელს ბოლო სამი მატჩიდან ორი ნაგებული აქვს. ასე რომ, **ფრანჩესკო გვიდოლინმა** სასწრაფოდ რაღაც უნდა ილონოს, თორემ პრეზიდენტი **მაურიციო ძამპარინი** ბევრს ველარ მოითმენს. რომაული ვოიაჟისთვის "პალერმოს" არ ეყოლება მცველი **მარიო პიზანო**. "ჯალოროსის" დისკვალიფიცირებული **დანიელე დე როსი** დააკლდება, სამაგიეროდ, ავადმყოფობის შემდეგ მწყობრში ბრუნდებიან **ფრანჩესკო ტოტი** და **სიმონე პეროტა**. გავიხსენოთ, რომ შარშან "რომამ" სიცილიელებს შინ 4:0 მოუგო.

კვირის მატჩებიდან გამოვყოფთ "უდინეზესა" და "ინტერის" დაპირისპირებას. ბედმა ისე ინება, რომ პირველი და მეორე წრის გასაყარზე უდინელებს ზედიზედ ორი მატჩის ჩატარება უწევთ მილანურ გრანდებთან. ერთი კვირის წინ "მილანმა" "ფრიულიზე" 1:0 მოიგო. ახლა საინტერესოა, როგორ გაუმასპინძლდება "უდინეზე" "ინტერს" (შარშან 0:0), რომელსაც ჯერ არც ერთი შეხვედრა არ წაუგია. მასპინძლებს განელი ფორვარდი **გიან ასამოა** და ნახევარმცველი **ჯამპიერო პინცი** დააკლდებიან. გაცილებით სერიოზულია "ნერაძურის" დანაკლისი: **ლუიშ ფიგუ, ოლივიე დაკური, ვალტერ სამუელი** და **დავიდ სუასო** კვლავ ტრავმებს იშუშებენ.

მეორე მილანური გრანდის მეტოქე კი "ჯენოაა", რომელიც არავისთვისაა იოლი ლუკმა. "მილანმა" პირველი საშინაო მატჩი ორი კვირის წინ, "ნაპოლისთან" მოიგო (5:2). შესაძლოა, ამით "როსონერის" შინაური კედლების "ჯადო მოეხსნას". თუმცა შუა კვირის ბერგამოულმა მარცხმა (1:2 გამოტოვებულ მატჩში) კიდევ ერთხელ დააყენა საკითხი: ხომ არ გაუჭირდება **კარლო ანჩელოტის** გუნდს ჩემპიონთა ლიგის ზონაში მოხვედრა? კვლავ ტრავმირებულები არიან მეკარე **ნელსონ დიდა, მარეკ იანკულოვსკი, სერჟინიო** და **ფილიპო ინძაგი**. რაც შეეხება "ჯენოას", **ჯამპიერო გასპერინი** ვერ დაიხმარს ცენტრალურ მცველ **დომენიკო კრიშიტოს**, რომელიც დისკვალიფიცირებულია.

ტოსკანურ დერბიში "ემპოლი" "ფიორენტინას" მიიღებს. მასპინძელთან მწვრთნელ **ალბერტო მალეზანისთვის** ეს იქნება შეხვედრა ნარსულთან, ანუ კლუბთან, რომელსაც ის 90-ანი ნლების ბოლოს ნვრთნიდა. შარშან, "იებმა" "კარლო კასტელანიზე" 2:1 მოიგეს. კვირას კი ორივე გუნდი საბრძოლო შემადგენლობით იქნება.

"ატალანტა" "რეჯინას" მიიღებს და აქვს შანსი, ზედიზედ მეორე საშინაო მატჩი მოიგოს, რაც იმას ნიშნავს, რომ უეფას ზონაში ყოფნას კიდევ ერთი კვირით გაიხანგრძლივებს. "ატლეტი აძურიზე" შარშანდელი მატჩი 1:1 მორჩა. ხვალინდელი შეხვედრისთვის ბერგამოელებს არ ეყოლებათ არგენტინელი ცენტრალური მცველი **ლეანდრო ტალამონტი**. "რეჯინას" დისკვალიფიცირებული ჰყავს შემტევი ნახევარმცველი **ფრანჩესკო კოცა**. ფლეიმეიქერ **ჯანლუკა ვიჯანისა** და ფორვარდ **ნიკოლა ამორუზოს** კი ტრავმები აქვთ. შესაბამისად, "ატალანტა" უდავო ფავორიტია.

ბოლო ხანებში "კატანია" მნიშვნელოვან ქულებს აგროვებს. "პარმამაც" თითქოს მოუმატა, რისი ნათელი დასტურიცაა კვირას, "ინტერის" წინააღმდეგ გადატანილი ბრძოლაა. უკვე ყველამ აღიარა, რომ ლიდერს ის პენალტი არ ეკუთვნოდა, ეს კი გვაძლევს საფუძველს, ვთქვათ, რომ "პარმას" ქულები "მოპარეს". "კატანიასთან" მატჩს **დომენიკო დი კარლოს** გუნდი დისკვალიფიცირებული **ფერნანდო კოუტუსა** და ტრავმირებული **ანდრეა დესენას** გარეშე ხვდება. მოსალოდნელია, **ბერნარდო კორადის** თავდასხმაში ახალნვეული **კრისტიან ლუკარელი** შეუწყვილდება. სიცილიელებს კი დისკვალიფიცირებული ჰყავთ მარჯვენა მცველი **ჯენარო სარდო**.

"ტორინო"-"ლაციო" არის მატჩი, რომელშიც ორივე გუნდის მწვრთნელი რისკავს. არ არის გამორიცხული, **ვალტერ ნოველინოს** ან **დელიო როსის** შესაძლო მარცხი დროებით უმუშევრობად დაუჯდეთ. "ტოროს" ორადორი მოგება აქვს ჩემპიონატში, ისევე, როგორც ნყალნალებულ "კალიარის". ძალიან მცირეა შანსი, განმეორდეს შარშანდელი ტურინული მატჩი, რომელიც "ლაციომ" 4:0 მოიგო. მწვრთნელების მდგომარეობას მწვავე საკადრო კრიზისიც ართულებს. ძირითადი შემადგენლობიდან "ტორინოს" ტრავმირებული **ალვარო რეკობა, ფრანჩესკო კომოტო** და **ნიკოლა ვენტოლა** აკლია. ამას ემატება ნახევარდაცვის ბურჯის **ეუჯენიო კორინის** დისკვალიფიკაციაც. სასჯელები არ აკლიათ რომაელებსაც: ცენტრალური მცველი **გილერმო სტენდარდო** სამმატჩიან დისკვალიფიკაციას მოიხდის, საყრდენი ნახევარმცველი **მასიმო მუტარელი** კი ერთ თამაშს გამოტოვებს. ამას გარდა, **ფაბიო ფირმანი, ლუჩანო ძაური, სტივენ მაკინვა** და **მურად მეგნი** ჯერაც ექიმთა მეთვალყურეობის ქვეშ არიან.

"კალიარიმ" სერია A-ს პირველ ტურში "ნაპოლი" სტუმრად დაამარცხა (2:0) და გუნდი, რომელსაც იმთავითვე გავარდნის უპირველეს კანდიდატად თვლიდნენ, ლამის ნინასნარ მონათლეს ჩემპიონატის აღმოჩენად. მერე როგორც ნავიდა საქმე, კარგად იცით და ახლა სარდინიელები იმ ადგილას არიან, რომელსაც იმსახურებენ. **დავიდე ბალარდინის**, თუ შეიძლება ასე ითქვას, საბრძოლო შემადგენლობა ჰყავს, "ნაპოლის" კი ნახევარმცველი **მანუელე ბლაზი** (დისკვალიფიკაცია) აკლია.

"იუვენტუსმა" ჩემპიონატი სწორედ "ლივორნოსთან" შთამბეჭდავი გამარჯვებით (5:1) დაიწყო. ახლა **კლაუდიო რანიერის** გუნდს თითქოს მცირე ჩავარდნა აქვს. 2008 ნლის პირველ ორ ტურში "სინიორამ" 4 ქულა დაკარგა, რამაც "იუვეს" ტიფოზები კიდევ ერთხელ დაარნმუნა იმაში, რომ ამ სეზონის მაქსიმუმი მეორე ადგილი და ჩემპიონთა ლიგის ავტომატური საგზურია. ჯერაც ტრავმა აქვს **მაურო კამორანეზის**, ალბათ კიდევ სამი კვირა გაუცდება **ჯორჯო კიელინის**, ხოლო რაც შეეხება **მარკო მარკიონის**, რომელიც ოთხშაბათს "ინტერთან" სათასო მატჩში დაშავდა, შესაძლოა აპრილამდე არ მოუნიოს მოედანზე დაბრუნება. ბოლოს კი გუშინ გვიან გავრცელებული ინფორმაციის თაობაზეც. აღმოჩნდა, რომ **ჯანლუიჯი ბუფონს** ზურგის ძველმა ტრავმამ შეახსენა თავი და თითქმის 100 პროცენტითაა გარკვეული, რომ ამ მიზეზით ის "არმანდო პიკის" დაპირისპირებას გამოაკლდება.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
| --- | --- | --- | --- | --- | --- | --- |
| 1. ინტერი | 19 | 15 | 4 | 0 | 43-13 | 49 |
| 2. რომა | 19 | 12 | 6 | 1 | 37-19 | 42 |
| 3. იუვენტუსი | 19 | 10 | 7 | 2 | 36-16 | 37 |
| 4. ფიორენტინა | 19 | 9 | 7 | 3 | 30-18 | 34 |
| 5. უდინეზე | 19 | 9 | 5 | 5 | 23-22 | 32 |
| 6. ატალანტა | 19 | 6 | 7 | 6 | 27-26 | 25 |
| 7. სამპდორია | 19 | 7 | 4 | 8 | 25-24 | 25 |
| 8. პალერმო | 19 | 6 | 7 | 6 | 27-33 | 25 |
| 9. ჯენოა | 19 | 6 | 7 | 6 | 20-25 | 25 |
| 10. მილანი | 17 | 6 | 6 | 5 | 28-16 | 24 |
| 11. ნაპოლი | 19 | 6 | 6 | 7 | 29-29 | 24 |
| 12. კატანია | 19 | 5 | 7 | 7 | 18-22 | 22 |
| 13. ლივორნო | 18 | 5 | 6 | 7 | 22-28 | 21 |
| 14. ლაციო | 19 | 4 | 7 | 8 | 22-29 | 19 |
| 15. პარმა | 19 | 4 | 6 | 9 | 22-29 | 18 |
| 16. ტორინო | 19 | 2 | 11 | 6 | 17-24 | 17 |
| 17. სიენა | 19 | 3 | 8 | 8 | 22-30 | 17 |
| 18. რეჯინა | 18 | 3 | 8 | 7 | 15-26 | 17 |
| 19. ემპოლი | 19 | 3 | 7 | 9 | 15-26 | 16 |
| 20. კალიარი | 19 | 2 | 4 | 13 | 13-36 | 10 |

მოსალოდნელი დანიშვნა

# ჰიტცფელდი შვეიცარიის ნაკრებში?

**ოტმარ ჰიტცფელდი** "ბაიერნს" სეზონის დასრულებისთანავე დატოვებს. ცნობილია ისიც, რომ მას **იურგენ კლინსმანი** შეცვლის. მაგრამ უცნობი იყო, რას აპირებდა სახელგანთქმული გერმანელი სპეციალისტი მიუნხენიდან აბარგების შემდეგ. გუშინ "ზუდოიჩე ცაიტუნგმა" ჰერ ოტმარის ინტერვიუ გამოაქვეყნა. ჰიტცფელდი არ მალავს, რომ ევროპის ჩემპიონატის შემდეგ სიამოვნებით იმუშავებდა შვეიცარიის ნაკრების მთავარ მწვრთნელად: *"ეროვნული გუნდის მსოფლიო ჩემპიონატისათვის მომზადება ზუსტად ის სამუშაოა, რომელსაც პენსიაში გასვლის წინ ვინატრებ. ვიცი, რომ შვეიცარიაში ფეხბურთმა საგრძნობი პროგრესი განიცადა. ამიტომ ნაკრებისაგან ბევრს ელიან, მაგრამ ვფიქრობ, ამ ნნეხის გაძლება ჩემს შესაძლებლობებს არ აღემატება."* ორიოდე თვის წინ ჰიტცფელდმა თქვა, რომ მას შვეიცარიის ფეხბურთის ფედერაციიდან შეეხმიანნენ და ნაკრებში მუშაობა შესთავაზეს. გუნდის დღევანდელ თავკაც **კობი კუნს** კონტრაქტი ევროპის ჩემპიონატის შემდეგ უმთავრდება.

ჰიტცფელდის კარიერა მჭიდროდაა დაკავშირებული შვეიცარიასთან. მას ფეხბურთის თამაშს შვეიცარიაში დაანება თავი ("ლუცერნში" 1982 ნელს) და მწვრთნელობაც იქვე დაიწყო ("ცუგში" 1982 ნელს). ჰერ ოტმარი გერმანიაში მხოლოდ რვა ნლის შემდეგ გადაბარგდა და დორტმუნდის "ბორუსია" ჩაიბარა. დორტმუნდში გატარებული ექვსი სეზონის შემდეგ, 1998 ნელს ის "ბაიერნში" გადავიდა და იქაც ექვსი სეზონი გაატარა. ჰიტცფელდი მიუნხენში შარშან დაბრუნდა, თუმცა ამ სეზონის შემდეგ საბოლოოდ გამოეთხოვება გუნდს.


ოტმარ ჰიტცფელდი

გამოძიება

# ტიგანა პოლიციაში

## ფრანგები რამდენიმე საეჭვო ტრანსფერს იძიებენ...

"მონაკოსა" და "ფულჰემის" ყოფილი თავკაცი **ჟან ტიგანა** მარსელის პოლიციაში გამოიძახეს. მისმა დაკითხვამ რამდენიმე საათს გასტანა. ფრანგული სააგენტოების ცნობით, სამართალდამცველები ბოლო ნლებში განხორციელებული საეჭვო ტრანსფერებით დაინტერესდნენ. ტიგანასთან გასაუბრებაც ამიტომ გახდა საჭირო. მოსიე ჟანი ეჭვმიტანილი არ არის, ყოველ შემთხვევაში, ასეთი ინფორმაცია არავის გაუვრცელებია. ის მონმის სტატუსით დაიკითხა. პროცედურის დასრულებისთანავე, ტიგანამ პოლიციის შენობა უკომენტაროდ დატოვა.

რამდენიმე დღის ნინ კიდევ ორი პიროვნება დაიკითხა. ფიფას სერბი აგენტი **რანკო სტოიჩი** და კიდევ ერთი აგენტი **რიშარ ბეტონი**, რომელსაც ფიფას ლიცენზია არ გააჩნია, მაგრამ საფრანგეთის ლიგაში საკმაოდ გავლენიანია. პოლიციამ გამოძიება 2005 ნელს დაინყო და მას შემდეგ ექვს გარიგებაზე მიიტანა ეჭვი. სამართალდამცველები ფიქრობენ, რომ ამ ტრანსფერებისას ფულის გათეთრება მოხდა, ვილაცას ზედმეტი მოუთვალეს, ვილაცამ კი სახელმნიფოს გადასახადი დაუმალა.

ფრანგი მიმომხილველებისათვის ცნობილია მინიმუმ ორი ტრანსფერი, რომლის კანონიერებაში პოლიციელებს ეჭვი ეპარებათ. ერთი **ჯიბრილ სისეს** ტრანსფერია "ოსერიდან" "ლივერპულში". გარიგება 2004 ნელს შედგა. ინგლისელებმა იმხანად კლუბისათვის სარეკორდო თანხა, 14 მილიონი გირვანქა გადაიხადეს. ტრანსფერში რიშარ ბეტონი მონანილეობდა. მის სახელს უკავშირდება კიდევ ერთი საეჭვო გარიგება, რომლიც შედეგად 2005 ნელს "ოსერიდან" "ნიცაში" **მარტინ ჯეტუ** გაიყიდა.

რაც შეეხება ტიგანას, ის მზადაა, საკუთარი უდანაშაულობა სასამართლოში დაამტკიცოს. 2004 ნელს "ფულჰემიდან" დათხოვნის შემდეგ მას კლუბს უჩივლა და სოლიდური კომპენსაცია მიითვალა. სასამართლომ ის ბრალდებებიც შეისნავლა, რომელიც ფრანგ სპეციალისტს "ფულჰემის" მფლობელმა, **მოჰამედ ალ ფაიედმა** ნაუყენა. ფეხბურთელებში გადახდილი გადაჭარბებული თანხებიდან ტიგანა ნილს ილებდაო, თქვა ეგვიპტელმა მილიარდერმა. სასამართლომ ტიგანას მოლვანეობაში საეჭვო ვერაფერი ნახა და მას ბრალდებები მოუხსნა.


ჟან ტიგანა

ინტერვიუ კრისტიან ვიერისთან

# მომავალ მეუღლეს დისკოთეკაზე ვერ მოვძებნი...

## ვიერი თავის მემკვიდრეს ჯერჯერობით ვერ ხედავს

**ამასწინათ, კრისტიან ვიერიმ თავისი სანუკვარი ოცნება გაამხილა. "ბობოს", თურმე, ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე თამაში სურს. მაგრამ სურვილი ერთია და შესაძლებლობა კი მეორე. სადღეისო ვითარებით, ვიერის ძალიან მცირე შანსი აქვს, შეიძლება ითქვას, არც აქვს. რობერტო დონადონი მას ყურადღებას არ აქცევს და არც გაემტყუნება. კრისტიანი იშვიათად ხვდება "ფიორენტინის" ძირითადში, შესაბამისად, გოლებიც იშვიათად გააქვს. ამიტომ, "სკუადრა აძურას" დამრიგებელი აქცენტს სხვა ფორვარდებზე აკეთებს. მაგრამ სეზონის უმნიშვნელოვანესი გოლი ვიერიმ უკვე გაიტანა: გასულ შაბათს 11-მეტრიანის ნიშნულიდან მან "ტორინოს" მეკარე დაამწუხრა და სერია A-ში მე-200 გოლი მიითვალა. სწორედ ეს გახდა ვიერისა და "გაძეტა დელო სპორტის" კორესპონდენტის შეხვედრის მიზეზი. აი, ეს ინტერვიუც...**

**- 200 გოლი და მხოლოდ ერთი სკუდეტო...**

- ცოტაა არა? გეთანხმებით, მაგრამ არ დაგავიწყდეთ, რომ ბოლო ტურებში ორი სკუდეტო მაქვს დაკარგული. 5 მაისის კოშმარი, რომელიც "ინტერში" ყოფნისას გადამხდა თავს, არასოდეს დამავიწყდება. ბოლო ტურში "ლაციოსთან" 4:2 წავაგეთ და, ფაქტობრივად, განაღდებული ჩემპიონობა დავთმეთ. "ნერაძურიში" 6 წელი გავატარე და უნდა ვაღიარო, რომ ის გუნდი დღევანდელთან ახლოსაც ვერ მივა. მაშინ "იუვენტუსი" იყო ყველაზე ძლიერი. "ინტერს" კი "მილანიც" სჯობდა...

**- "იუვენტუსი" ძლიერი იყო, მაგრამ ლუჩანო მოჯის სისტემა? ამის წყალობით იყო ძლიერი?**

- არა, "იუვე" ძლიერი იყო იმიტომ, რომ უკეთესი ფეხბურთელები ჰყავდა. დღეს "ინტერი" დაუმარცხებელია იმიტომ, რომ "იუვენტუსი" სერია B-ში აღმოჩნდა და იძულებული გახდა, ზოგიერთ ვარსკვლავზე უარი ეთქვა. რომ არა ის ყბადაღებული "კალჩოპოლის" სკანდალი, ვიერა და იბრაჰიმოვიჩი დღემდე ტურინში იქნებოდნენ, "იუვე" კი ტიტულების მოგროვებას გააგრძელებდა.

**- რას უპასუხებ იმათ, ვინც თვლის, რომ ვიერი, როგორც ფეხბურთელი, უკვე დამთავრებულია?**

- გაიხსენეთ, ბევრი ამბობდა, რომ აღარ დავბრუნდებოდი, რომ დავკარგე მოტივაცია და უსაშველოდ მოვიმატე წონაში... ისე, ზედმეტი წონის ამბავი სიმართლესთან ახლოსაა. მაგრამ წლებმა, რომელიც ფეხბურთში გავატარე, ერთი ჭეშმარიტება მასწავლა: კრიტიკაზე რეაგირება გაბრაზებით ან ჟურნალისტებთან გაბუტვით უნდა მოახდინო, უბრალოდ, უნდა გააგრძელო სვლა არჩეული მიმართულებით და აუცილებლად მიხვალ დასახულ მიზნამდე. აგერ ახლაც, სადღაც ერთი თვის წინ, პრესა წერდა - რონალდომ, როგორც ფეხბურთელმა, შესაძლებლობები ამოწურაო. მაგრამ ნახეთ, ახლა როგორ აქებენ. დაბრუნდა ტრავმის შემდეგ და პირველსავე მატჩში ორი გოლი გაიტანა. კიდევ ერთი მაგალითი: ჟურნალისტებმა ჩამოწერეს ადრიანოც, რომელიც სულ რაღაც 25 წლისაა.

**- რომელია შენს კარიერაში ყველაზე ლამაზი გოლი?**

- პირველი გოლი ჩემპიონატში, რომელიც "ჯენოას" გავუტანე.

**- ...და ყველაზე მნიშვნელოვანი?**

- გოლი, რომელიც "ატალანტაში" ყოფნისას თითქმის მოედნის ცენტრიდან გავიტანე. მანამდე მთელი წელი მქონდა გაცდენილი. იმ დარტყმამ კვლავ დამიბრუნა საკუთარ ძალებში რწმენა. დღეს თუ რამეს წარმოვადგენ, არ ვაჭარბებ, გარკვეული დოზით იმ გოლის წყალობაცაა.

**- მაგრამ ფეხბურთს ბევრი უსიამოვნებაც ახლავს...**

- რა თქმა უნდა, და მით უმეტეს მაშინ, როცა ზოგჯერ ტრავმირებულსაც გიწევს თამაში. პირველ ინტერულ სეზონში სამჯერ მივიღე ერთი და იგივე ტრავმა. კლუბის ხელმძღვანელობამ რეჟიმის დარღვევაშიც კი დამადანაშაულა, თითქოს ის ტრავმები ღამის კლუბებში სიარულის ბრალი ყოფილიყოს. სინამდვილეში კი, მოურჩენელი მუხლით არ უნდა მეთამაშა ძირითად შემადგენლობაში. მიახლოებითაც ვერ გეტყვით, რამდენიმე გამაყუჩებელი ინექცია მაქვს გაკეთებული. ეს ყოველთვის თამაშის დაწყების წინ ხდებოდა... და სხვათა შორის, არა მხოლოდ "ინტერში"...

**- სპორტულ მედიცინაში რომ დღემდე პრობლემებია, ამას აღარავინ უარყოფს...**

- დღეს ექიმებს შეუძლიათ, სწრაფად გაგიყვანონ მოედანზე, მაგრამ საკითხავია, რის ფასად. ჩემს ახალგაზრდა კოლეგებს ვურჩევდი, ეყოთ ვაჟკაცობა და თქვან - არა, დღეს არ ვითამაშებ! სწორედ ასე შეძლებენ ისინი კარიერის გახანგრძლივებას, თუნდაც ერთი-ორი წლით.

**- შეუძლია "ფიორენტინას" ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება?**

- ეს გუნდის მთავარი ამოცანაცაა და ჩემიც. ამ ბრძოლაში ჩვენი კონკურენტები "იუვენტუსი" და "მილანი" იქნებიან. ისე, მილანელების უფრო მეშინია, რატომღაც...

**- ესე იგი, თვლით, რომ სკუდეტოსთვის ბრძოლა ილუზიაა...**

- რა თქმა უნდა. ელემენტარულია: დღეს "ინტერს", "რომასა" და "მილანს" 10-15 ვარსკვლავი ჰყავთ შემადგენლობაში. ჩვენ კი გრძელვადიანი პროექტი გვაქვს. პირდაპირ გეტყვით, აღფრთოვანებული ვარ ჩეზარე პრანდელის მოთმინების უნარით. მიმაჩნია, რომ "ფიორენტინამ" არჩეულ კურსს არ უნდა გადაუხვიოს, რადგან ახალგაზრდებზე გათვლა აბსოლუტურად გამართლებულია.

**- ვინ იყო ბავშვობაში შენი კუმირი?**

- ვცდილობდი, ვიალისა და მანჩინისთვის მიმებაძა. ყმაწვილობაში სწორედ ისინი მაძლევდნენ სტიმულს.

**- ...და ყველაზე უხერხული მცველი, ვის წინააღმდეგაც გითამაშია?**

- ჯერ იყო ვერხოვოდი, მერე მალდინი...

**- ვინ შეიძლება გახდეს ვიერის მემკვიდრე?**

- სამწუხაროდ, შესაფერის კანდიდატურას ვერ ვხედავ, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით...

**- რას იტყოდი მუტუზე?**

- ის უნიკალურია. ადრიანს აქვს ძალა, ტალანტი, ინდივიდუალიზმი... და ყველაზე მთავარი: გოლები!

**- როგორ შეაფასებდი პაცინის პერსპექტივებს?**

- მისი დრო აუცილებლად მოვა. ცოტა მოთმინებაა საჭირო. ფეხბურთში ეს მნიშვნელოვანია.

**- არბიტრებთან დაკავშირებით ატეხილ აჟიოტაჟზე რას იტყვი?**

- მახსოვს, გასულ ზაფხულს ყველა მიესალმებოდა კოლინას დანიშვნას სამსაჯო კორპუსის კურატორად. ჩემი აზრით, ის კარგად მუშაობს, მაგრამ პრობლემა ისაა, რომ თავად კოლინა აღარ მსაჯობს.

**- ნაკრებში დაბრუნებაზე კიდევ ოცნებობ?**

- თუ დონადონი დამიძახებს, ჩინებული იქნება, თუ არა და, არდადეგებზე წავალ.

**- როდის აპირებ კარიერის დასრულებას?**

- ოო, ჯერ ძალიან ახალგაზრდა ვარ (იცინის).

**- და ოჯახი? არ მოვიდა დრო, ოჯახის შექმნასა და შვილზე იფიქრო?**

- ამ მომენტისთვის ჩემი პასუხი უარყოფითია. მომავალ მეუღლეს დისკოთეკაზე ვერ მოვძებნი...




ერთი კვირის წინ. კრისტიან ვიერის გააქვს მე-200 გოლი

## ინგლისი გერმანიის წინააღმდეგ

19 ნოემბერს ინგლისის ნაკრები გერმანიას ეწვევა და მასპინძლებთან ამხანაგურ მატჩს გამართავს. შეხვედრას ბერლინი უმასპინძლებს. ინგლისელებს ბერლინში 1972 წლის ევროპის ჩემპიონატის შემდეგ არ უთამაშიათ. იმდროინდელი დაპირისპირება უგოლოდ დასრულდა. ინგლისი გერმანიაში უკანასკნელად 2001 წელს ჩავიდა. მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი მასპინძლებისათვის ფიასკოთი დასრულდა: ბუნდესგუნდმა მიუნხენში 1:5 წააგო. ძველმა მეტოქეებმა უკანასკნელი თამაში შარშან 22 აგვისტოს ჩაატარეს. ამხანაგურ მატჩს "უემბლიმ" უმასპინძლა. გერმანელებმა 2:1 გაიმარჯვეს.

## ებუეს იტალიაში უხმეს

ინგლისური სააგენტოების ცნობით, "არსენალის" განაპირა მცველ **ემანუელ ებუეს** იტალიაში ეპატიჟებიან. ფეხბურთელის შეძენა "მილანსა" და "იუვენტუსს", თუმცა ამ საკითხზე ოფიციალური კომენტარი არავის გაუკეთებია. ებუემ "სქაი სპორტსს" განუცხადა, რომ სეზონის დასრულებამდე არსად წასვლას არ აპირებს. შემდეგ კი შეთავაზებებს გულდასმით გაეცნობა. ებუე კოტდივუარელია. 24 წლის ფეხბურთელი ლონდონში 2005 წელს, ბელგიური "ბევერენიდან" გადაიყვანეს. მას ეროვნულ ნაკრებში 16 მატჩი აქვს ჩატარებული.

## ვუდგეიტი ტოტენჰემსაც მოუნდა

"ტოტენჰემმა" "მიდლსბროს" ცენტრალური მცველის, **ჯონათან ვუდგეიტის** შეძენა გადაწყვიტა. ამ ინფორმაციას "თაიმსი" ავრცელებს. ერთი დღით ადრე ვუდგეიტით დაინტერესება გამოთქვა "ნიუკასლმა". რივერსაიდელი ფეხბურთელი 11 მილიონ გირვანქადაა შეფასებული. "ტოტენჰემის" ამბიციები ამით არ ამოიწურება. მას "მიდლსბროს" კიდევ ორი მოთამაშე სურს: ნახევარმცველები, **სტიუარტ დაუნინგი** და **ადამ ჯონსონი**. აქვე გეტყვით, რომ "მამლები" "რეინჯერსთანაც" აწარმოებენ მოლაპარაკებებს და მას **პასკალ შიმბონდას ალან ჰატონში** გაცვლას სთავაზობენ. ეს ფეხბურთელები მარჯვენა მცველები არიან.

## კვარეშმა: 28 მილიონად რეალში

ზაფხულის ტრანსფერებისას "რეალი" რიკარდო კვარეშმას შეძენას გეგმავს. "პორტუს" გარემარბს ერთმანეთზე უკეთესი ვარიანტები აქვს. მას "ლივერპული", "ჩელსი", "ინტერი" და "იუვენტუსი" აკვირდებიან. 24 წლის კვარეშმა 28 მილიონი ევრო ღირს. "დიარიო სპორტის" ცნობით, მადრიდელები მზად არიან, ეს თანხა გადაიხადონ. ცოტა ხნის წინ პორტუმ სრულად გამოისყიდა რიკარდოს სატრანსფერო უფლებები. ფეხბურთელს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, სეზონის ბოლოს უცხოურ კლუბს მიაშუროს.

## სევილია: ხიმენესს დათხოვნა ემუქრება, თუ...

ესპანური სააგენტოების ცნობით, თუ "სევილია" ესპანეთის ჩემპიონატს ოთხეულში არ დაასრულებს, ან თუ გუნდი მინიმუმ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში ვერ გავა, მთავარი მწვრთნელ **მანოლო ხიმენესს** კარისაკენ მიუთითებენ. სპეკულაციების თანახმად, ანდალუსიელებს მისი შემცვლელიც შეგულებული ჰყავთ. სევილიელთა ფავორიტია "ესპანიოლის" მთავარი მწვრთნელი **ერნესტო ვალვერდეს**. ალტერნატიულ ვარიანტად რასინგელი მარსელინიო განიხილება.

## სიტიმ უმცროსი მანჩინი მიიწვია

"მანჩესტერ სიტიმ" სინჯებზე მიიწვია "ინტერის" თავკაც **რობერტო მანჩინის** 17 წლის ვაჟი **ფილიპო მანჩინი**. ის ინგლისში ორ კვირას გაატარებს და თუ **სვენ გორან ერიქსონს** თავს მოაწონებს, მამამისს მაშინვე ტრანსფერზე დაელაპარაკებიან. მანჩინი-უმცროსი, რობერტოს მსგავსად, შემტევი ნახევარმცველია. ის "ინტერში" ირიცხება. გასულ უქმეებზე "ნერაძურის" დამრიგებელმა შვილი პირველად შეიყვანა გუნდის განაცხადში. ფილიპო მანჩინი ამბობს, რომ მისი კერპია "მანჩესტერ იუნაიტედის" ვარსკვლავი **კრისტიანო რონალდო**.

## მეხუთე ამერიკელი ფულჰემში

"ფულჰემმა" ამერიკელი თავდამსხმელი **ედი ჯონსონი** შეიძინა. 23 წლის ფეხბურთელმა ლონდონელებმა სამწლინახევრიანი კონტრაქტი გააფორმა. იმის გამო, რომ ის ამერიკის ნაკრებში სტაბილურად ასპარეზობს (31 მატჩი, 11 გოლი), ჯონსონს დაუყოვნებლივ მისცეს სამუშაო ვიზა. უცნობია, რა თანხა გადაუხადა "ფულჰემმა" ჯონსონის ყოფილ კლუბს, "კანზას სიტი ვიზარდსს". ედი "ფულჰემში" მეხუთე ამერიკელი ლეგიონერია. ის გუნდი თანამემამულე **ბრაიან მაკბრაიდს** შეცვლის. მაკბრაიდი დაშავებულია. მისი გამოჯანმრთელების თარიღი არ არის ცნობილი. ჯონსონისა და მაკბრაიდის გარდა, ლონდლონელებს **კეისი კელერი, კარლოს ბოკანეგრა** და **კლინტ დემპსი** ჰყავთ.

## ვერდერი კრასიჩს იწვევს

"ვერდერი" იმედს არ კარგავს, რომ მოსკოვის ცსკას ნახევარმცველ **მილოშ კრასიჩს** ჩაიგდებს ხელში. რუსული სააგენტოების ცნობით, ბრემენელებმა 23 წლის ფეხბურთელის სანაცვლოდ 6 მილიონ ევრო გაამზადეს. მოსკოველები კი 10 მილიონს ითხოვენ. ეს თანხა ოთხჯერ აღემატება კრასიჩის სანაცვლოდ გადახდილ ფულს. ის სამწლინახევრის წინ შეიძინეს. "ვერდერი" მილოშს "სან პაულუში" განათხოვრებული **კარლოს ალბერტოს** შემცვლელად მოიაზრებს.

## სომხეთში პოულსენი მივიდა

სომხეთის ნაკრების მთავარ მწვრთნელად დანიელი **იან პოულსენი** დაინიშნა. ის გუნდს ორი წლის განმავლობაში უხელმძღვანელებს. პოულსენი მსოფლიოს გარშემო მოგზაურობს. მისი უკანასკნელი სამუშაო სინგაპურის ნაკრების დამრიგებლის პოსტი გახლდათ. პოულსენი ინგლისელ **ტომ ჯოუნსს** შეცვლის. ჯოუნსი ამ თანამდებობაზე დროებით, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის დასრულებამდე დაინიშნა. მან თანამემამულე **იან პორტერფილდი** შეცვალა. ეს უკანასკნელი ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შედეგად, გასულ ზაფხულს გარდაიცვალა.

## ქეროლი დერბიში მივიდა

"მანჩესტერ იუნაიტედის" ყოფილი მეკარე **როი ქეროლი** "დერბი ქაუნთიში" გადავიდა. პრემიერლიგის მაჩანჩალა კლუბმა ყველაზე აქტიური სატრანსფერო კამპანია ჩაატარა, თუმცა ახალი ფეხბურთელები დერბელთა შედეგებს ჯერ არ ეტყობა. მათ მყარად უკავიათ ცხრილში უკანასკნელი საფეხური და გავარდნისაგან მხოლოდ იღბალი და მონდომება თუ გადაარჩენთ. ქეროლთან გაფორმებული კონტრაქტის დეტალები უცნობია.

## ირანში კლემენტე დაინიშნა

**ხავიერ კლემენტე** ირანის ნაკრების მთავარ მწვრთნელად დაინიშნა. ესპანელ სპეციალისტს სამწლიანი კონტრაქტი გაუფორმეს. მას ყოველთვიურად 30 ათას ევროს გადაუხდიან. კლემენტეს გუნდის მსოფლიოს ჩემპიონატზე გაყვანა დაევალება. მწვრთნელი ის ირანში არ იცხოვრებს. ის დროის ნახევარზე მეტს ესპანეთში გაატარებს და ირანს მხოლოდ სამსახურებრივი მივლინებებით ეწვევა ხოლმე. სენიორ ხავიერი სერბეთის ნაკრებში ყოფნის დროსაც ასე მუშაობდა, თუმცა მისი სერბული კარიერა საკმაოდ უფერული და ხანმოკლე აღმოჩნდა. სერბები ევროპის ჩემპიონატზე ვერ გავიდნენ, რის გამოც ესპანელისათვის კონტრაქტის გაგრძელება აღარ შეუთავაზებიათ. რაც შეეხებათ ირანელებს, ისინი აზიის თასის გათამაშების შემდეგ უმწვრთნელოდ არიან. კლემენტეს დებიუტი 6 თებერვალს თეირანში, სირიასთან მატჩში შედგება. ამ თამაშით ირანი მუნდიალის შესარჩევ ტურნირს იწყებს. სირიის გარდა, მის ჯგუფში ქუვეითი და არაბთა გაერთიანებული საემიროები არიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი. XXI ტურის წინ

# ვინ გაიტანს ბარსელონელთა გოლს?

## ტურის უმთავრესი მატჩი ბერნაბეუზე...



ფრანკ რაიკაარდს ბასკეთში ლიდერების გარეშე მოუწევს ფონს გასვლა

პრიმერა დივიზიონის მორიგ ტურში ყველაზე დიდ ინტერესს, რა თქმა უნდა, "რეალისა" და "ვილიარეალის" დაპირისპირება იწვევს. მადრიდული გრანდი შედარებით უფრო დასვენებულია. მოგეხსენებათ, **ბერნდ შუსტერის** ბიჭები სამეფო თასის გათამაშებას გამოეთიშნენ. "ვილიარეალი" კი ხუთშაბათს "ბარსელონას" დაუპირისპირდა და გვარიანადაც დაიღალა. ტურის ცენტრალური შეხვედრის წინ შუსტერს **კრისტოფ მეტცელდერი, არიენ რობენი და რობერტო სოლდადო** დაუბრუნდნენ. პარასკევის ვარჯიში მათ სრული დატვირთვით ჩაატარეს. შესაძლოა, ჰერ ბერნდმა თანამემამულე მეტცელდერი ძირითად შემადგენლობაში დააყენოს. მოგეხსენებათ, **პეპეს** ტრავმა აწუხებს. გუშინდელი ინფორმაციით, **სერხიო რამოსმა** კოჭის მიკროტრავმა მიიღო. მადრიდელი ექიმები იმედოვნებენ, რომ ახალგაზრდა მცველს საკვირაო შეხვედრის წინ ფეხზე დააყენებენ და თამაშის გამოტოვება არ მოუწევს.

"ვილიარეალის" მთავარი მწვრთნელი, **მანუელ პელეგრინი** არ მალავს, რომ "ბარსელონასთან" პაექრობამ მის შეგირდებს დიდი ენერგია წაართვა. ამის გამო, ჩილელმა სპეციალისტმა პარასკევის ვარჯიში ჩაშალა. მისი აზრით, ფეხბურთელებს საპასუხისმგებლო შეხვედრის წინ დასვენება უფრო არგებდათ, ვიდრე ვარჯიში. კასტელეონელების ბანაკიდან გამოჟონილი ინფორმაციის თანახმად, **რობერ პირესი** მარჯვენა მუხლს იტკიებს. თუ ფრანგი ნახევარმცველი "ბერნაბეუზე" გასვლას ვერ მოახერხებს, "ვილიარეალი" სერიოზული პრობლემის წინაშე დადგება.

**ხავიერ აგირემ** პელეგრინის მსგავსად პაასკევის ვარჯიში გააუქმა. მექსიკელი სპეციალისტი არ მალავს, რომ ძირითადი შემადგენლობის ბიჭები უკიდურესად დაღლილები არიან. "ატლეტიკომ" გასულ ოთხშაბათს "მესტალიაზე" "ვალენსიასთან" სათასო შეხვედრა წააგო. როგორც ჩანს, დედაქალაქელებმა იმ პაექრობას დიდი ენერგია შეალიეს. ყოველ შემთხვევაში, აგირე აცხადებს, რომ "მალიორკასთან" გასვლით მატჩში ძირითადად კანტერის ბიჭებს დაეყრდნობა. გამორიცხული არ არის, ეს მექსიკელი სპეციალისტის ერთგვარი ფანდი იყოს.

დიდი მოლოდინის მიუხედავად, **რონალდინიო** ამ ტურშიც არ დაბრუნდება. ბრაზილიელი ინტენსიურად ემზადება. კატალონიელები გვარწმუნებენ, რომ გაუჩო მომავალ კვირაში აბსოლუტურად მზად იქნება და მთელი ბრწყინვალებით დაბრუნდება. თუ გავითვალისწინებთ, რომ **ფრანკ რაიკაარდს** ბასკეთში **სამუელ ეტოოც** არ ეყოლება, მივხვდებით, რომ "ბარსას" "სან მამესზე" საკმაოდ რთული დაპირისპირების გამართვა მოუწევს. დრო გადის, მაგრამ პრობლემები პრობლემებად რჩება. კატალონიურ გრანდს გასვლით მატჩებში გოლების გატანა უჭირს. მით უმეტეს მაშინ, როცა ეტოო მოედანზე არ არის. მოსალოდნელია, რომ **ლიონელ მესი** ძირითად შემადგენლობაში ითამაშებს...

**დღეს**

სევილია-ოსასუნა

**ხვალ**

რასინგი-სარაგოსა
მურსია-ლევანტე
ვალენსია-ალმერია
დეპორტივო-ვალიადოლიდი
ესპანიოლი-ბეტისი
რეკრეატივო-ხეტაფე
მალიორკა-ატლეტიკო
ბილბაო-ბარსელონა
რეალი-ვილიარეალი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 20 | 16 | 2 | 2 | 43-14 | 50 |
| 2. ბარსელონა | 20 | 13 | 4 | 3 | 39-13 | 43 |
| 3. ვილიარეალი | 20 | 12 | 2 | 6 | 37-30 | 38 |
| 4. ატლეტიკო | 20 | 11 | 4 | 5 | 35-21 | 37 |
| 5. ესპანიოლი | 20 | 10 | 6 | 4 | 30-22 | 36 |
| 6. რასინგი | 20 | 9 | 5 | 6 | 20-20 | 32 |
| 7. ვალიადოლ. | 20 | 7 | 6 | 7 | 29-29 | 27 |
| 8. ვალენსია | 20 | 8 | 3 | 9 | 22-32 | 27 |
| 9. სევილია | 20 | 8 | 2 | 10 | 37-28 | 26 |
| 10. ალმერია | 20 | 7 | 5 | 8 | 17-21 | 26 |
| 11. სარაგოსა | 20 | 6 | 7 | 7 | 32-33 | 25 |
| 12. ხეტაფე | 20 | 7 | 3 | 10 | 24-29 | 24 |
| 13. მალიორკა | 20 | 5 | 8 | 7 | 30-33 | 23 |
| 14. ოსასუნა | 20 | 6 | 5 | 9 | 22-25 | 23 |
| 15. ბილბაო | 20 | 5 | 7 | 8 | 18-21 | 22 |
| 16. ბეტისი | 20 | 5 | 7 | 8 | 21-29 | 22 |
| 17. რეკრეატივო | 20 | 5 | 7 | 8 | 16-25 | 22 |
| 18. მურსია | 20 | 5 | 7 | 8 | 17-27 | 22 |
| 19. დეპორტივო | 20 | 4 | 5 | 11 | 19-32 | 17 |
| 20. ლევანტე | 20 | 2 | 3 | 15 | 13-37 | 9 |

ჩელსი. ტრანსფერები

# ალონსო რაიტ-ფილიპსის ნაცვლად?

## არისტოკრატებმა ამაური მოიკითხეს...

"ჩელსის" გარემარბ **შონ რაიტ-ფილიპსს** "ლივერპული" ეპატიუება. ამ ინფორმაციას "ტელეგრაფი" ავრცელებს. მერსისაიდელებს თავდასხმის გაძლიერება სურთ. ლონდონელებს სანაცვლოდ ესპანელ ნახევარმცველ **ჩაბი ალონსოს** შესთავაზებენო, წერს პოპულარული გამოცემა. რაიტ-ფილიპსი საუცხოო სეზონს ატარებს. მიმომხილველებს მისი აზარგება არარეალურად ეჩვენებათ.

"არისტოკრატებმა" "პალერმოს" თავდამსხმელ **ამაურის** დაადგეს თვალი. ბრაზილიელი ფეხბურთელი რამდენიმე თვეში იტალიის მოქალაქე გახდება. მას უცხოელი ფეხბურთელების კვოტა აღარ შეეხება, ეს კი ტრანსფერს გაუადვილებს. "კორიერე დელო სპორტის" ცნობით, "ჩელსიმ" სიცილიელებს 15 მილიონი გირვანქა შესთავაზა. მოსალოდნელ ტრანსფერთან დაკავშირებით ოფიციალური კომენტარები არ გაკეთებულა.

კიდევ ერთი ინფორმაცია, რომელიც ლონდონელ ფეხბურთელებს ეხება. აფრიკის ერთა თასზე ნიგერიისა და კოტ დივუარის (0:1) მატჩში **სალომონ კალუმ ჯონ ობი მიკელი** დააშავა. ეს ფეხბურთელები "ჩელსის" წევრები არიან. კოტდივუარელმა თავდამსხმელმა ბოდიშის მოხდა ზედმეტად მიიჩნია: *"მიკელი ცენტრს აკონტროლებდა და ხელს გვიშლიდა. მე მას ვაგრძნობინე, თუ ვინ იყო მინდვრის ბატონ-პატრონი. ჩვენ მეგობრები ვართ, მაგრამ 90 წუთის განმავლობაში მტრები ვიყავით. რაც შეეხება ინციდენტს, მიკელმა იცის, რომ ის განზრახ არ დამიშავებია."* ნიგერიის ნაკრების სამედიცინო შტაბი იუწყება, რომ ფეხბურთელის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და რომ ის მომდევნო მატჩში აუცილებლად ითამაშებს.



შონ რაიტ ფილიპსი

არგენტინა

# პეკინისათვის მზადება დაიწყო

## რიკელმე და მასკერანო ოლიმპიადაზე მიდიან...

არგენტინის ნაკრები ოლიმპიადისათვის მზადებას იწყებს. სწორედ ასეთი დასკვნა გააკეთეს არგენტინელმა მიმომხილველებმა, როცა "ალბისელესტეს" შემადგენლობას გაეცნენ. თებერვლის დასაწყისში არგენტინა ლოს ანჯელესში გაემგზავრება და გვატემალასთან ამხანაგურ მატჩს გამართავს. **ალფიო ბასილეს** 18 ფეხბურთელი გამოიძახა. თითქმის ყველა მათგანი 23 წელზე ახალგაზრდაა. ხნიერთაგან **ხუან რომან რიკელმე** და **ხავიერ მასკერანო** გამოირჩევა. რიკელმემ თავად სთხოვა ოლიმპიური ნაკრების ხელმძღვანელობას, ის პეკინში წაიყვანონ. შესაძლოა, ოლიმპიურ თამაშებზე ვიხილოთ ლივერპულელი მასკერანოც. ის 2004 წლის ოლიმპიადის გამარჯვებულია. არგენტინა ოთხი წლის წინ მოპოვებული ტიტულის დაცვას აპირებს. ამიტომ მომდევნო ამხანაგურ შეხვედრებს ტურნირისათვის უკეთ მოსამზადებლად გამოიყენებს. არგენტინა საგრძნობლად სახეცვლილია. განაცხადში, რომელსაც ქვემოთ გაეცნობით, მხოლოდ ორი ფეხბურთელია ისეთი, რომელიც 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ასპარეზობდა - რიკელმე და მასკერანო. რეალში სათამაშო პრაქტიკის არქონის მიუხედავად მაინც გამოიძახეს ნახევარმცველი **ფერნანდო გაგო**. გასულ წელს მან კოპა ამერიკაზე ითამაშა. სიაშია ახალგაზრდული მუნდიალების ორგზის გამარჯვებული, მადრიდის ატლეტიკოელი **სერხიო აგუეროც**. აქვე შეგახსენებთ, რომ არგენტინელებს ოლიმპიადაზე **სერხიო ბატისტა** წაიყვანს. 1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონი ბასილეს ასისტენტად მოღვაწეობს.

**მეკარეები** - ოსკარ უსტარი (ხეტაფე), სერხიო რომერო (ალკმაარი);

**მცველები** - პაბლო საბალეტა (ესპანიოლი), ესეკილ გარაი (რასინგი), მარტინ დემიკელისი (ბაიერნი), კრისტიან ანსალდი (რუბინი), ფედერიკო ფაციო (სევილია);

**ნახევარმცველები** - ფერნანდო გაგო (რეალი), ევერ ბანეგა (ვალენსია), ხოსე სოსა (ბაიერნი), ხავიერ მასკერანო (ლივერპული), ხუან რომან რიკელმე (ბოკა ხუნიორსი), ანხელ დი მარია (ბენფიკა), დამიან ესკუდერო (ველეს სარსფილდი);

**თავდამსხმელები** - ესეკილ ლავესი (ნაპოლი), გონსალო იგუაინი (რეალი), სერხიო აგუერო (ატლეტიკო), მარკო რუბენი (რივერ პლეიტი).



ჯორჯ ჯილეტი და ტომ ჰიკსი

ლივერპული

# ახალი სტადიონი აშენდება

"ლივერპულის" გაყიდვის საკითხი დღის წესრიგიდან მოიხსნება. ამის დასტურად გუშინ გამართული, ახალი სტადიონის პროექტის პრეზენტაციაც გამოდგება. "სტენლი პარკის" გეგმა რამდენადმე შეიცვალა, მაგრამ არა მისი ტევადობის შემცირების ხარჯზე. არენა 71 ათას მაყურებელს დაიტევს. შესაძლებელია იქნება მისი ცოტა კიდევ გაფართოებაც. "ლივერპულს" "მანჩესტერ იუნაიტედის" ჯიბრი არ ასვენებს და სურს, მინიმუმ მათხელა სტადიონი ჰქონდეს. "ოლდ ტრეფორდი" 76 ათას მაყურებელზეა გათვლილი. იმასაც შეგახსენებთ, რომ "ლივერპულის" დღევანდელ არენა "ენფილდ როუდზე", რომელიც სხვათა შორის, უკვე 115 წლისაა, 45 300 მაყურებელი ეტევა.

გავაგრძელოთ "ლივერპულზე საუბარი. გუშინწინდელი ვარჯიშისას **ანდრეი ვორონინმა** ტრავმა მიიღო. მან კოჭი იტკინა და ორმხრივი თამაშის გაგრძელება ვერ შეძლო. ფეხბურთელს მინდვრიდან გასვლაში **რაფა ბენიტესი** დაეხმარა. დღეს, ასოციაციის თასის მეოთხე რაუნდში, სამოყვარულო "ჰავანტ ენდ ვოტერლუვილთან" მისი თამაში საეჭვოა. მაგრამ მერსისაიდელებმა ამ კლუბს როგორმე უკრაინელის გარეშეც უნდა მოუხერხონ რამე.

ბევრად უფრო სერიოზული ტრავმა აქვს **დანიელ აგერს**, რომელიც უკვე რამდენიმე თვეა, არ თამაშობს. დანიელ ცენტრალურ მცველს ტერფი აწუხებს. მის დაბრუნებას უახლოეს მომავალში ვარაუდობდნენ, მაგრამ მკურნალობას დასასრული არ უჩანს. გუშინწინ აგერი ესპანეთში გაემგზავრა, რათა თავისი ქირურგი მოინახულოს.

"ლივერპულის" ირლანდიელმა მცველმა **სტივ ფინენმა** კი, ამასობაში, ნაკრებიდან წასვლა გადაწყვიტა. 31 წლის ფეხბურთელს ეროვნულ გუნდში 50 მატჩი აქვს ჩატარებული. მისი დებიუტი 2000 წლის აპრილში შედგა. ის 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილეა. ირლანდია წლევანდელ ევროპის ჩემპიონატზე ვერ გავიდა. მომდევნო დიდი ტურნირისათვის კი (2010 წლის მუნდიალი) ფინენი 34 წლის იქნება. ფეხბურთელის აზრით, სწორედ რომ გუნდიდან წასვლის დროა. ამიერიდან ის მთელ ყურადღებას "ლივერპულზე" გაამახვილებს.

"ლივერპულის" ბოსებმა, **ჯორჯ ჯილეტმა** და **ტომ ჰიკსმა** ვალების რესტრუქტურიზაცია მოახერხეს. "როიალ ბენქ ოფ სკოტლანდმა" და ბანკმა "ვაჩოვიამ" მათ სასურველ შეთანხმებაზე მოუწერეს ხელი. ამერიკელ ინვესტორებს შეუძლიათ, შვებით ამოისუნთქონ. 682 მილიონი დოლარის ვალს ისინი ხელსაყრელი გრაფიკით გადაიხდიან. ეს კი იმას ნიშნავს, რომ "ლივერპულის" კეთილდღეობისათვის უფრო მეტ ფულს დახარჯავენ. სატრანსფერო ფანჯარა სადაცაა დაიხურება. **რაფა ბენიტესმა** ჯერჯერობით მხოლოდ ერთი ფეხბურთელი შეიძინა: სლოვაკი მცველი **მარეკ შკრტელი**. პეტერბურგის "ზენიტს" მის სანაცვლოდ 5 მილიონი ევრო გადაუხადეს.

მიმომხილველთა ვარაუდით, ფინანსური პრობლემების მოგვარების შემდეგ,



ჯორჯ ბარლი

შოტლანდიის ნაკრები

# ბარლი ახლა უკვე ოფიციალურად

**ჯორჯ ბარლი** შოტლანდიის ნაკრების მწვრთნელია. გუშინ მას ოფიციალურად გაუფორმეს კონტრაქტი. ბარლის დანიშვნა ჯერ კიდევ კვირის დასაწყისში გადაწყდა. შოტლანდიის ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა საუთჰემპტონთან კონტრაქტი გაწყვიტა და გლაზგოს მიაშურა. ის **ალექს მაკლიშის** ადგილს დაიკავებს. მაკლიშმა თანამდებობა გასული წლის ნოემბერში დატოვა. მისმა შეგირდებმა ევროპის ჩემპიონატის საგზური იტალიასთან ბოლო მატჩში გაუშვეს ხელიდან. მაკლიშმა "ბირმინგემ სიტის" მიაშურა. შოტლანდიელები კი ბარლის ხელმძღვანელობით შეეცდებიან მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლას.

აი, ახალი მწვრთნელი კომენტარი: *"16 წელია, მწვრთნელი ვარ. მიმაჩნია, რომ ამ საპასუხისმგებლო სამუშაოს თავს გავართმევ. მე შოტლანდიელი ვარ. მინდა, ჩემი ქვეყნისათვის რაღაც გავაკეთო. ნაკრების მწვრთნელის პოსტი ამის საშუალებას იძლევა."* ბარლიმ საფეხბურთო ასოციაციასთან ოთხნლინახევრიანი კონტრაქტი გააფორმა. ის გუნდი 2012 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის დასრულებამდე დარჩება. ხელშეკრულების ფინანსური დეტალები უცნობია. მუნდიალის შესარჩევ ტურნირში შოტლანდიის მეტოქეები ჰოლანდია, ნორვეგია, მაკედონია და ისლანდია იქნებიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ იურგენ კლინსმანთან

# ჩემი ერთადერთი სამშობლო გერმანიაა


იურგენ კლინსმანი

მას მერე, რაც „ბაიერნთან" კონტრაქტი გააფორმა, იურგენ კლინსმანს ბევრმა ჟურნალისტმა სთხოვა ინტერვიუ, მაგრამ კლინსი ყველას უარით ისტუმრებდა. არა მარტო გაზეთებს, იურგენმა ექსკლუზიურ ინტერვიუზე უარი ტელეკომპანიებსაც უთხრა, მათ შორის გერმანიის საზოგადოებრივ არხსაც. ეს ინტერვიუ გაზეთმა „ცაითმა" გამოაქვეყნა. არა, კლინსმანს გამონაკლისი არ დაუშვია. უბრალოდ, ჟურნალისტს წინასწარ შეუთანხმდა, რომ „ბაიერნზე" არ ისაუბრებდა. შესაბამისად, საუბარი მეტწილად კლინსმანის ამერიკულ შთაბეჭდილებებს შეეხო.

**- ჰერ კლინსმან, რაკი შევთანხმდით, რომ „ბაიერნზე" არ ვისაუბრებდით, თქვენს მომავალ კლუბს მხოლოდ ერთ კითხვაში შევეხები: რა უფრო გიზიდავდათ, მიუნხენის „ბაიერნი" თუ გერმანიაში დაბრუნება?**

- ყველაზე მეტად მუშაობის დაწყება მინდოდა. „ბაიერნი" კი მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია და ამ გუნდის გაწვრთნაზე უარის თქმა კი, ფაქტობრივად შეუძლებელი გახლავთ.

**- 1998 წლიდან აშშ-ში ცხოვრობთ, თქვენი მეუღლე დები ამერიკელია, თქვენი შვილები ამერიკაში გაიზარდნენ. გერმანიაში საცხოვრებლად მაშინაც არ გადახვედით, როცა გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი იყავით, რისთვისაც ძალიან ხშირად გაკრიტიკებდნენ. შეიძლება ითქვას თუ არა, რომ აშშ თქვენი მეორე სამშობლოა?**

- კალიფორნია მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ადგილია. აქ წლიწადში 300 მზიანი დღეა და ეს არის ადგილი, სადაც თავს იდეალურად ვგრძნობ. კალიფორნიაში უამრავი მეგობარი მყავს და თავს ისე ვგრძნობ, როგორც საკუთარ სახლში. მაგრამ სამშობლო? არა, ამისათვის სულ სხვა რამ და გაცილებით მეტია საჭირო. ჩემი ერთადერთი სამშობლო გერმანიაა.

**- რა აკლია აშშ-ს იმისათვის, რომ თქვენი მეორე სამშობლო ერქვას?**

- თითქმის 10 წელიწადია, რაც ამ ქვეყანაში ვცხოვრობ, მაგრამ ვერ დავიწყებ იმის მტკიცებას, რომ ამერიკა ბოლომდე შევიცანი მთელი თავისი ტრადიციებით, თავისებურებებითა და დადებით-უარყოფითი მხარეებით. ჰო, დიდი ხანია, აქ ვცხოვრობ და ყოველდღიურად უამრავ რამეს ვაკეთებ, მაგრამ ქვეყნის შეცნობას გაცილებით მეტი დრო სჭირდება. სამშობლოს განცდა – ეს არის ნდობის ფაქტორი, ფაქტორი დაბადების ადგილისა, ეს ბავშვობის განცდაა. და ამ ყველაფერს მხოლოდ მაშინ ვგრძნობ, როცა გერმანიაში ვარ და მნიშვნელობა არა აქვს, რამდენ ხანს დავრჩები. ამერიკაში ამ ყველაფერს ვერ ვგრძნობ.

**- როგორ დაახასიათებდით აშშ-ს?**

- ამერიკა ექსტრემალური ქვეყანაა...

**- ამ თეზას ხშირად იყენებენ ხოლმე...**

- ალბათ ასეა, მაგრამ ეს კარგად უნდა გქონდეს შეგნებული. აქ ადამიანებს ყველანაირი შესაძლებლობები აქვთ. თანაც, ამერიკაში არ არის ისეთი უსაფრთხოება, როგორიც ევროპაშია. აქ ყველამ იცის: როცა გიჭირს, სახელმწიფოს იმედი არ უნდა გქონდეს. ამერიკული დევიზი ასეთია: „ყველაფერი შესაძლებელია, მაგრამ ყოველმხრივ."

**- მაინც რომელი ასპექტია დომინანტური – ცუდად ყოფნის შიში თუ კარგად ყოფნის იმედი?**

- დროთა განმავლობაში ამერიკელებს ისეთი განცდა ჩამოუყალიბდათ, რომ ყველაფერს მიაღწევენ, ოღონდ კი მოისურვონ. ეს მათ თავდაჯერებას მატებს. სხვამხრივ კი, ბევრი ადამიანი ნერვიულობს თავის ყოფაზე. კარგად გამიგეთ, აქ მე მხოლოდ ღარიბებსა და სოციალურად გაჭირვებულებს არ ვგულისხმობ, მოსახლეობის უმეტეს ნაწილს გარკვეული შიში აქვს და ნერვიულობა ახასიათებს. აქ შეიძლება ძალიან მარტივად მოხდეს ისე, რომ ერთ დღეში დაგენგრეს ყველაფერი ის, რაც წლების მანძილზე აშენე. ამიტომაცაა, რომ ამერიკელი ხალხი უმეტესად მხოლოდ თავის თავზე ფიქრობს და ზრუნავს.

**- კი მაგრამ, რატომ უნდა ნერვიულობდეს თავის ყოფაზე ამერიკის მოქალაქე, რომელსაც ნორმალური შემოსავალი და საკმაოდ დიდი დანაზოგი აქვს?**

- მაგალითად, უმცირესობების ინტეგრაციის საკითხის მოყვანაც გამოდგება...

**- ამერიკა დემოკრატიის შუქურად მიიჩნევა, ეს არის ქვეყანა, სადაც უამრავი ეთნიკური ჯგუფები ერთად სამაგლითოდ კარგად ცხოვრობენ, სადაც სხვადასხვა მენტალიტეტის მქონე ადამიანები ერთმანეთს კარგად უგებენ...**

- მე ყოველთვის ვამბობ, რომ ასეთი მიდგომა ცოტათი გადაჭარბებულია. ჰო, ამერიკაში სხვადასხვა მენტალიტეტის მქონე უამრავი სხვადასხვა ეროვნებისა თუ გაგების ადამიანი ცხოვრობს, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ ისინი მეტწილად ერთად კი არა, ერთმანეთის გვერდით ცხოვრობენ.

**- და ამერიკელები ფიქრობენ, რომ ეს საშიში პერსპექტივაა?**

- ვის გულისხმობთ ამერიკელებში? ამერიკელები არიან ის უმცირესობებიც, რომელთა ინტეგრაციაზეც ვსაუბრობთ.

**- იქნებ იმის ეშინიათ, რომ დროთა განმავლობაში იდენტურობას დაკარგავენ?**

- ადამიანთა იდენტურობისკენ სწრაფვა ამერიკელთა პატრიოტიზმის მთავარი მამოძრავებელი ძალაა. ჩვენთვის, გერმანელებისთვის, ეს ხშირად დაუჯერებელია. მე კი ეს ძალიან მომწონს. ვინ ვართ ჩვენ? ვინ გვინდა, რომ ვიყოთ? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ამერიკელებისთვის, რომლების სხვადასხვა კულტურების წარმომადგენლები არიან, მაგრამ აშშ-ს მოქალაქეობა აქვთ, იოლი არ არის. ჯამში, ბევრი ამერიკელი სინამდვილეში მიიჩნევს, რომ აფრიკელია, ევროპელია, აზიატია... პატრიოტიზმი კი მონატრებას იწვევს, იმის მონატრებას, რომ ყველამ ერთად თქვას: ჩვენ ყველანი ამერიკელები ვართ.

**- შეგიძლიათ, თქვათ, რომ ამერიკელები საერთო ჯამში პოლიტიკური ხალხია?**

- აქ ძალიან ბევრი პოლიტიკურად მოაზროვნე ადამიანია. მაგრამ სიმართლეა ისიც, რომ ამერიკელთა უდიდეს ნაწილს გარე პოლიტიკა ოდნავადაც არ აინტერესებს.

**- და რისი ბრალია ეს?**

- გარკვეული რეზიგნაციის. მაგალითად, ყველამ იცის, რომ ერაყზე დარტყმის გამოცხადებული მიზეზი სინამდვილეს არ შეესაბამებოდა და ისიც იციან, რომ ნამდვილ მიზეზს ვერასდროს გაიგებენ.

**- მალე აშშ ახალ პრეზიდენტს აირჩევს და დიდი შანსია, რომ ამერიკის ისტორიაში პირველად ქვეყნის მმართველი ქალი გახდეს...**

- ჰო, დიდი შანსია, რომ ასე მოხდეს.

**- რას იტყვით ჰილარი კლინტონზე?**

- არაფერს. საკუთარი მოსაზრება, რა თქმა უნდა, მაქვს, მაგრამ საჯაროდ საუბარი მართებულად არ მიმაჩნია.

**- ხშირად ამბობენ, ამერიკელებს, ევროპელებისგან განსხვავებით კულტურა არ გააჩნიათო...**

- მე კი ასე ვიტყოდი: მათ სხვანაირი კულტურა აქვთ. მაგალითად, კვების კულტურა ავიღოთ. ევროპელები რესტორანში შედიან და სხვადასხვა კერძებს მიირთმევენ მცირე პორციებით. ამერიკელი კი ასეთ კითხვას სვამს: რატომ უნდა ველოდო სხვადასხვა კერძებს? რატომ არ არის ტელევიზორი, რომ სანამ კერძს ველოდები, ვუყურო და დრო გავიყვანო? ამიტომაც ეტანებიან სწრაფი კვების ობიექტებს და ეს ამერიკელების შემოტანილი კულტურაა.

**გოტფრიდ ლენცი**


მირკო სლომკა და მისი შეგირდები მეორე წრისთვის ემზადებიან

მარიო ბასლერის სვეტი

# ხვალ ლუდს უფასოდ მიიღებთ, გაისად შალკე ჩემპიონი გახდება...

## თუ გელზენკირხენელები სამეულში ვერ მოხვდებიან, სლომკას კარისკენ მიუთითებენ

გელზენკირხენში, „ფელტინს არენა აუფ შალკეს" შესასვლელში დიდი ტრანსფარანტი უნდა დავკიდოთ წარწერით: „გაისად ჩემპიონები გავხდებით!"

ეს ჩემი ტრიუკია. საკუთარი ბარის შესასვლელთან ტრანსფარანტი მაქვს გამოკრული, რომელსაც აწერია: „ხვალ ლუდს უფასოდ მიიღებთ!" მოხვალთ მეორე დღეს და კარზე ისევ იგივე წარწერაა. აი, ასე ტყუვდებით. ეს, რა თქმა უნდა, კეთილი ხუმრობაა, რომელიც ხალხს ძალიან მოსწონს. „შალკეს" ქომაგებს კი სახუმაროდ ნამდვილად აღარ აქვთ საქმე. გუნდის ხელმძღვანელებს მხოლოდ ზემოთ ნახსენები ტრანსფარანტის მეშვეობით შეუძლიათ ფანების დაიმედება და მათთვის კარგი განწყობის შენარჩუნება. „შალკეს" ფანები კი ტყუვდებიან, როგორც ყოველთვის. არადა, ამ გუნდმა მართლაც დაიმსახურა ჩემპიონობა. „შალკეს" ნამდვილად აქვს იმის პოტენციალი, რომ „ვერცხლის სინს" დაეუფლოს – ვერავინ დამაჯერებს, რომ „შტუტგარტი" „შალკეს" სჯობია, მაგრამ გელზენკირხენელთა პრობლემა ისაა, რომ თვითონ არ სჯერათ საკუთარი წარმატების. მათ თვითონაც არ იციან, რაოდენ დიდი პოტენციალი გააჩნიათ და რომ მთელი სეზონის განმავლობაში სტაბილურად თამაში შეუძლიათ. ამ სეზონში, „ბაიერნთან", „ვალენსიასთან" და „ჩელსისთან" მატჩებში დაამტკიცეს, რომ არავისზე ნაკლებები არ არიან, მაგრამ...

დავიწყოთ იმით, რომ „შალკეს" ბუნდესლიგაში საუკეთესო დაცვა (ჩემი აზრით, რა თქმა უნდა) ჰყავს. არანაკლებ ძლიერია ნახევარდაცვა და თავდასხმაც. მაგრამ „შალკეს" აკლია ვნება და რწმენა – დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტი: რურელებს საკუთარი თავის რწმენა არ გააჩნიათ. როცა „შალკეს" ვუყურებ, მუდმივად ერთ რამეზე ვფიქრობ: თითქოს ისინი იმითაც კმაყოფილდებიან, რომ დორტმუნდის „ბორუსიას" უსწრებენ. თითქოს, „ბორუსია" რომ მე-18 ადგილზე გავიდეს და „შალკემ" კი მე-17 პოზიცია დაიკავოს, გელზენკირხენელი ქომაგები მაინც იზეიმებენ. მაგრამ, მოდით, გულახდილად ვთქვათ: განა ეს ნორმალურია?

ახლა **რუდი ასაუერზე** საუბარს არ დავიწყებ. ამ კაცმა „შალკეში" მოღვაწეობა დაასრულა და აღარასოდეს დაბრუნებდა, მაგრამ არ შემიძლია, კიდევ ერთხელ არ აღვნიშნო ის, რაც რუდის ნამდვილად ჰქონდა – ხელმძღვანელის აურა, ლიდერობის ნიჭი. ჰო, ასაუერი ამაყი იყო, მაგრამ ფეხბურთში ესეც აუცილებელია – გარკვეული დოზით, რა თქმა უნდა. აროგანტობა – ეს მნიშვნელოვანია. დორტმუნდში ამ მხრივ აჭარბებენ და ზედმეტად აროგანტები არიან, გელზენკირხენში კი პირიქით, საკუთარ თავს პატივს არ სცემენ.

მოდით, მენეჯერ **ანდრეას მიულერის** მიერ განხორციელებულ ტრანსფერებს გადავხედოთ: **შტრაიტი**, ურუგვაელი **სანჩესი** და ბრაზილიელი **ზე რობერტო** მეორე – საკმაოდ კარგი ტრანსფერებია, მაგრამ არა ისეთი, გელზენკირხენულ კლუბს სწრაფად დაქუხების იმედს რომ მისცემს. განა ამ ტრანსფერებით „შალკე" „ბაიერნს" ან „ვერდერს" შეაშინებს?

ვფიქრობ, მიულერი ამ მხრივ უფრო გაბედული უნდა გახდეს. **მესუთ იოზილის** შემთხვევაში „შალკეს" მენეჯერი იდეალურად მოიქცა და სიმართლე გითხრათ, მისგან ეს ძალიან გამიკვირდა. ღმერთო ჩემო, რა გააკეთა ამ ახალგაზრდა ფეხბურთელმა, უფრო სწორად, რა გააკეთებინა მას მამამისმა?! 19 წლის ტალანტს წელიწადში 1.5 მილიონ ევროს სთავაზობდნენ, ის კი როგორ მოიქცა? ვაჭრობა გააგრძელა. და რა გამოვიდა ამ საქმიდან? ვინ წააგო? ისევ და ისევ იოზილმა!

ახლა კი **მირკო სლომკას** ერთით ნაკლები ტექნიკური ფეხბურთელი ჰყავს. არადა, „შალკეს" სწორედ ტექნიკა აკლია. და გელზენკირხენელები გულის სილრმეში ჯერ კიდევ მისტირიან **ლინკოლნს**, რადგან **ივან რაკიტიჩი** ჯერ არ არის იმ დონის გამთამაშებელი, რომ ბრაზილიელი ღირსეულად შეცვალოს.

საინტერესო ამბები ხდება „შალკეს" კულისებშიც. პრეზიდენტი **იოზეფ შნუზენბერგი** მინიმუმ მესამე ადგილის დაკავებას ითხოვს. შესაბამისად, სლომკამაც იცის, რაშიცაა საქმე – თუ სეზონის ბოლოს „შალკე" სამეულში ვერ მოხვდება, მას სავარაუდოდ კარისკენ მიუთითებენ. არადა, მე რომ მკითხოთ, გუნდმა დასახულ მიზანსაც რომ ვერ მიაღწიოს, მირკო მწვრთნელის პოსტზე უნდა დატოვონ. რაც არ უნდა იყოს, მან „შალკე" ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში გაიყვანა და დარწმუნებული ვარ, რომ მეოთხედფინალშიც გაიყვანს – „შალკე" „პორტუს" ბარიერს გადალახავს. არ გამოვრიცხავ, რომ სამეულში მოხვედრის მიზნად დასახვა „შალკეს" ბოსების მხრიდან იმის მცდელობა იყოს, რომ სლომკა ზეწოლის ქვეშ მოაქციონ. ასეა თუ ისე, ფაქტი ის გახლავთ, რომ სეზონის ბოლოს „შალკეში" ისევ მხოლოდ ერთ პიროვნებას ექნება ტიტული. კერძოდ, გუნდის მთავარ ექიმს. ის ხომ დოქტორია...

კარგი ექიმები კი, გელზენკირხენულ კლუბს ძალიან სჭირდება. **ჯერმეინ ჯონსი** ვარჯიშზე ვინმეს ისე მოცელავს, რომ საოპერაციოდ გაუხდის საქმეს. კარგი იქნებოდა, „შალკეს" ბევრი ჯონსი რომ ჰყავდეს. ამ გუნდს სწორედ მისნაირი მებრძოლი მოთამაშეები სჭირდება. ეს გუნდი მხოლოდ ასეთი შემართებით გავა მინიმუმ მესამე ადგილზე...

**მარიო ბასლერი**
ბილდი

ინტერვიუ რობინიოსთან

# კაპელოს სქემებში ვიხუთებოდი და ვიტანჯებოდი

## შარშან ბრაზილიელსა და მის თანაგუნდელებს სანტიაგო ბერნაბეუზე სტვენით იკლებდნენ, წელს კი ტაშისა და ოვაციის მეტი არაფერი მოუსმენიათ...

1984 წლის 25 იანვარს სან ვისენტეში რობინსონ დე სოუზა რობინიო დაიბადა. "რეალის" ვარსკვლავს მეგობრებმა დაბადების დღეზე შესანიშნავი სიურპრიზი მოუწყვეს. რობინიო მათ მადრიდულ "ბუდა ბარში" დაპატიჟეს. ბრაზილიელის მეგობრებმა სადღესასწაულო საღამოზე "დიარიო ასის" კორესპონდენტიც მიიწვიეს. ჩვენს კოლეგას ერთადერთი პირობა წაუყენეს, მას შეეძლო ინტერვიუც და რეპორტაჟც თავისუფლად მოემზადებინა, თუმცა ფოტოების გადაღება კატეგორიულად აუკრძალეს. მადრიდელი ჟურნალისტი მოთხოვნას უსიტყვოდ დაემორჩილა. რობინიო ბარში ყველაზე გვიან მივიდა. მეგობრების მიერ მოწყობილმა სიურპრიზმა სამხრეთამერიკელს უდიდესი სიამოვნება მიანიჭა. სამეფო კლუბის ვარსკვლავმა დიდად მოილხინა. როგორც გაირკვა, ხელმძღვანელობისგან მცირე რაოდენობის შამპანურის დალევის უფლებაც მიიღო, თუმცა რობინიომ დაშვებულ რაოდენობას აშკარად გადაამეტა. ყოველ შემთხვევაში, როცა ფეხბურთელმა ჟურნალისტამდე მიაღწია გვარიანად შეზარხოშებული იყო.

**- რობინიო, გილოცავთ დაბადების დღეს...**

- დიდი მადლობა. ჩემმა მეგობრებმა ულამაზესი სიურპრიზი მომიწყვეს. გადაწყვეტილი მქონდა, დაბადების დღე არ აღმენიშნა, მაგრამ ხომ ხედავთ, ფაქტის წინაშე დამაყენეს. რა თქმა უნდა, ძალიან გამიხარდა. ბედნიერი ვარ, რომ ახლა ჩემს გვერდით ჟულიო ბაპტიშტა, დრენტე, მარსელო, პეპე, სიმაო და დავიდ ბუსტამენტე არიან. როგორც ხედავთ, ატლეტიკოელებმაც მომილოცეს. იმედია, ამით სპეკულირებას არავინ დაიწყებს. მართალია, მე და სიმაო დაპირისპირებულ გუნდებში ვთამაშობთ, მაგრამ ჩვენ დიდი მეგობრები ვართ და მთავარი ეს არის. მეტოქეობა წელიწადში რამდენჯერმე გვიწევს. მოედნის მიღმა კი ძმაკაცები ვართ (იცინის).

**- მეჩვენება, თუ მართლა მთვრალი ხართ?**

- (ხარხარებს) რატომ გინდათ, რომ გუნდში პრობლემები შემექმნას? რას იფიქრებს ბერნდ შუსტერი, როცა ამ ინტერვიუს წაიკითხავს? არა, მთვრალი ნამდვილად არა ვარ, თუმცა უნდა ვაღიარო, რომ ორი ჭიქის დალევაც კი მეტყობა. ალბათ, ყველა ფეხბურთელი ასეა. ჩვენ ძალიან იშვიათად და ძალიან ცოტას ვსვამთ. ალკოჰოლს მიუჩვეველები ვართ და სხვებზე იოლად ვთვრებით. დღეს მხოლოდ სამი ჭიქა შამპანური მივირთვი.

**- მწვრთნელმა ნება თუ დაგრთოთ?**

- ცოდვას გაგიმხელთ. როცა გავიგე, რომ მეგობრები აქ მეპატიჟებოდნენ, შუსტერს დავურეკე. მან ჩემს უთქმელად მითხრა, ვიცი, დაბადების დღე სადღეგრძელოს გარეშე არ ჩაივლის და თავის შეკავება ძალიან გაგიჭირდება, მაგრამ ერთ ჭიქაზე მეტი არ დალიოო. სამწუხაროდ, სამი ჭიქა მივირთვი. ამისთვის მწვრთნელს ბოდიშს მოვუხდი. იმედია, ძალიან არ გამიბრაზდება. სხვათა შორის, ეს სასმისი ჩვეულებრივზე გაცილებით პატარაა. ასე რომ, შესაძლოა, რაოდენობის თვალსაზრისით, არცკი გადამიჭარბებია.

**- რატომღაც ყოველთვის პატარა ყმაწვილად აღგიქვამენ. არადა, უკვე 24 წლის ხართ...**

- შესაძლოა, ეს ჩემი გარეგნობის ბრალი იყოს. შესახედაობით თუ ვიმსჯელებთ, 24 წლისას აშკარად არ ვგავარ. ასაკი მომემატა, მასთან ერთად, რა თქმა უნდა, პასუხისმგებლობაც. ამიერიდან უფრო მეტი მომეთხოვება. 24 წლის ფეხბურთელი პატარა აღარ არის. ამიტომ მომავალში იმას აღარ მაპატიებდნენ, რასაც აქამდე მპატიობდნენ.



რობინიო დე სოუზა წლევანდელი სეზონით კმაყოფილია

**- ყველა აღნიშნავს, რომ წელს გაცილებით უკეთ თამაშობთ. რა განაპირობებს ამას? გამოცდილება მოგემატათ?**

- გამოცდილება, რა თქმა უნდა, მომემატა, მაგრამ ეს არ არის მთავარი. შარშან "რეალს" სულ სხვა კაცი წვრთნიდა. ყველამ ვიცით, რომ მას ფაბიო კაპელო ერქვა. სხვაგან წასულ ადამიანზე საუბარი არ მსურს, მაგრამ იმას კი ვიტყვი, რომ კაპელოს სქემებში ვიხუთებოდი და ვიტანჯებოდი. მინიმალური თავისუფლებაც კი არ გამაჩნდა. იყო ეპიზოდები, როცა ვგრძნობდი, ფინტითა და ცრუ მოძრაობით მეტოქეს მოვატყუებდი და მეკარესთან, ფაქტობრივად, პირისპირ გავიდოდი.... სამწუხაროდ, იტალიელისგან ასეთი ფეხბურთის თამაში აკრძალული მქონდა. ბევრი რომ არ გავაგრძელო, უკიდურესად შეზღუდული ვიყავი. მიმდინარე სეზონის დაწყების წინ კი ყველაფერი შეიცვალა. სამეფო კლუბის ხელმძღვანელობამ მთავარი მწვრთნელის პოსტი ბერნდ შუსტერს ჩააბარა. ჩემი რენესანსიც ამის შემდეგ დაიწყო. გერმანელმა პირველივე ვარჯიშის შემდეგ მითხრა: რობინიო, თავს ნუ შეიზღუდავ, როგორც კი მიხვდები, რომ ცრუ მოძრაობით მეტოქის ჩამოცილება შეგიძლია, არ დაახანო და მას თავბრუ დაახვიეო. ვერ წარმოიდგენთ, როგორ გამიხარდა. საქმე მხოლოდ ფინტების თავისუფლად გაკეთებაში არ არის. შუსტერმა აბსოლუტური თავისუფლება მომანიჭა. მან წინ წამწია და დამავალა, პირველ რიგში შეტევის გაძლიერებაზე ვიფიქრო. მე სხვა არაფერი მინდოდა. კაპელოს დროს ამას ვერ ველირსე და რა გასაკვირია, რომ ცუდად ვთამაშობდი. შეტევაზე უკეთ მეტოქისთვის ბურთისართმევა რომ მეხერხებოდეს, მცველი ვიქნებოდი. ჩემი აზრით, ყველა ფეხბურთელმა ის უნდა აკეთოს, რაც ყველაზე უკეთ გამოდის. არ მგონია, ველოსიპედის თავიდან გამოგონება საჭირო იყოს. დიდი მადლობა შუსტერს იმისთვის, რომ ჩემი შესაძლებლობები კარგად გათვალა და დიდი ხნის ნანატრი თავისუფლება მომანიჭა.

**- როგორ გავიგოთ ეს ყველაფერი? დაცვითი ფუნქციებისგან სრულიად თავისუფალი ხართ?**

- არა, მაგრამ წინა წლისგან განსხვავებით ჩემი მთავარი ამოცანა მეტოქისთვის ბურთისართმევა არ არის. პირველ რიგში მოწინააღმდეგის კართან სიტუაციის დაძაბვა მერიდება. ხოლო თუ ბურთს დავკარგავთ, ბუნებრივია, პირველი წინაღობა მე უნდა შევქმნა. გარკვეულ ზონამდე უნდა ჩავყვე მეტოქე ფეხბურთელს. თუ ბურთს მანამდე ვერ დავიბრუნებ, საქმეში შემდეგ თანაგუნდელები ერთვებიან. მოკლედ, კაპელო პრაქტიკულად კასილიასის კარამდე ჩასვლას მავალებდა. ვცდილობდი, მწვრთნელის მითითება შემესრულებინა. არ ვეთანხმებოდი, მაგრამ უფლება არ მქონდა, არ დავმორჩილებოდი. ალბათ, ლოგიკურია, რომ უკან ამდენი სირბილის შემდეგ შეტევისთვის ძალა აღარ მყოფნიდა. ხალხი კი ჩემგან, პირველ რიგში, ეფექტურ იერიშებს ელოდა. როცა ამას ვერ ვახერხებდი, ზარმაცსა და უმაქნისს მეძახდნენ. კაპელოც უკმაყოფილო გახლდათ და ძირითად შემადგენლობაში ხშირად არ მაყენებდა.

**- ამ ურთულეს დროს სამეფო კლუბიდან წასვლა ხომ არ გიფიქრიათ?**

- არა. მიუხედავად იმისა, რომ სასტიკად ვიტანჯებოდი, წასვლა წამითაც არ მიფიქრია. ჩემს შესაძლებლობებში ეჭვი არ მეპარებოდა. საკუთარ თავს ვეუბნებოდი, რომ აუცილებლად შეიცვლებოდა რაღაც. მე პლანეტის საუკეთესო კლუბში მოვხვდი და სხვაგან წასვლა როგორ უნდა მდომოდა?! გადავწყვიტე, მოთმინება მომეკრიბა და შანსს დავლოდებოდი.

**- როგორ ფიქრობთ, კაპელო რომ დარჩენილიყო, მოგეცემოდათ შესაძლებლობების გამომჟღავნების შანსი?**

- ძნელი სათქმელია. ოპტიმიზმს ის მიღრმავებდა, რომ ჩემი სტილი "რეალის" ღირებულებებს შეესაბამებოდა. ვიცოდი, ადრე თუ გვიან რაღაც მოხდებოდა და აუცილებლად გავამართლებდი გაცემულ ავანსებს. მადლობა ღმერთს, ახლა ყველაფერი რიგზეა და თავს ძალიან ბედნიერად ვგრძნობ.

**- ორი დღის წინ რამონ კალდერონმა განაცხადა, შვიდქულიანი უპირატესობა ძალიან კარგია, მაგრამ ჩემპიონობა განაღდებული არა გვაქვსო. ეთანხმებით პრეზიდენტს?**

- ულაპარაკოდ. რა თქმა უნდა, სერიოზულ უპირატესობას ვფლობთ, მაგრამ წინ ნახევარი სეზონია. თუ კონცენტრაციას დავკარგავთ, შესაძლოა, ყველაფერი თავდაყირა დადგეს. "რეალი" სწორი გზით მიიწევს წინ. ფსიქოლოგიურად შესანიშნავად ვართ მომზადებულები. ამიტომაც ვამბობთ, რომ ჯერ არაფრისთვის მიგვიღწევია. მომავალშიც გულმოდგინედ ვიშრომებთ და ყველაფერს ვიღონებთ, რათა სიბელესზე წელსაც ვიზეიმოთ.

**- გავიგეთ, რომ რობინიო შუსტერის გუნდში უფრო კარგად გრძნობს თავს. საინტერესოა, თქვენი თანაგუნდელები რას ამბობენ?**

- სხვის ნაცვლად საუბარი არ მიყვარს, თუმცა ზუსტად ვიცი, რომ ისინიც ჩემსავით ფიქრობენ. "რეალი" მხოლოდ კარგი შედეგით არასოდეს კმაყოფილდებოდა. ეს ლამაზი ფეხბურთისთვისაა დაარსებული და ძალიან გვიხარია, რომ წელს არაერთი დაუვიწყარი შეხვედრა ჩავატარეთ. მე და ჩემი თანაგუნდელები ფეხბურთის თამაშით სიამოვნებას ვიღებთ. არ მგონია, ეს ინტერვიუ შარშან რომ აგეღოთ, იგივე მეთქვა. სასიხარულოა, რომ გულშემატკივრები ყველაფერს კარგად ხედავენ და უზომოდ კმაყოფილები არიან. შარშან "სანტიაგო ბერნაბეუზე" სტვენით გვიკლებდნენ, წელს კი ტაშისა და ოვაციის მეტი არაფერი მოგვისმენია.

**- დაბადების დღეზე რა სურვილს ჩაიფიქრებთ?**

- მე პროფესიონალი ვარ. ამიტომ არ მინდა, მეტისმეტად ამბიციური და შორეული სურვილი ჩავიფიქრო. მირჩევნია, კვირას "ვილიარეალის" დამარცხება ვისურვო. თუ გოლსაც შევაგდებ, ფანტასტიკური იქნება. ღრმად მწამს, რომ ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა ვიაროთ წინ. ეს გამოცდილი ხერხია. ვინც წინასწარვე ზეიმობს, ყოველთვის ცხვირს იმტვრევს ხოლმე. ცხადია, არ მინდა, ჩვენც იგივე შეგვემთხვეს.

**- სხვა გუნდში გადასვლის შესაძლებლობას ახლაც გამორიცხავთ?**

- გასაოცარი კითხვაა. წასვლაზე მაშინ არ მიფიქრია, როცა კაპელო ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარ ფეხბურთს მათამაშებდა. ახლა მით უმეტეს, რატომ უნდა წავიდე? მადლობა ღმერთს, კარისკენ არავინ მითითებს. პირიქით, ყველა დიდ პატივს მცემს და მაგრძნობინებს, რომ "რეალისთვის" უმნიშვნელოვანესი ფეხბურთელი ვარ. გადაწყვეტილი მაქვს, კარიერა აქ დავასრულო. მჯერა, ბეჯითი შრომითა და თავდადებით ამ მიზანს მივაღწევ. ოდნავადაც არ მეშინია, რომ ხალისსა და ენთუზიაზმს დავკარგავ. მთავარი სწორედ ეს არის.

ილია ნიკოლაიშვილი

---

დორტმუნდი

# დოლი: არის ახალი კონტრაქტი

## თომასი ბორუსიაში 2010 წლამდე დარჩება

როგორც მოსალოდნელი იყო, დორტმუნდის „ბორუსიის" მთავარმა მწვრთნელმა **თომას დოლმა** ვესტფალიურ კლუბთან ახალი კონტრაქტი გააფორმა. ადრე გაცნობეთ, რომ ეს ოთხშაბათს უნდა მომხდარიყო, მაგრამ შეთანხმება გაჭიანურდა და მხარეებმა კონსენსუსს გუშინღა მიაღწიეს. 41 წლის მწვრთნელის ახალ ხელშეკრულებას ვადა 2010 წლის 30 ივნისამდე აქვს. შეგახსენებთ, რომ დოლმა BVB გასული წლის 13 მარტს ჩაიბარა და ამ პოსტზე **იურგენ რიობერი** შეცვალა.

*„ძალიან მიხარია, რომ კონტრაქტი გავაგრძელე, რადგან „ბორუსიაში" მუშაობა უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს, რაც ადრეც არაერთხელ მითქვამს. მინდა, რომ ამ გუნდმა ძველი დიდება დაიბრუნოს. გუნდის ურთგულესმა ქომაგები უფრო ამბიციურ და წარმატებულ „ბორუსიას" იმსახურებენ,"* – განაცხადა დოლმა.



გადაწყდა: თომას დოლი დორტმუნდში რჩება

რაც შეეხება დოლის თანაშემწეებს. „ბორუსიის" შეფები მათთან მოლაპარაკებებს ამ დღეებში გამართავენ. *„თომასთან ინტენსიური საუბრები გვქონდა. მასთან და სპორტულ დირექტორ მიხაელ ცორკთან ერთად კონცეფცია ჩამოვაყალიბეთ, რომელიც აუცილებლად უნდა განვახორციელოთ,"* – ეს BVB-ს გენერალური მენეჯერის, **ჰანს-იოახიმ ვატცკეს** სიტყვებია.

---

დეპორტივო

# მეკარეთა სკანდალი მორჩა

როგორც იცით, ლა კორუნიის მოსამართლემ დეპორტივოს გოლკიპერ **გუსტავო მუნუას** კოლეგა **დუდუ ავათის** ცემისათვის ექვსთვიანი პირობითი პატიმრობა მიუსაჯა. მომჩივანის არარსებობის გამო ურუგვაელი ციხეში არ გაგზავნეს და მხოლოდ 3 600 ევროს გადახდა აკმარეს. მუნუას კლუბშიც ცუდად ჰქონდა საქმე. მთავარმა მწვრთნელმა და პრეზიდენტმა მას ულტიმატუმი წაუყენეს, ან ბოდიშს მოიხდი, ან ძირითად შემადგენლობაში თამაშს ვერ ეღირსებიო. სამხრეთამერიკელმა უკან დაიხია. მას ავათმაც მიბაძა და ამით პრობლემა ამოიწურა. გალისიელთა თავკაცმა **მიგელ ანხელ ლოტინამ** მათი გუნდში დაბრუნება გადაწყვიტა: *"მიხარია, რომ მეკარეებმა კლუბის ხელმძღვანელობის მოთხოვნა შეასრულეს. ლა თქმა უნდა, ჩემს გადაწყვეტილებაზე ამან დიდი გავლენა იქონია. გარდა ამისა, ისიც უნდა ითქვას, რომ შემადგენლობის უკლებლივ ყველა წევრმა მთხოვა, მათი მეგობრები შემეწყალებინა. მოკლედ, ყველაფერი წარსულში დარჩა. მინდა ვისურვო, რომ მსგავსი რამ მომავალში აღარასოდეს განმეორდება."*

ინტერვიუ შოთა ხაბარელთან

# ორი ლიცენზია მოსაპოვებელია!

**თბილისის სალიცენზიო მსოფლიო თასისთვის საქართველოს ნაკრები თითქმის ოპტიმალური შემადგენლობით ემზადება - ნაკრების თავკაცმა შოთა ხაბარელმა დასვენების უფლება მხოლოდ ნესტორ ხერგიანს (60) და დავით ქევხიშვილს (73) მისცა, რომლებმაც პეკინის ოლიმპიადაზე გამოსვლის უფლება ჯერ კიდევ სექტემბერში, მსოფლიო პირველობაზე გაინაღდეს. ამათ გარდა, ნაკრების 1-2 სათადარიგო მოჭიდავეც ტრავმირებულია, თუმცა ოლიმპიური გუნდის ძირითადი ბირთვი სრულ მზადყოფნაშია და ტურნირისთვის გულმოდგინედ ემზადება.**

ჩვენებურთათვის რაღაც უცნაური შეჯიბრება გამოდის... ტურნირის მთავარი დანიშნულება სალიცენზიო ქულების მოპოვებაა, მაგრამ ვინაიდან ნაკრებმა ლიცენზიებისთვის ჯერ კიდევ სექტემბერში იბრძოლა წარმატებით და შვიდიდან ხუთ წონით კატეგორიაში მოიპოვა საგზური, ახლა ამ საზრუნავისგან შედარებით თავისუფალია. მართალია, 66-ში და 81-ში ლიცენზიები ჯერ ისევ მოსაპოვებელია და ამის მოგვარების იმედსაც ძირითადად ამ ტურნირს უკავშირებენ, მაგრამ ეს მაინც ზღვაში წვეთია სხვების საზრუნავთან შედარებით. მით უფრო, 66-ში ლიცენზია თითქმის განაღდებულია, ხოლო 81-ში ისეთი მდგომარეობაა, ერთი რომელიმე ტურნირის მოგებაც კი რეალურ ამბიციებს შეგვძენს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ, საქართველო ლიცენზიების რაოდენობით ლიდერია. შედარებისთვის - მეორეზე ბრაზილია იმყოფება 4 საგზურით.

მთავარი საზრუნავის ჩამოცილების მიუხედავად, ამ ტურნირმა მაინც ბევრ კითხვას უნდა უპასუხოს. უმთავრესი ამოცანა ნაკრების შიდა კონკურენციის გადაჭრაა. მათ შორის, უკვე ლიცენზიაგანაღდებულ წონებშიც. ამასთან, იგი საუკეთესო საშუალებაა აქეთ ახალგაზრდების, იქით კი ლიდერების გამოსაცდელად. ნაკრების თავკაც შოთა ხაბარელსაც ამ თემებზე ვესაუბრეთ.

**- რამდენად კმაყოფილი ბრძანდებით ნაკრების მომზადებით, და განსაკუთრებით, იმ ლიდერების, რომლებმაც ტურნირზე უნდა იჭიდაონ?**

- გავითვალისწინოთ, რომ სეზონის დასაწყისია და ახლა სრულ ფორმაში არც უნდა იყვნენ. სიმართლე გითხრათ, ამით არცა ვარ დაინტერესებული, მაგრამ ამ ეტაპისთვის რაც მოეთხოვებათ, იმას კი აკმაყოფილებენ. სეზონის უმთავრესი შეჯიბრებები - ევროპის პირველობა, მსოფლიო თასები და თავად ოლიმპიადაც წინაა. მოსამზადებლად დრო კიდევაა, მაგრამ ამ ეტაპისთვის გუნდის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. ლიდერების განწყობა იმდენად კარგია, პრეტენზიებს არავის ვუყენებ - ესმით ტურნირის მნიშვნელობა, გულმოდგინედ ვარჯიშობენ და მონდომებით ემზადებიან. საბედნიეროდ, არც ტრავმები გვაწუხებს და ვემზადებით ტურნირისთვის.

**- ცოტა უცნაური ტურნირი გამოგვდის, რადგან ძირითადი ამოცანა - ლიცენზიებისთვის ბრძოლა იმდენად აქტუალური არაა, თუმცა წინა პლანზე სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორები გამოდის. მაგალითად, რეზერვის გამოცდა, ლიდერების შემოწმება...**

- მაგრამ ტურნირი მაინც მნიშვნელოვანია. ჯერ ერთი, იმ ორ წონაში ლიცენზია ისევ მოსაპოვებელია და ქულათა მარაგს იმდენად თუ გავიმდიდრებთ, საგზური აქვე გავინაღდოთ, ძალიან კარგი იქნება.

ამასთან, სხვა წონებიც უნდა შევამოწმოთ, რადგან კონკურენცია დიდია. მოგეხსენებათ, ძიუდო მუდმივად ვითარდება და განახლება ყოველდღიურადაა საჭირო. ამ რიტმს არც პირველი ნომრები უნდა ჩამორჩნენ. ლიცენზიის მოპოვება ოლიმპიადაზე გამოსვლის გარანტიას არ გაძლევს. კოორდინაციის მცირე დაკარგვაც კი იმას ნიშნავს, რომ ეს აუცილებლად იჩენს თავს მომდევნო ტურნირებში. ამიტომ მუდმივ მზადყოფნაში უნდა იყვნენ.

**- 90 კილოგრამ წონით კატეგორიაზე საგანგებოდ გკითხავთ, რადგან ყველაზე დიდი კონკურენცია აქა - ოლიმპიური ჩემპიონი მსოფლიო ჩემპიონის პირისპირ. სავარაუდოდ, ეს დავა ამ ერთი ტურნირით არ გადაწყდება...**

- ცხადია, ეს კონკურენცია მხოლოდ ამ შედეგით არ გაირკვევა. ზვიადაურის გამოსვლა მის ჩემპიონობას არ ნიშნავს. ამდენი ტრავმებისა და ოპერაციების შემდეგ ცოტა დრო გავიდა და იგი სანახევროდაა მზად, მაგრამ ისეთი შემართებით ვარჯიშობს, ვფიქრობ, მომავალში აუცილებლად დაიბრუნებს ფორმას. ახლა მისი განწყობა სულ სხვანაირია, თუმცა ამ შეჯიბრზე დიდ იმედებს არ ვამყარებ.

**- ყველაზე პრობლემურ - 81-ში გრიგოლ მამრიკიშვილი კი დაგვიბრუნდა, მაგრამ საქართველოს ჩემპიონატზე საკუთარ თავს არ ჰგავდა. ახლა როგორ ფორმაშია და ამ წონაში ლიცენზიის მოპოვებისა რამდენად გეიმედებათ?**

- მამრიკიშვილი კი დაგვიბრუნდა, მაგრამ, ეტყობა, ასაკიც თავისას შვება და ტრავმებიც. ქვეყნის ჩემპიონატში მართლაც ვერ დატოვა კარგი შთაბეჭდილება და მთლად კარგად ვერც ახლა გამოიყურება. ვფიქრობ, ეს ტრავმების ბრალია, თუმცა შეკრებები ნორმალურად გაიარა და ვნახოთ, რას იზამს... მით უფრო, თბილისის ტურნირზე, ტრადიციულად, კარგად გამოდის.

ვფიქრობ, ამ წონაში ლიცენზია უნდა მოვიპოვოთ, რადგან მთლად უიმედო მდგომარეობა არ გვაქვს. ევროპიდან საგზურს 9 კაცი იღებს, გიორგი ბაინდურაშვილი კი მეშვიდეა.მას მცირედით ჩამორჩებიან გიორგი შინჯიკაშვილი და საბა გავაშელიშვილი. ნებისმიერ მათგანს ერთი ტურნირის მოგებითაც კი მდგომარეობის რადიკალურად შეცვლა შეუძლია.


ეროვნული ბიბლიოთეკა

შოთა ხაბარელი

**- როგორ ფორმაშია ზაზა კედელაშვილი, რომელმაც შარშან ძლიერად ჩაატარა სეზონის პირველი ნახევარი, მაგრამ ჩააგდო მეორე – კმაყოფილი ხართ მისით?**

- მისი მდგომარეობა უკეთესობისკენ იცვლება. შარშან, მეორე ნახევარში მან მართლაც დაკარგა თავისი კოზირები, მაგრამ განვლილმა შეკრებებმა დამანახა, რომ ისევ იბრუნებს ამ თვისებებს, რაც ოპტიმიზმს მმატებს.

**ირაკლი თავაძე**

დღეს და ხვალ, სპორტის სასახლეში, თბილისის მსოფლიო თასი

# მართლა მსოფლიო თასია, არ გააცდინოთ!




პირველი გვერდიდან

**წარმომადგენლობა ასეთია: იაპონია, რუსეთი, უკრაინა, იტალია, ავსტრია, ესტონეთი, ლიტვა, ლატვია, შვეიცარია, თურქეთი, საფრანგეთი, ჰოლანდია, გერმანია, ბრიტანეთი, ესპანეთი, პორტუგალია, ბელგია, სომხეთი, მოლდოვა, აზერბაიჯანი, ფინეთი, საბერძნეთი, ბელარუსი, ირანი, პოლონეთი, უნგრეთი, ბულგარეთი, ჩეხეთი, აშშ, კანადა, სლოვაკეთი, სლოვენია, სერბეთი, ჩერნოგორია, ხორვატია, რუმინეთი, ისრაელი, კუბა და საქართველო.**

ადრე შეპირებული გუნდებიდან მხოლოდ ისლანდიელები, ყაზახები და ნიგერიელები არ ჩამოვიდნენ. ისლანდიიდან ისედაც ერთი მოჭიდავე მოდიოდა და, ეტყობა, ამხელა გზაზე წამოსვლა იმანაც ფუჭად მიიჩნია. ყაზახებმა უჩვეულოდ მკაცრი ზამთრის გამო გადადებული ავიარეისები მოიმიზეზეს, ნიგერიელების ჩამოსვლა კი იმთავითვე სახუმარო თემად იქცა. იმდენად სახუმაროდ, რომ თურმე როცა ფედერაციამ მათ ჩამოსვლაზე საზღვრის დაცვის დეპარტამენტი საქმის კურსში ჩააყენა, იმათ გასცინებიათ, ეგენი შემოდგომაზეც მოდიოდნენ სროლის ტურნირზე, მაგრამ უიარაღოდ და ალბათ, ახლაც კიმონოების გარეშე მოდიანო. ჩვენის არ იყოს, ორხელისუფლებიანობა იმათაც ჰყვარებიათ და თურმე ჩვენს ფედერაციას ერთბაშად ორი კაცი ეკონტაქტებოდა, არა მე წარმოვადგენ ლეგიტიმურ ფედერაციას და არა მეო. ბოლოს, ოფიციალური წარმომადგენელი საერთაშორისო ფედერაციის ჩარევით გაარკვიეს, მაგრამ აფრიკელებმა 10-12 წლის ბავშვების განაცხადები გამოაგზავნეს. ჩვენებმა აუხსნეს, რომ ეს სალიცენზიო მსოფლიო თასი იყო და არა ჭაბუკთა ტურნირი. ნიგერიელებმაც არ დაახანეს და ფედერაციაში ზუსტად იგივე განაცხადი გამოაგზავნეს, ოღონდ დაბადების წლები ჰქონდათ მომატებული...

გუშინ „შერატონში" წილისყრაც გაიმართა და ჩვენთვის საინტერესო წყვილებიც ამოვიდა. ასე მაგალითად, **ზაზა კედელაშვილი** პირველ წრეში ისვენებს, მეორეში კი სერბ **მილოშ მიიალკოვიჩს** ხვდება. პრაქტიკულად, აქ ევროპის შარშანდელი ფინალი მეორდება. შეგახსენებთ, მაშინ დაძაბულ ბრძოლაში კედელაშვილმა მოიგო. იმედია, ახლაც ასე იქნება, თუმცა წილისყრამ ნამდვილად არ გაუმართლა - უჩიშიბაც ბადის ამავე ნახევარშია. იქვეა ჰოლანდიელი **დაქს ელმონტიც**, რომელიც პირველ წრეში უჩიშიბას ხვდება, და აზერბაიჯანელი სამგზის ევროპის ჩემპიონი **ელჩინ ისმაილოვი...**

ღმერთმა ქნას, კედელაშვილმა უჩიშიბას მოუგოს, მაგრამ თუ წააგო, მშვიდი ცხოვრება არც სანუგეშოში ელის. არადა, ახლა თუ იმარჯვებს, ლიცენზიას საბოლოოდ გაინაღდებს.

81-ში ისეთი მდგომარეობაა, ყველა ჩვენებურის გამოსვლა საინტერესოა. აქ სალიცენზიო რეიტინგში ჩვენებურთაგან **გიორგი ბაინდურაშვილი** ლიდერობს, რომელიც პირველ შეხვედრას ავსტრიელ **ფლორიან რინერტალერთან** გამართავს. ეს ნამდვილად არაა სერიოზული მეტოქე და ჩვენებურს არც ნახევარფინალამდე ელოდება ვინმე ისეთი, აღნიშვნად ღირდეს.

ბადის ამავე ნახევარშია საქართველოს წლევანდელი ჩემპიონი **საბა გავაშელიშვილი**, რომელიც თავდაპირველად იაპონელ მასაჰირო ტომოუჩის ხვდება. **გრიგოლ მამრიკიშვილი** პირველ წრეში ლატვიელ **კონსტანტინს ოვჩინიკოვსს** დაუწყვილდა. თუ მამრიკიშვილის ხანგრძლივ ტრავმიანობას გავიხსენებთ, ღვთის საჩუქარი არც ეს მეტოქე უნდა იყოს. **გრიგოლ შინჯიკაშვილის** მეტოქე კუბელ **არდეი გონსალესსა** და ებრაელ **ავისარ შნეიმანს** შორის გაირკვევა.

სხვა წონებში ლიცენზიები არ გვაინტერესებს, მაგრამ ჩვენების გამოსვლები მაინც საინტერესოა. მით უფრო, საყურადღებო წყვილები აქაც ვიხილეთ. მაგალითად, მძიმე წონაში **ლაშა გუჯეჯიანი** პირველ შეხვედრას **დენის ფან დერ ხესტთან** გამართავს. ზვიად ხანჯალიაშვილი პირველ წრეში ისვენებს, მისი მეტოქე კი პოლონელი **გჟეგოჟ ეიტელისა** და იაპონელი მსოფლიოს პრიზიორ **იოჰეი ტაკაის** ბრძოლაში გაირკვევა. სავარაუდოდ, აქ ტაკაი იმარჯვებს. კიდევ კარგი, ის და გუჯეჯიანი ბადის სხვადასხვა მხარეს მოხვდნენ და ფინალამდე ერთმანეთს ვერ შეხვდებიან. 90-ში **ირაკლი ცირეკიძეს** თავიდან კი გაუმართლა, მაგრამ მის მხარეს საკმაოდ ძლიერი ფალავნები მოგროვდნენ - პოლონელი **კრშიშტოფ ვეგლარცი**, ბრიტანელი **ვინსტონ გორდონი**, კუბელი **იორგ ბენავიდესი**, უკრაინელი **ვალენტინ გრეკოვი... ზურაბ ზვიადაური** პირველად სლოვაკ **მილან რანდლის** ხვდება, ნახევარფინალამდე სავარაუდო მეტოქეთა სიაში კი ესპანელი **დავიდ ალარზა**, გერმანელი **მიხაელ პინსკე** და იაპონელი სეიგო საიტო მოხვდნენ...

**დღესაც და ხვალაც შეხვედრები 10 საათზე დაიწყება, ფინალები - 18-ზე. გახსნის ცერემონიალი დღეს 17:30-ზე გაიმართება. დღესვე 60, 66 და 73-ის ფალავნები იჭიდავებენ, დანარჩენები - ხვალ. ბილეთი 2 ლარი ღირს, ოღონდ მისით მთელი დღის განმავლობაში ისარგებლებთ.**

| საქართველოს ნაკრები |
|---|
| **60 კგ.** |
| ვახტანგ ხოსიტაშვილი |
| ბეთქილ შუკვანი |
| უშანგი კუზანაშვილი |
| ამირან პაპინაშვილი |
| **66 კგ.** |
| ზაზა კედელაშვილი |
| უჩა ხუციშვილი |
| დავით ასუმბანი |
| ალექსანდრე იაკობაშვილი |
| **73 კგ.** |
| თენგიზ პაპოშვილი |
| დავით კუპრაშვილი |
| ზურაბ დილეგაშვილი |
| კახა მამულაშვილი |
| **81 კგ.** |
| გიორგი ბაინდურაშვილი |
| გრიგოლ შინჯიკაშვილი |
| გრიგოლ მამრიკიშვილი |
| საბა გავაშელიშვილი |
| **90 კგ.** |
| ირაკლი ცირეკიძე |
| ზურაბ ზვიადაური |
| ვარლამ ლიპარტელიანი |
| ბესიკ ტყემალაძე |
| **100 კგ.** |
| ლომერ ჟორჟოლიანი |
| გიორგი ყიზილაშვილი |
| ლევან რაზმაძე |
| მინდია გოდაველი |
| **+100 კგ.** |
| ლაშა გუჯეჯიანი |
| ზვიად ხანჯალიაშვილი |
| ადამ ოქრუაშვილი |
| ზვიად ჩინჩალაძე |

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი. პირველი ლიგა, ვაჟები

# ნიგალიძე შეუჩერებელია!



გაიოზ ნიგალიძე

**საქართველოს ჩემპიონატის პირველი ლიგის გათამაშებამ ნახევარზე მეტი გზა განვლო. ხუთი ტურის შემდეგ ერთპიროვნული ლიდერობა შეინარჩუნა გაიოზ ნიგალიძემ, რომელმაც უშუალო კონკურენტს, ლუკა პაიჭაძეს თეთრებით აჯობა.**

გაიოზის თამაშის სტილი მეტად მომხიბვლელია: აულელვებლად ირჯება, სადებიუტო პრობლემებიც არ ექმნება და თუკი მეტოქემ ოდნავ დააყოვნა, უმალ გადადის გადამწყვეტ იერიშზე, მცირე უზუსტობასაც არ პატიობს მეტოქეს და უპირატესობის რეალიზებას შესანიშნავად ახერხებს. ეს უკვე ნამდვილად არის საჭადრაკო ოსტატობის ნიშანი და ძალიან კარგია, რომ ნიგალიძე ყოველნლიურად პროგრესირებს. ერთი ეგ არის, უფრო მაღალ დონეზე გასასვლელად სერიოზული ფინანსური ხელშეწყობა ესაჭიროება - ყველაფერი, მწვრთნელიდან დაწყებული, ძლიერი ტურნირებით და შეკრებებით დამთავრებული, ჰაერივითაა საჭირო. გაიოზი ბათუმელია და ეგებ იქაურ ბიზნესმენებს თვალში მოხვდეთ ამ ნიჭიერი ოსტატის წარმატებები - დარწმუნებული ვარ, ნიგალიძე ბევრს მიაღწევს. სხვათა შორის, საქართველოს ჭადრაკის ფედერაციასაც მართებს ყურადღება და იმედია, წლევანდელი ბიუჯეტი იმის საშუალებას მისცემს ქართული ჭადრაკის ხელმძღვანელებს, რომ ნიჭიერებს სათანადო დახმარება გაუწიონ.

ნიგალიძემ უახლოეს მდევარს ერთი ქულით გაუსწრო, რაც სერიოზული ჰანდიკაპია და შეიძლება ითქვას, რომ უმაღლესის საგზური უკვე გაინაღდა, თუმცა ორიოდ ტური მაინც არის საჭირო, რათა პრაქტიკულად გაიფორმოს ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლება. ოთხი ქულა სამ მოჭადრაკეს დაუგროვდა და დღეს გაიოზი ერთ-ერთ მათგანს, **დავით ლომსაძეს** შავებით ეთამაშება. დანარჩენი ოთხქულიანები კი **გიორგი ციხელაშვილი** და **პარმენ გელაზონია** არიან.

კვლავ აგრძელებს ჩვენს გაოცებას ვეტერანი გიორგი ციხელაშვილი. მასზე ყველა ნომერში გვიწევს წერა და როგორც ჩანს, ტურნირის ბოლომდე ასე მოგვიწევს. ბატონი გიორგი მართლაც შესანიშნავად თამაშობს - წარმატებას მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი შემოქმედების ხარჯზე აღწევს: დებიუტშიც არ უჭირს და მიტელშპილში და ენდშპილშიც თავს ისე გრძნობს, როგორც თევზი წყალში. **თამაზ მგელაძესთან** მას შავი ფიგურები ჰქონდა და სიმართლე ითქვას ამჯერად გამარჯვებას ნაკლებად ველდით, მაგრამ ისევ შეძლო ინიციატივის ხელში აღება, ჯერ პოზიცია გაათანაბრა, შემდეგ უპირატესობაც მოიპოვა და ბოლოს მატერიალური სარგებელიც მიიღო: ხარისხი მოიგო, რასაც ფიგურებით დაწინაურებაც მოჰყვა და საბოლოოდ მეოთხე გამარჯვება ჩაიწერა აქტივში. მგელაძე თავს მედგრად იცავდა, მაგრამ ბატონმა გიორგიმ ისეთი ტექნიკური განსწავლულობა წარმოაჩინა, რომ შანსიც არ დაუტოვა მეტოქეს. ვეტერანი ხომ ახალგაზრდებს მოგებებით ისედაც ასწავლის ჭკუას და მისი უპირატესობის რეალიზაცია და ტექნიკური მხარე ცალკე დაკვირვების საგანია - ვფიქრობ, არ აწყენდათ უმცროსი თაობის მოჭადრაკეებს, მეტი ყურადღება დაუთმონ მის პარტიებს. გარდა ტექნიკურისა, ციხელაშვილის პარტიები აშკარად სიღრმისეული გააზრებით გამოირჩევა რაც ასე აკლიათ დღევანდელ მოჭადრაკეებს. ალბათ ყველაზე მეტად სწორედ ამ თვისებით ჯობნის ციხელაშვილი შვილიშვილის ტოლა ამბიციურ ოსტატებს...

გუშინდელი ტური გოგონათა კვარტეტისთვის წარუმატებული აღმოჩნდა: სამმა წააგო, მხოლოდ ნინო ბაციაშვილმა შეძლო შავებით ყაიმის მიღწევა - მისი მეტოქე **დავით ლომსაძე** იყო. ობიექტური რომ ვიყოთ, ლომსაძეს უნდა მოეგო, - დიდი უპირატესობა ჰქონდა, მაგრამ უყურადღებოდ ითამაშა ერთ მომენტში, რაც ლამის წაგებად დაუჯდა - ხარისხით ჩამორჩა და რის ვაივაგლახით დაიჭირა საყაიმო პოზიცია. **სოფო ხუციძემ** შავებით **ივერი ჭილლაძესთან** წააგო; **მერი არაბიძემ** ასევე დაძაბულ ბრძოლაში დათმო ქულა **პარმენ გელაზონიასთან**, თუმცა, შეეძლო ყაიმის მიღწევა; თეთრებით დამარცხდა **ალექსანდრა ვახანია** - მისი მეტოქე **შოთა აზალაძე** იყო.

მეექვსე ტურში დიდ ინტერესს ტრადიციულად პირველ დაფებზე მსხდომთა ორთაბრძოლები იწვევს. განსაკუთრებით თვალსასეირო მეორე დაფაზე **პარმენ გელაზონიასა** და **გიორგი ციხელაშვილის** შეხვედრა იქნება. ვნახოთ, ვეტერანი ამჯერადაც თუ შეძლებს წარმატებულ თამაშს; წინაპირობა კი აქვს - თეთრებითაა, რაც, მოგეხსენებათ, ჭადრაკში გარკვეულ უპირატესობას იძლევა. ერთია მხოლოდ: გაუძლებს თუ არა ასეთ დაძაბულობას ბატონი გიორგი ფიზიკურად. გუშინ დაიჩივლა - შესვენების დღე მაინც იყოს, უკვე ძალიან დავიღალეო. სხვათა შორის, ერთი დასვენების დღე მართლაც უნდა იყოს - ნებისმიერი სარეიტინგო ტურნირი, რომელსაც თავმოყვარე ფედერაცია აწყობს, ასეთ პაუზას ითვალისწინებს, ჩვენში კი რატომღაც ამ წესს არ აძლევენ სათანადო მნიშვნელობას.

უკვე შეიძლება გამოიკვეთოს ის ჯგუფი, ვინც ექვსეულისთვის იბრძოლებს. ცხადია, პირველ ათ დაფაზე უნდა ვეძებოთ „უმაღლესლიგელები", თუმცა არ არის გამორიცხული, რომ ერთი-ორი ოდნავ ქვემოდანაც ამოძვრეს - ფინიშამდე ოთხი ტურია და კარგი კოეფიციენტის შემთხვევაში 2.5 ქულიანსაც აქვს წარმატების შანსი.

პირველ ათ დაფაზე კი დღეს ესენი ითამაშებენ:

**დავით ლომსაძე (4)-გაიოზ ნიგალიძე (5); გიორგი ციხელაშვილი (4)-პარმენ გელაზონია (4); ლევან ბრეგაძე (3.5)-ალეკო მანაშვილი (3.5); ლუკა პაიჭაძე (3.5)-ზვიად ფაცია (3.5); ნინო ბაციაშვილი (3.5)-ივერი ჭილლაძე (3.5); შოთა აზალაძე (3.5)-იოსებ კვირიაშვილი (3.5); ნიკა ვოლკოვი (3)-თამაზ მგელაძე (3); ვახტანგ თევდორაშვილი (3)-მერი არაბიძე (3); ირაკლი ჯანიაშვილი (3)-დავით ურუშაძე (3); სოფო ხუციძე (3)-ნოდარ გოგაძე (3).**

ზვიად შათირიშვილი



ნუგზარ სურამის ფოტოები




ტოჩინოშინი

იანვრის ბაშო

# ორიც და ჩემპიონია

20 წლის **ლევან გორგაძე**, იგივე **ტოჩინოშინი**, მეორე ელიტური დივიზიონის (ძურიო) ერთპიროვნული ლიდერია. 10-3 ბალანსი მხოლოდ ქართველ დებიუტანტს აქვს. ტოჩინოშინს კვალში ცხრა-ცხრა მოგებით ოთხი სუმოისტი უდგას. გუშინ ჩვენებური **კოტოკასუგას** შეხვდა და იორიკირით აჯობა რანგით მასზე მაღლა მდგომ რიკიშის. ამავდროულად წააგო ვეტერანმა **კიტაძაკურამ** და ლევანს ერთპიროვნული ლიდერობა დაუთმო.

დღეს ლევან გორგაძე ძურიოს დივიზიონში მოასპარეზეთაგან ყველაზე გამოცდილს, 36 წლის **ოცუკასას** შეხვდება, რომელმაც გუშინ კიტაძაკურას აჯობა. ოცუკასას რვა მოგება აქვს, ტოჩინოშინის მსგავსად მან ბოლო ოთხი ბრძოლა მოიგო. თუკი ლევანი დარჩენილ ორ ორთაბრძოლაშიც გამარჯვებს, ის ძურიოს დივიზიონის ჩემპიონი გახდება.

უმაღლეს დივიზიონში დადებითი ბალანსი და რეიტინგში შემდგომი წინსვლა გაინაღდა **ლევან ცაგურიამ (კოკაი)**, რომელმაც ბაშოზე მერვე გამარჯვება ოს **სოსლან გაგლოევზე (ვაკანოჰო)** იზეიმა. კოკაიმ ამით ნოემბერში განცდილი მარცხისთვის შური იძია 19 წლის ვაკანოჰოზე. დარტყმების სერიის მერე, ქართველი მეტოქის კორპუსში შევიდა დოჰიოდან მიწოლით გაიყვანა. კოკაის დღევანდელი მეტოკე **იოშიკაძეა**, რომელსაც წყალივით სჭირდეა გამარჯვება, რათა ძურიოში დაქვეითება თავიდან აიცილოს. ურთიერთშეხვედრებში ფრეა - 1:1.

გუშინ ბაშოზე ორმა დიდმა ჩემპიონმა ძალიან რთული გამარჯვებები იზეიმა. **ჰაკუჰომ** ერთ წუთზე მეტი უტრიალა კაიოს, მაგრამ გოლიათი ჩემპიონის ადგილიდან დაძვრა ბოლოსლა შეძლო. **ასაშორიუ** კი ჩემპიონმა **კოტომიცუკიმ** დოჰიოს კიდეზე მიიმწყვდია, მონღოლო მხოლოდ სასწაულებრივად დაუძვრა მეტოქეს და იმარჯვა. ჰაკუჰოს და ასაშორიუს 12-12 მოგება აქვთ, დღეს ისინი მეტოქეებს გაცვლიან. იმპერატორის თასისთვის ბრძოლაში ამ დუეტის გარდა რეალურად მხოლოდ მონღოლ კაკურიუს შეუძლია ჩაებას, რომელსაც 11 მოეგბა აქვს და დღეს ბულგარელ ჩემპიონ კოტოოშუს ხვდება.

ნიკოლოზ ნეფარიძე

**ჰაცუ ბაშო (იანვრის სუპერტურნირი)**
**13-27 იანვარი, ტოკიო (იაპონია)**

**მაკუუჩი**

XIII დღე. მნიშვნელოვანი ბრძოლები: კოკაი-ვაკანოჰო 1:0 (იორიკირი), ჰაკუჰო-კაიო 1:0, ასაშორიუ-კოტომიცუკი 1:0, ტაკეკაძე-კოტოოშუ 1:0, ტოიონოშიმა-ამინიშიკი 1:0, ამა-მიაბიამა 1:0, კოტოშოგიკუ-გოეიდო 1:0, ვაკანოსატო-დეჯიმა 1:0, კიოკუტენჰო-კისენოსატო 1:0, კაკურიუ-ტოკიტენკუ 1:0, ასასეკირიუ-ფუტენო 1:0, როჰოტოსანოუმი 1:0, კაიჰო-კასუგაო 1:0.

სატურნირო მდგომარეობა. 12-1: ჰაკუჰო (იოკოძუნა), ასაშორიუ (იოკოძუნა). 11-2: კაკურიუ (მაეგაშირა 8). 10-3: ტაკეკაძე (მ 7), კიოკუტენჰო (მ 10). 9-4: ასასეკირიუ (მ 4). 8-5: კოკაი (მ 9).

XIV დღე. მნიშვნელოვანი წყვილები: კოკაი-იოშიკაძე, ასაშორიუ-კაიო, ჰაკუჰო-კოტომიცუკი, კოტოოშუ-კაკურიუ, ასასეკირიუ-ამა, კისენოსატო-ამინიშიკი, დეჯიმა-ტოიონოშიმა, კოტოშოგიკუ-ტაკეკაძე, ტოკიტენკუ-მიაბიამა, გოეიდო-როჰო, კიოკუტენჰო-კაიჰო, ვაკანოსატო-ფუტენო.

**ძურიო**

XIII დღე. მნიშვნელოვანი ბრძოლები: ტოჩინოშინი-კოტოკასუგა 1:0 (იორიკირი), მოკონამი-ჩიოჰაკუჰო 1:0, ჰოჩიამა-რიუო 1:0, საკაიძავა-კიტაძაკურა 1:0, ოცუკასა-შირონონამი 1:0, ტამავაში-ჰოშიჰიკარი 1:0.

სატურნირო მდგომარეობა. 10-3: ტოჩინოშინი (ძურიო 12). 9-4: საკაიძავა (ძ 3), კიტაძაკურა (ძ 8), ჰაკუბა (ძ 8), ტამავაში (ძ 13). 8-5: ოცუკასა (ძ 4), ჰოშიჰიკარი (ძ 5), შირონონამი (ძ 9), კიტატაიკი (ძ 11).

XIV დღე. მნიშვნელოვანი წყვილები: ტოჩინოშინი-ოცუკასა, ჰოშიჰიკარი-კორიუ, შირონონამი-რიუო, საკაიძავა-ჰაკუბა, კიტაძაკურა-სატოიომა, ტამავაში-ტოიოძაკურა, მოკონამი-კიტატაიკი.

ინტერვიუ ირაკლი ბართაიასთან

# მეტი, ვიდრე მშრალი შედეგები



ქართველმა წყალმხტომელებმა სეზონის პირველი შეჯიბრება - მადრიდის მსოფლიო თასის ეტაპი უკან მოიტოვეს. ჭოლა ჭანტურია და შოთა კორახაშვილი მადრიდში არც ისე კარგად გამოვიდნენ. 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ჭოლა ჭანტურია 24-ე იყო, ხოლო შოთა კორახაშვილმა 28-ე შედეგი აჩვენა. რაც შეეხება სინქრონულ ხტომას, აქ ჭანტურია-კორახაშვილის დუეტი ბოლო ადგილზე გავიდა.

**როგორც საქართველოს სანყლოსნო სახეობათა ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ირაკლი ბართაიამ გვითხრა, მადრიდში ნაჩვენებ მშრალ შედეგებზე მეტად ის იყო მნიშვნელოვანი, რომ ნათლად გამოჩენილიყო ჩვენი სპორტსმენების ხარვეზები. ერთ თვეში ჩინეთის დედაქალაქში პეკინის ოლიმპიადის სალიცენზიო მსოფლიო თასი ჩატარდება და ამ ერთ თვეში, ყველა ნაკლოვანება მინიმუმამდე უნდა დავიდეს.**

- რაკილა პეკინის ოლიმპიადის სალიცენზიო მსოფლიო თასი თებერვალში Gგაიმართება, საერთაშორისო ფედერაციამ გადაწყვიტა, რომ მადრიდის მსოფლიო თასი უჩვეულოდ ადრე, იანვარში გადმოეტანა. იანვარში საერთაშორისო შეჯიბრებაზე აქამდე არასოდეს გამოვსულვართ. ალსანიშნავია ისიც, რომ შარშან უფროსთა მსოფლიო ჩემპიონატი და გრანპრი მარტ-აპრილში გაიმართა. ახალგაზრდული გუნდი გვყავს და იმის შემდეგ, ჩვენი მხტომელები მთლიანად ახალგაზრდულ შეჯიბრებებზე გადაერთვნენ.

ამდენად, მადრიდის მსოფლიო თასზე ჩვენთვის ყველაზე მეტად ის იყო მნიშვნელოვანი, რამდენად გაუწევდნენ ჩვენი ახალგაზრდა სპორტსმენები უფროს, გამოცდილ და ტიტულოვან მეტოქეებს კონკურენციას. გვინდოდა ნათლად დაგვენახა ხარვეზები, რათა პეკინის ოლიმპიადის სალიცენზიო მსოფლიო თასამდე მათ აღმოფხვრაზე მაქსიმალურად ვიმუშავოთ.

მადრიდში ფაქტობრივად, ისეთი შეჯიბრება ჩატარდა, რომ დონით ევროპის ჩემპიონატზე მაღლა იდგა. პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიებზე 30 ქვეყანა აცხადებს რეალურ პრეტენზიას. აქედან, მადრიდში 23 ქვეყანა ჩამოვიდა. მათ შორის იყო არაერთი ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს ჩემპიონი თუ პრიზიორი. წამყვანი ევროპული ქვეყნების გარდა, ესპანეთში ჩამოვიდნენ სხვა კონტინენტების ისეთი მსოფლიო გრანდებიც, როგორებიც არიან ჩინეთი, კანადა და მექსიკა. ასევე საკმაოდ მძლავრი გუნდი ჰყავს ვენესუელას.

მოკლედ, ასეთ კამპანიაში, ჭოლა ჭანტურია და შოთა კორახაშვილი ასაკით თითქმის ყველაზე პატარები იყვნენ. რამდენიმე თავისი ასაკის და ოდნავ უფროს მეტოქეს კი მოუგეს, მაგრამ შედარებით ასაკოვან და გამოცდილ კონკურენტებს ჩამორჩნენ. თუმცა, უკეთYგამოსვლა ნამდვილად შეეძლოთ.

**- რაში აჯობეს კორახაშვილს და ჭანტურიას მეტოქეებმა?**

- ძირითადად, უფრო ფსიქოლოგიურად. საქართველოშიც და ესპანეთშიც მათ ვარჯიშებზე ყველაფერი ნორმალურად გააკეთეს, მაგრამ როდესაც საასპარეზოდ გავიდნენ და გვერდში ამოუდგნენ მსოფლიოსა თუ ოლიმპიურ ჩემპიონებს, ცოტა ანერვიულდნენ.

დავიწყოთ ჭოლა ჭანტურიათი. მადრიდიდან დაბრუნების შემდეგ, ერთმანეთს შევადარეთ ჭოლას ახლანდელი და შარშანდელ ანალოგიურ შეჯიბრებაზე გამოსვლა. აღმოჩნდა, რომ ახლა შარშანდელზე 34 ქულით მეტი გააკეთა, ანუ პროგრესი აშკარაა. თუმცა, მან ესპანეთში ცოტა უცნაურად იასპარეზა. კონკრეტულად, გაუჭირდა იმ ნახტომებში, რომელიც შედარებით ადრე ჰქონდა დახვეწილი და კარგად უნდა შეესრულებინა, მაგრამ რთული ნახტომები ნორმალურად გამოუვიდა.

დაახლოებით იგივე შეემთხვა შოთა კორახაშვილს, რომელიც თავიდან ჭოლაზე წინაც კი იყო, მაგრამ ჭანტურიამ ბოლოს მაინც გაუსწრო. მოკლედ, ორივე სპორტსმენის შემთხვევაში, სადაც არ ველოდით, იქ წაიბორძიკეს და სადაც კარგად გამოსვლას ველოდით, იქ დაუშვეს შეცდომები. ალსანიშნავია, რომ შოთა კორახაშვილმა შარშან ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე მეხუთე ადგილი დაიკავა, ხოლო იგივე ასაკში მსოფლიო ჩემპიონატზე მეათე იყო. თუმცა, ჭანტურიასთან ერთად სინქრონულში უფრო გიორგი გევორქიანის კანდიდატურა გვესახებოდა, მაგრამ რაკილა გიორგი სთანადო ფორმაში არ იყო, მადრიდში კორახაშვილი წავიყვანეთ.

სინქრონულში მადრიდში ბოლო ადგილზე გავედით და რასაკვირველია, კმაყოფილი ვერაფრით ვერ ვიქნები. თუმცა, პერსპექტივა აქაც გვაქვს. შარშან, სინქრონულის მსოფლიო რეიტინგში მსოფლიოში მე-17 ადგილზე ვიყავით, ევროპაში კი მერვეზე. შევეცდებით, წლეულს კიდევ უფრო წინ წავიდეთ.

**- რამდენად რეალურად გეჩვენებათ ოლიმპიური ლიცენზიისთვი ბრძოლა?**

- შანსი ყოველთვის არის და იმედიანად ვარ, მაგრამ ძალიან დიდი ბრძოლის გადატანა მოგვიწევს. გარდა იმისა, რომ ამ ერთ თვეში მაქსიმალურად ბევრი მუშაობა მოგვიწევს, სალიცენზიო მსოფლიო თასზე არაერთ წინააღმდეგობას წავაწყდებით. ერთეულებში დარჩენილ 22 ლიცენზიაზე 48 წყალში მხტომელი აცხადებს პრეტენზიას და ყველა ჩვენს სპორტსმენებზე გამოცდილია. მეტოქეთაგან ყველაზე ახალგაზრდები ჩვენებზე 2-3 წლით უფროსები არიან.

ამას გარდა, მსაჯებიც საკმაოდ მკაცრად განგვსჯიან, რისი ნიშნებიც უკვე გამოიკვეთა მადრიდში. დაინახეს, რომ გამოჩნდნენ ახალგაზრდა ქართველები, რომლებიც შევიწროების რეალურ საფრთხეს უქმნიან ოლიმპიადაზე მოხვედრის კანდიდატებს და ამის გამო ჩვენთვის ქულების დაწერაში ნაკლებად ლმობიერები იქნებიან, მინიმალურ ხარვეზსაც კი არ გვაპატიებენ.

მადრიდში ჭანტურიამ 323,05 ქულა მოაგროვა, შოთა კორახაშვილის მონაგარი კი 306,25 ქულა იყო. ოლიმპიური ლიცენზიისთვის დაახლოებით 340-380 ქულა იქნება საკმარისი, რაც რეალურია, მაგრამ ძალიან ბევრია დამოკიდებული იმაზე, რამდენად მკაცრები იქნებიან მსაჯები.

რაც შეეხება სინქრონულ ხტომებს, აქ უფრო რთულადაა საქმე. 8 წყვილს ეძლევა ლიცენზია, საიდანაც 4 უკვე გაცემულია. დანარჩენ 4 საგზურზე კი 20-მდე ქვეყანა აცხადებს რეალურ პრეტენზიას.

მოკლედ, თუ ყველაფერი კარგად წარიმართება, ლიცენზიის მოპოვება ნამდვილად შეგვიძლია. თუკი ამას მოვახერხებთ, ეს დიდი წარმატება იქნება.

**- ვისგან ელოდებით ლიცენზიას?**

- გადაჭრით ამის თქმა ძნელია. მაგალითად, მადრიდში ჭანტურიასი უფრო გვეიმედებოდა, მაგრამ კინაღამ კორახაშვილმა მოუგო. საქმეში ჩერთვება გევორქიანი და მასაც შეუძლია ბრძოლა. ბევრი რამაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად მალე გაივლიან ადაპტაციას და როგორ განეწყობიან ფსიქოლოგიურად. აგერ, მადრიდში ოლიმპიური ჩემპიონი მესამე ადგილზე გავიდა. ასე, რომ ვნახოთ, წინასწარ პროგნოზის გაკეთება რთულია.

აქვე, მინდა ვისარგებლო შემთხვევით და თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გადავუხადო სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის ხელმძღვანელობას, რომელიც დიდ დახმარებას გვიწევს...

**კობა ხატისაშვილი**



ელექტრონული ბიბლიოთეკა



ინტერვიუ მერაბ კვირიკაშვილთან

# არც მათამაშებთ და ნაკრებშიც არ მიშვებთ?!

საქართველოს ნაკრების 10 ნომერს, მერაბ კვირიკაშვილს, საფრანგეთში გამართული მსოფლიო თასის შემდეგ საკლუბო კარიერაში პრობლემები არ ელევა. მეკო მეორე დივიზიონის „პოში" შარშან, შუა სეზონში გადავიდა და გუნდი დივიზიონიდან გავარდნას გადაარჩინა. წლეულს რატომღაც გუნდის მწვრთნელები აღარ წყალობენ და თერთმეტიდან მხოლოდ სამ შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა. ამასაც არ დასჯერდნენ და ახლა ეროვნულ ნაკრებში მისი არგამოშვებაც სცადეს.

- ვერაფერი გავიგე, - გვიამბობს მერაბ კვირიკაშვილი. - მაინცდამაინც ახლა დავჭირდი, ეროვნული ნაკრების თამაშები რომაა. აქამდე თამაშის საშუალებას არ მაძლევდნენ, შემადგენლობაში არ მაყენებდნენ. რომ ვიკითხავდი, რატომ არ ვთამაშობ-მეთქი, სრულიად უაზრო პასუხს მცემდნენ. ეს ყველაფერი ძალიან მაღიზიანებს, ამიტომ მათ კატეგორიულად განვუცხადე, ნაკრებს მნიშვნელოვანი თამაშები აქვს და აუცილებლად უნდა წავიდე-მეთქი. ჩემსას აუცილებლად გავიტან.

**- რატომ არ გაძლევენ თამაშის საშუალებას?**

- ჩემს პოზიციაზე კლუბში ორი ფრანგია, ერთი ოცწლამდელთა ნაკრებში აიყვანეს, მეორე საფრანგეთის A ნაკრებში აჰყავთ. მწვრთნელები ცდილობენ მათ წარმოჩენას. არადა, გარწმუნებთ, ჩემზე უკეთესები არაფრით არიან. ყოველ შემთხვევაში, ისე უნდა იყოს, რომ მატჩის ნახევარს მე უნდა ვთამაშობდე, ნახევარს კი ისინი. რამდენიმე შეხვედრაში შეცვლაზე ვითამაშე, ძირითადში ერთადერთხელ გრენობლში ვიდექი. ჩემთვის ეს საკმარისი არაა.

**- როგორც ჩანს, პრობლემა საკმაოდ სერიოზულია. „პოდან" თქვენი წასვლის თაობაზე ლაპარაკი ხომ არ დაწყებულა?**

- მე ამ თემაზე მათ არ ველაპარაკები. ჩემი მენეჯერი ესაუბრა და უთხრეს, რას ამბობთო, ის ძალიან პერსპექტიულია, კარგი მომავალი აქვს და ჩვენთან გვინდა იყოსო. თუ კი ასეა, ხომ უნდა მათამაშებდნენ კიდეც?

**- ამ მიზეზით თანაგუნდელებთან პრობლემები ხომ არ შეგექმნათ?**

- არა, არანაირი, ყველასთან ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს, ყველას ესმის ჩემი, განსაკუთრებით რუმინელებს და რუს სლავა გრაჩოვს.

**- ნაკრებში ორივე თამაშზე ჩამოხვალთ?**

- დიახ. ამათ სურთ, მხოლოდ პორტუგალიასთან ვითამაშო, მაგრამ მე კატეგორიულად წინააღმდეგი ვარ. რუმინელების წინააღმდეგაც ვიბრძოლებ.

**- პორტუგალიასთან თამაშში ძალიან ბევრი მორაგბე დაგვაკლდება, რაც ალბათ თამაშის ხარისხზეც აისახება....**

- ასეა, მაგრამ ყველამ, ვინც ნაკრებში ვართ, მაქსიმალური მობილიზება უნდა მოვახდინოთ. პორტუგალიას აუცილებლად უნდა მოვუგოთ. ახალი მწვრთნელი, მოკლე დროში, ცხადია, ახალს ვერაფერს გვასწავლის. მის მიერ შემოთავაზებულ ტაქტიკაზე ნელ-ნელა, დროთა განმავლობაში უნდა გადავიდეთ. კარგია, რომ მთავარი მწვრთნელის ასისტენტები ლევან ცაბაძე და ვიქტორ დიდებულიძე იქნებიან, მართალია მათ სამწვრთნელო გამოცდილება არ აქვთ, მაგრამ უდიდესი გამოცდილება და ცოდნა გააჩნიათ. ვფიქრობ, უნდა გაამართლონ.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ახალგაზრდა ლეგიონერი. ნიკა მეტრეველი

# სტუმრად პიცე, შინ სნაიპერი



თბილისში გატარებული ერთკვირიანი არდადეგების შემდეგ საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების ცენტრი **ნიკა მეტრეველი** იტალიაში დაბრუნდა და ორი მატჩის ჩატარებაც მოასწრო.

ნიკას „მონტეპასკიმ" იტალიის 19-წლამდელთა ჩემპიონატში ორივე შეხვედრა დამაჯერებლად მოიგო.

სიენელები ჯერ სპეციას ენვივნენ და მასპინძლები 30 ქულის სხვაობით, 90:60 იმარჯვეს. 16:19 ნაგებული პირველი ტაიმის შემდეგ „მონტეპასკიმ" მეორე ათწუთეული 24:10 მოიგო და ფაქტობრივად პირველ ტაიმში გადაწყვიტა გამარჯვებულის ბედი.

ახალგაზრდა ქართველმა ცენტრმა 12 ქულა ჩააგდო და გუნდის ვიცე-სნაიპერი გახდა. სიენელთა ბომბარდირობა კი მარტონემ იკისრა - 15 ქულა.

მომდევნო შეხვედრა „მონტეპასკიმ" შინ ჩაატარა და სტუმარ-მასპინძლობის წესის დაუცველად „პრატო" 116:47 გაანადგურა. ამ შემთხვევაში ნიკას თანაგუნდელებმა პირველივე წუთებიდან ნათელი გახადეს სხვაობა კლასში - პირველი მეოთხედი 32:13 მოიგეს.

საშინაო მატჩში შეტევაში უკეთ ითამაშა ნიკა მეტრეველმა, რომელმაც 18 ქულა ჩააგდო და მატჩის სნაიპერობა არავის დაუთმო.

ისევე, როგორც „მონტეპასკის" მთავარი გუნდი სერია A-ში, იტალიის ახალგაზრდულ ჩემპიონატში სიენელთა 19-წლამდელებიც სატურნირო ცხრილის სათავეში არიან მოქცეულნი. ამ ორ გუნდს შორის სხვაობა ისაა, რომ დიდებს ერთი ნაგება აქვთ, მეტრეველის თანაგუნდელები კი დღემდე წაუგებლად მოდიან.

**ვაჟა სიმონიშვილი**



ბალტიის ლიგის ოლ სტარი

# ცინცაძე სასტარტო ხუთეულშია!

SEB BBL ALL STAR GAME
TALLINN, SAKU ARENA, 2007/2008

2 თებერვალს გიორგი ცინცაძე ბალტიის ლიგის ვარსკვლევთა მატჩში ითამაშებს. მან ინტერნეტ-გამოკითხვაში საბოლოოდ 11542 ხმა მიიღო და მხოლოდ „ჟალგირისის" გამთამაშებელ **მარკუს ბრაუნს** ჩამორჩა, რომელმაც 12727 ხმა მოაგროვა. ასე და ამგვარად, ბუ ბრაუნის გვერდით ბალტიის თასზე მოთამაშე ლეგიონერთა ნაკრების სასტარტო შემადგენლობაში იქნება. სათადარიგო უკანახაზელებად მწვრთნელებმა ჟალგირისელი **მარკო პოპოვიჩი** (10811 ხმა), რიგელი **კურტის მილაგე** (9159) და რიტასელი **ჰოლის პრინსი** (6992) მიიწვიეს.

გამოკითხვაისას ძირითად შემადგენლობაში მოხვედრისთვის დიდი „ჭიდაობა" გამართეს გიორგი ცინცაძემ, მარკუს ბრაუნმა და მარკო პოპოვიჩმა, ხან ერთი ადიოდა პირველ ადგილზე, ხან - მეორე, ხან მესამე... ხან ერთი აღმოჩნდებოდა ორეულს მიღმა, ხან - მეორე, ხან მესამე... გამოკითხვის დასრულებამ საბედნიეროდ ცინცაძეს მეორე ადგილზე მოუსწრო და უკვე გითხარით, რომ ბრაუნთან ერთად ლეგიონერთა ნაკრების ხუთეულში გიორგი ითამაშებს. ამ სამი კალათბურთელის წლევანდელი გამოსვლის უკეთ შედარებისთვის გთავაზობთ მათ ბალტიურ სტატისტიკურ მონაცემებს.

**მარკუს ბრაუნი:**

საშუალოდ 9.8 ქულა, 1.4 მოხსნა, 1.8 პასი, 0.4 ჩაჭრა, 0.8 შეცდომა. **მარკო პოპოვიჩი:**

14.3 ქულა, 1.9 მოხსნა, 2 პასი, 1.1 ჩაჭრა, 1.4 შეცდომა. **გიორგი ცინცაძე:**

11.3 ქულა, 3.3 მოხსნა, 3.7 პასი, 0.6 ჩაჭრა, 2.6 შეცდომა. როგორც ხედავთ, ქართველი გამთამაშებელი ბელტიის „ოლ სტარის" სასტარტო ხუთეულში შემთხვევით არ მოხვედრილა.

მკითხველს გავახსენებთ „ბუს" ნათქვამს გამოკითხვის დაწყების პირველ დღეებში: „წელს ვარსკვლავთა მატჩში მოხვედრის ნაკლები შანსი მაქვს. ჩემი კონკურენტები „რიტასისა" და „ჟალგირისის" გამთამაშებლები არიან. სხვათა შორის, „ოლ სტარში" თამაშის შანსი შარშან უფრო მქონდა, რადგან მესამე ადგილზე გავედი და მეორეადგილოსანმა პოპოვიჩმა მაშინ ტრავმა მიიღო, მაგრამ ლეგიონერთა ნაკრების მწვრთნელმა ჩემს ნაცვლად სხვა აიყვანა."

როგორც ხედავთ გამოკითხვის დაწყებისას ცინცაძეს ვარსკვლავებში გარევისა არ სჯეროდა, როგორი იქნება ბრაუნის და მისი კალიბრის კალათბურთელთა გვერდით თამაში, 2 თებერვალს შევიტყობთ.

ბალტიის ლიგის „ოლ სტარი" 2 თებერვალს ესტონეთის დედაქალაქ ტალინში იქაური დროით 14 საათზე დაიწყება.

ვიდრე ვარსკვლავთა მატჩის გუნდების შემადგენლობებს გაგაცნობდეთ, გეტყვით რომ გიორგი ცინცაძე მესამე ქართველი იქნება, ვინც ევროპის საკლუბო ტურნირში მიიღებს მონაწილეობას. 1998 წელს ევროლიგის „ოლ სტარი" ვლადიმერ სტეფანიას აქვს ნათამაშევი, ხოლო შარშან ადრიატიკის თასის ვარსკვლავებში ოლიმპიელი მანუჩარ მარკოიშვილი მიიწვიეს.

**ვახტანგ ტყეშელაშვილი**

### ბალტიისპირელები

ᲣᲙᲐᲜᲐᲮᲐᲖᲘ: **მანტას კალნეიტისი** (ჟალგირისი, 12345 ხმა), **სანდის ვალტერსი** (რიგა, 9914)

ᲤᲝᲠᲕᲐᲠᲓᲔᲑᲘ: **იონას მაცოულისი** (ჟალგირისი, 11531), **კრისტიან კანგური** (კალევი, 10440)

ᲪᲔᲜᲢᲠᲘ: **ეურელიუს ჟუკაუსკასი** (ჟალგირისი, 10744)

ᲡᲐᲗᲐᲓᲐᲠᲘᲒᲝᲔᲑᲘ: **არმანდს შკელე** (ბარონსი), **უვის ჰელმანისი** (ვენტსპილსი), **მარიონას პატრავიჩუსი** (რიტასი), **მინდაუგას ლუკაუსკისი** (რიტასი), **იანარ ტალტსი** (როკი), **ტანელ ტეინი** (როკი), **ვალმო კრიისა** (კალევი).

ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ: **რიმანტას გრიგასი** (ჟალგირისი)

### უცხოელები

ᲣᲙᲐᲜᲐᲮᲐᲖᲔᲚᲔᲑᲘ: **მარკუს ბრაუნი** (ჟალგირისი, 12727), **გიორგი ცინცაძე** (როკი, 11542)

ᲤᲝᲠᲕᲐᲠᲓᲔᲑᲘ: **მეტიუ ნილსენი** (რიტასი, 11205), **ჩარლზ ედისონი** (რიტასი, 10834)

ᲪᲔᲜᲢᲠᲘ: **ტრევის რიდი** (კალევი, 10139)

ᲡᲐᲗᲐᲓᲐᲠᲘᲒᲝᲔᲑᲘ: **მარკო პოპოვიჩი** (ჟალგირისი), **ჰოლის პრინსი** (რიტასი), **კურტის მილაგე** (რიგა), **დემეტრიუს ალექსანდერი** (ბარონსი), **ვლადიმირ შტიმაცი** (ვალმეირა), **აკინლოლუ აკინბალა** (ვენტსპილსი), **ბრაიან კუსვორსი** (როკი).

ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ: **ალექსანდრ ტრიფუნოვიჩი**



დავით უგრეხელიძე

ლეგიონერი

# ბორაჩმა ნოემბრის შემდეგ პირველად წააგო

ბოსნიის ჩემპიონატში „ბორაჩ ნექტარმა" ხუთმატჩიანი წარმატებული სერია „ჩელიკთან" მარცხით შეწყვიტა. **დავით უგრეხელიძის** თანაგუნდელებმა სტუმრად 79:83 დათმეს, თუმცა, პირველი მეოთხედის შემდეგ ნაკლებად თუ ვინმე იფიქრებდა, რომ „ბორაჩი" შინ ერთი ქულით გაბრუნდებოდა. სტუმრებმა საწყისი ათწუთეული 20:9 მოიგეს, მაგრამ ბოლო პერიოდში მეტოქეს 10 ქულის სხვაობით ჩამორჩნენ (12:22) და გამარჯვება „ჩელიკს" დაუთმეს.

დავით უგრეხელიძემ 15 წუთი ითამაშა, 1 ორქულიანისტყორცნა და მატჩი 2-2 ქულა-მოხსნით დაასრულა.

სადღეისოდ „ბორაჩ ნექტარს" 14-დან 8 მატჩი აქვს მოგებული და ბოსნიის პირველობის სატურნირო ცხრილში მე-6 ადგილზეა.

**ვახტანგ ტყეშელაშვილი**

## თარიღი

**ლევ გოლოვნია.** დაიბადა 26.01.1889, ქუთაისი - 22.09.1969, თბილისი. ფარიკაობა, მწვრთნელი. საქართველოში ფარიკაობის ერთ-ერთი ფუძემდებელი. თავიდან მისდევდა ტანვარჯიშს და მძლეოსნობას. ფარიკაობაში ვარჯიში დაიწყო 1914 წელს, იტალიელი მწვრთნელების ხელმძღვანელობით, კიევის უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში. იყო ფარიკაობის იტალიური სკოლის მიმდევარი, აღზარდა არაერთი ცნობილი სპორტსმენი და სპეციალისტი. მუშაობდა ამიერკავკასიის ფიზკულტურის ინსტიტუტში (ბაქო) საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის დაარსებიდანვე (1938) ჩამოაყალიბა და სათავეში ჩაუდგა ფარიკაობის კათედრას. სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი, სსრკ დამსახურებული მწვრთნელი.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი თანაგრძნობას უცხადებს საქართველოს პრემიერ-მინისტრს ვლადიმერ გურგენიძეს მამის და საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის ყოფილ მოადგილეს თედორე გურგენიძეს ძმის

**ირაკლი გურგენიძის**

გარდაცვალების გამო.

პანაშვიდი 26.01 17 სთ; გამოსვენება 27.01 14 სთ.

მისამართი: ჭავჭავაძის გამზირი, 39.

## მილოცვა



საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი, წყალბურთის ეროვნული ფედერაცია და ვეტერანი წყალბურთელები დაბადებიდან 60 წლის საიუბილეო თარიღს ულოცავენ საქართველოს ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო წყალბურთელს, მსოფლიო საწყალბურთო სამყაროს ღირსეულ წარმომადგენელს, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს, **ვლადიმერ ისელიძეს.**

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაბადებიდან 60 წლის იუბილეს ულოცავს სახელოვან ვეტერან წყალბურთელს, მონრეალის (1976) წლის ოლიმპიური თამაშების მონაწილეს, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს **ვლადიმერ ისელიძეს.**

„ლელოს" რედაქცია უერთდება **ვლადიმერ ისელიძის** საიუბილეო მილოცვებს.

კალათბურთი

## ამერიკას ორი საუკეთესო მწვრთნელი ჰყავს

ამერიკის კალათბურთის ფედერაციამ გასული წლის საუკეთესო მწვრთნელები გამოავლინა. ლაურეატები გახდნენ მამაკაცთა და ქალთა ნაკრებების დამრიგებლები - **მაიკ კრჟიჟევსკი** და **ენ დონოვანი**.

2007 წელს, ამ სპეციალისტთა გაწვრთნილ გუნდებს არცერთი მატჩი არ წაუგიათ. მათ ამერიკის ჩემპიონატებში გაიმარჯვეს და პეკინის ოლიმპიური თამაშების საგზურები მოიპოვეს.

ბოლო 10 წლის განმავლობაში პირველად მოხდა, როცა საუკეთესო მწვრთნელის პრიზი ერთდროულად ორმა სპეციალისტმა მოიპოვა. კრჟიჟევსკი, რომელიც პარალელურად "დიუკის" უნივერსიტეტს ავარჯიშებს, შარშანაც გახდა ამ პრიზის მფლობელი.

აქვე შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ, ამერიკის კალათბურთის ფედერაციამ საუკეთესო კალათბურთელად "ნიუ ჯერსი ნეტსის" გამთამაშებელი **ჯეისონ კიდი** დაასახელა.

## კლივლენდმა პავლოვიჩი დაკარგა

"კლივლენდ კავალიერზს" დაახლოებით 2 თვით დააკლდება სასტარტო ხუთეულის მცველი **საშა პავლოვიჩი**. სერბმა კალათბურთელმა "ვაშინგტონ უიზარდსთან" მატჩის მესამე მეოთხედში ფეხის ტრავმა მიიღო.

პავლოვიჩს დამატებით სამედიცინო გამოკვლევას ჩაუტარებენ და მისი მკურნალობის ზუსტი ვადები ამის შესახებ გახდება ცნობილი. ეს მცველი ამ სეზონში საშუალოდ 7.3 ქულას აგროვებს.

## ბრენდი ვარჯიშს იწყებს

"ლოს ანჯელეს კლიპერსის" ფორვარდმა **ელტონ ბრენდმა**, რომელიც შარშანდელი ზაფხულიდან აქილევსის მყესის ტრავმას მკურნალობს, სამედიცინო შემოწმება გაიარა და ექიმებისგან ინტენსიური ვარჯიშების განახლების უფლება მიიღო. მიუხედავად ასეთი დამაიმედებელი ინფორმაციისა, 28 წლის კალათბურთელი ჯერ ვერ შეძლებს ძირითად ჯგუფში მუშაობას.

## ბარნიანის პირად მწვრთნელს დაუნიშნავენ

"ტორონტო რეპტორზის" მთავარი მწვრთნელი **სემ მიტჩელი** უკმაყოფილოა იმ თამაშით, რომელსაც ამ სეზონში კლუბის იტალიელი ლეგიონერი **ანდრეა ბარნიანი** აჩვენებს. ამის გამო, კანადელთა დამრიგებელს სურს პირადი მწვრთნელი მიუჩინოს ბარნიანის. მიტჩელის სურვილია, იტალიელმა ცენტრის პოზიციაზე თამაშისას მიაღწიოს პროგრესს.

## ლეტუვოს რიტასს ფორვარდი გამოაკლდა

სერიოზული დანაკლისი განიცადა წლევანდელი ევროლიგის ერთ-ერთმა საუკეთესო გუნდმა, ლეტუვოს რიტასმა". ლიტვურ კლუბს ერთი თვე ვერ დაეხმარება ავსტრალიელი ფორვარდი **მეტ ნილსენი**, რომელმაც ესპანეთის "უნაკახასთან" მატჩში აქილევსის მყესის ტრავმა მიიღო.

ასე რომ, ნილსენი ევროლიგის მეორე ეტაპის დიდ ნაწილს გამოტოვებს. ამ კალათბურთელმა პირველ ჯგუფურ ტურნირში 13 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 9.9 ქულა და 4.8 მოხსნა დააგროვა.

## კასუნი სამი კვირა დაისვენებს

"ბარსელონას" ცენტრალური თავდამსხმელი **მარიო კასუნი** დაახლოებით სამი კვირა ვერ შეძლებს მოედანზე გასვლას. სწორედ ეს დრო დასჭირდება კალათბურთელს იმისთვის, რომ გულის არითმიის სამკურნალო კურსი გაიაროს. ექიმებმა კალათბურთელს ეს დიაგნოზი "გრან კანარიასთან" ესპანეთის ჩემპიონატის მატჩის (20 იანვარი) შემდეგ დაუსვეს.

შეგახსენებთ, რომ მატჩის მსვლელობისას, 27 წლის კასუნმა ცუდად იგრძნო თავი და ექიმებს სუნთქვის პრობლემების გამო შესჩივლა. საბოლოოდ, მოთამაშეს ჟანგბადის ნილაბი გაუკეთეს და სასწრაფოდ საავადმყოფოში გადაიყვანეს.

ჰოკეი

## რეგულარული შვედეთსა და ჩეხეთში დაიწყება

ჰოკეის ეროვნული ლიგის ხელმძღვანელობას განზრახული აქვს მომავალი რეგულარული სეზონი ევროპაში ოთხი მატჩით გახსნას.

"ოტავა სენატორზი" და "პიტსბურგ პინგვინზი" ორ სასტარტო შეხვედრას შვედეთის დედაქალაქ სტოკჰოლმში ჩაატარებენ, ხოლო "რეინჯერსი" და სავარაუდოდ "ტამპა ბეი", ჩეხეთის დედაქალაქ პრალაში შეხვდებიან ერთმანეთს.

შვედეთის ჰოკეის ლიგის სპორტულმა დირექტორმა **ტომი ტოპელმა** განაცხადა, რომ მოლაპარაკებები დასკვნით ფაზაშია შესული და თამაშების ჩატარების სავარაუდო თარილი 4-5 ოქტომბერი გახლავთ. ამავე დღეებში ჩატარდება მატჩები პრალაში. შეგახსენებთ, რომ წლევანდელი სეზონი ლონდონში გაიხსნა, როცა ბრიტანეთის დედაქალქში ორი მატჩი ჩაატარეს სტენლის თასის მფლობელმა ანაჰაიმმა" და "ლოს ანჯელესმა".

ჩოგბურთი

## მორესმო და ბარტოლი ნაკრებში ითამაშებენ

ფედერაციის თასზე საფრანგეთის ნაკრების კაპიტანმა **ჟორჟ გოვენმა** მეოთხედფინალური ეტაპის განაცხადში შეიყვანა **ამელი მორესმო** და **მარიონ ბარტოლი**. ფრანგებს 2-3 თებერვალს ჩინეთის ნაკრებთან ელით გასვლითი შეხვედრა. ცნობილია, რომ ცოტა ხნის წინ, მორესმომაც და ბარტოლიმაც არ ისურვეს ნაკრებში გამოსვლა. მორესმომ თავისი უარი ძველი სათამაშო ფორმის აღდგენის სურვილით ახსნა, ბარტოლიმ კი განაცხადა, რომ პეკინში მხოლოდ თავის მამასთან ერთად გაემგზავრებოდა, მაგრამ გოვენმა სპორტსმენს უარი უთხრა. მორესმოსა და ბარტოლის გარდა, საფრანგეთის ნაკრებში შევიდნენ **ნატალი დეში** და **ვირჟინ რაზანო**. *"საფრანგეთის ნაკრებს თავისი ღირსება და პრინციპები აქვს, რომელიც ყველამ უნდა დაიცვას. კაპიტანი ვალდებულია შეკრიბოს საუკეთესო შემადგენლობა, მიუხედავად იმისა, რა სურვილები აქვთ ცალკეულ მოთამაშეებს"*, - განაცხადა გოვენმა.

ფორმულა 1

## ბოლო დღე რაიკონენისა იყო

ვალენსიაში დასრულდა ფორმულა 1-ის გუნდების მორიგი სატესტო სერია.

ტესტების ბოლო დღეს საუკეთესო შედეგი აჩვენა "ფერარის" პილოტმა **კიმი რაიკონენმა**. მოქმედმა მსოფლიო ჩემპიონმა ჯამში 88 წრე გაიარა და ერთ-ერთზე საუკეთესო დრო დაფიქსირა - 1.11,189.

მეორე დრო ჰქონდა "მაკლარენის" ახალწვეულს, კიდევ ერთ ფინელ **ჰეიკი კოვალაინენს**, რომელიც ორი მეასედით წამით ჩამორჩა რაიკონენს. მესამე ადგილი "ფერარის" ბრაზილიელ პილოტ **ფელიპე მასას** ერგო, მეოთხე - **კაზუკი ნაკაჯიმას**, რომელიც "უილიამსის" ნევრია. მხოლოდ მეხუთე ადგილზე გავიდა შარშანდელი ვიცე-ჩემპიონი **ლუის ჰემილტონი** ("მაკლარენი").



NBA. ყველა ვარსკვლავის მატჩი

# სასტარტოები ცნობილია

**კევინ გარნეტის** მისვლით აუტსაიდერებიდან ეგრევე ფავორიტებში გადასროლილი "ბოსტონ სელტიქსი" წელს ჩემპიონობისთვის მებრძოლთა შორისაა. თავად ქეი-ჯის კი "ყველა ვარსკვლავის" მატჩის მონაწილეთა გამოკითხვაში ცოტა დააკლდა, რომ ხმების რაოდენობით ყველა დროის დროის რეკორდსმენებს შორის მოხვედრილიყო.

კევინმა საბოლოოდ 2 399 148 ხმით ყველას გადაასწრო და ეს მაშინ, როდესაც **ლებრონ ჯეიმსი** აშკარა ფავორიტი იყო, ხოლო **იაო მინს** კი ზურგს მთელი ჩინეთი უმაგრებდა.

გარნეტი ამ მატჩში მონაწილეობას მეთერთმეტედ მიიღებს, რაც მოქმედ მოთამაშეებში "მაიამი ჰიტის" დევკაცის, **შაკილ ონილის** მერე, მეორე შედეგია. შაკს იდენტურ შოუში მონაწილეობა 14-ჯერ აქვს მიღებული.

ლებრონი, რომელიც 2006-ში "ოლ სთარის" MVP-ედ დაასახელეს და შარშანდელი გამოკითხვის ლიდერი იყო, საბოლოოდ, მეორე ადგილზე გავიდა და ვარსკვლავთა შორის მეოთხედ გამოჩნდება. "მეჯიქის" ახალგაზრდა ცენტრი **დუაიტ ჰოვარდი** ხმათა საერთო რაოდენობით მესამე იყო და "ყველა ვარსკვლავის" მატჩში მეორედ მიიღებს მონაწილეობას. სასტარტო ხუთეულში დუაიტი პირველად დადგება.

დასავლეთში ყველაზე პოპულარული "ლეიკერსის" მეგავარსკვლავი **კობი ბრაიანტია**, რომლის მონაგარიც ასევე 2 მილიონ ხმას გასცდა. შეგახსენებთ, რომ ეს კაცი 1998-ში ამ მატჩის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე გახდა და წლევანდელ შეხვედრას უძვირფასესის ტიტულით შეხვდება. კობი ბრაიანტი მეათედ ივარსკვლავებს, მეორე ადგილზე კი "დენვერ ნაგეტსის" მსუბუქი ფორვარდი **კარმელო ენტონი** გავიდა.

თავისებური რეკორდი დაამყარა **ტიმ დანკანმა** - "სპურსის" ლიდერი ზელიგაში მისვლის შემდეგ, ყველა სეზონში აირჩიეს ვარსკვლავთა შორის და მხოლოდ პირველ ჯერზე ვერ მოხვდა სასტარტო ხუთეულში. ტიმმა და კარმელომ სასტარტოში შესვლის შანსი "მავერიქსის" ვარსკვლავ **დირკ ნოვიცკის** მოუსპეს. ნოვიცკის, ალბათ, სათადარიგოებში მაინც აირჩევენ, ხოლო 7 რეზერვისტში შესვლის რეალური შანსი "დალასის" კიდევ ერთ ნევრს, მსუბუქ ფორვარდ **ჯოშ ჰოვარდს** აქვს.

"ნიუ ჯერსის" ვეტერანი გამთამაშებელი **ჯეისონ კიდი** მეცხრედ აირჩიეს ვარსკვლავთა შორის და რომ არა "ჰიტის" ლიდერის, **დუეინ უეიდის** პოპულარობა (ეს ახალგაზრდა ზედიზედ მესამედ გამოარჩიეს), სასტარტო ხუთეულში ორი ისტრუზერფორდელი იქნებოდა, რადგან **ვინს კარტერი** მესამე პოზიციაზე გავიდა.

სათადარიგოებს ორივე გუნდის მწვრთნელები (აღმოსავლეთის კონფერენციის გუნდს" ბოსტონის" მთავარი მწვრთნელი **დოკ რივერსი** უთავკაცებს, ხოლო დასავლელ ვარსკვლავებს კი "ფინიქსის" გურუ **მაიკ დენტონი** ვეღარ გაწვრთნის, რადგან მან იგივე მისია შარშან შეასრულა) 31 იანვარს დაასახელებენ და ახლავე შეიძლება იმ რამდენიმე მოთამაშის გამორჩევა, ვისაც ასი პროცენტით მისცემენ თავის გამოჩენის საშუალებას - **ტრეისი მაკგრეიდი, მანუ ჯინობილი, დირკ ნოვიცკი** და **სტივ ნეში** დასავლელებში მოხვდებიან, ხოლო **ჩონსი ბილაპსი, პოლ პირსი, რეი ალენი** და **რიჩარდ ჰამილტონი** კი აღმოსავლეთის რჩეულთა შორის შევლენ.

თავისთავად, მინი ამჯერადაც სასტარტოში იქნება, რისი პატივიც მას უკვე ზედიზედ მეექვსედ ერგო.

ყველაზე საინტერესოდ დასავლელი ვარსკვლავების უკანახაზელების გამოკითხვა მიმდინარეობდა - **ალენ აივერსონმა** (რომელიც 2001-სა და 2004-ში საუკეთესოდ დაასახელეს) მხოლოდ უკანასკნელ საშუალედო გამოკითხვაში აჯობა მაკგრეიდის და არ არის გამორიცხული, რომ კოლორადოელებს ამ მატჩში მესამე მონაწილეც ჰყავდეთ, რადგან არაჩვეულებრივ სეზონს ატარებს **მარკუს კემბი**, რომელიც დამფარებლებსა და მომხსნელებში ლიდერთა შორის იმყოფება.

### სასტარტო ხუთეულები

**აღმოსავლეთი**

**დუეინ უეიდი** (მაიამი)
**ჯეისონ კიდი** (ნიუ ჯერსი)
**კევინ გარნეტი** (ბოსტონი)
**ლებრონ ჯეიმსი** (კლივლენდი)
**დუაიტ ჰოვარდი** (ორლანდო)

**დასავლეთი**

**კობი ბრაიანტი** (ლეიკერსი)
**ალენ აივერსონი** (დენვერი)
**კარმელო ენტონი** (დენვერი)
**ტიმ დანკანი** (სან ანტონიო)
**იაო მინი** (ჰიუსტონი)



### გამოკითხვის საბოლოო შედეგები (პირველი ხუთეულები)

**აღმოსავლეთი**

უკანა ხაზი: **დუეინ უეიდი** (მაიამი) - 1 608 260 ხმა, **ჯეისონ კიდი** (ნიუ ჯერსი) - 1 246 386, 3. **ვინს კარტერი** (ნიუ ჯერსი) - 981 050, 4. **გილბერტ არენასი** (ვაშინგტონი) - 797 502, 5. **ჩონსი ბილაპსი** (დეტროიტი) - 625 772..

Fფორვარდები: **კევინ გარნეტი** (ბოსტონი) - 2 399 148, 2. **ლებრონ ჯეიმსი** (კლივლენდი) - 2 108 831, 3. **კრის ბოში** (ტორონტო) - 838 498, 4. **პოლ პირსი** (ბოსტონი) - 574 159, 5. **იი ქსიანლიანი** (მილუოკი) - 450 515.

ცენტრი: **დუაიტ ჰოვარდი** (ორლანდო) - 2 066 991, 2. **შაკილ ონილი** (მაიამი) - 965 171, 3. **რაშიდ უოლასი** (დეტროიტი) - 303 978, 4. **ენდრიუ ბოგუტი** (მილუოკი) - 283 576, 5. **ბენ უოლასი** (ჩიკაგო) - 256 604... 10. **ზაზა ფაჩულია** (Aატლანტა) - 98 593.

**დასავლეთი**

უკანა ხაზი: **კობი ბრაიანტი** (ლეიკერსი) - 2 004 940, **ალენ აივერსონი** (დენვერი) - 1 20 152, 3. **ტრეისი მაკგრეიდი** (ჰიუსტონი) - 1 192 742, 4. **სტივ ნეში** (ფინიქსი) - 1 174 125, 5. **კრის პოლი** (ნიუ ორლეანი) - 563 525.

ფორვარდები: **კარმელო ენტონი** (დენვერი) - 1 723 701, **ტიმ დანკანი** (სან ანტონიო) - 1 712 800, 3. **დირკ ნოვიცკი** (დალასი) - 1 259 025, 4. **კარლოს ბუზერი** (იუტა) - 553 624, 5. **შონ მერიონი** (ფინიქსი) - 514 142.

ცენტრი: **იაო მინი** (ჰიუსტონი) - 1 709 180, 2. **ამარე სტაუდმაიერი** (ფინიქსი) - 998 969, 3. **მარკუს კემბი** (დენვერი) - 412 563, 4. **ტაისონ ჩენდლერი** (ნიუ ორლეანი) - 289 593, 5. **ერიკ დემპიე** (დალასი) - 254 662.

### ყველა დროის რეკორდსმენები

| | |
|---|---|
| 1. იაო მინი (ჰიუსტონი) | 2 558 278 ხმა (2005) |
| 2. ლებრონ ჯეიმსი (კლივლენდი) | 2 516 049 (2007) |
| 3. იაო მინი (ჰიუსტონი) | 2 451 718 (2007) |
| 4. მაიკლ ჯორდანი (ჩიკაგო) | 2 451 136 (1997) |
| 5. შაკილ ონილი (მაიამი) | 2 448 089 (2005) |
| 6. კევინ გარნეტი (ბოსტონი) | 2 339 148 (2007) |
| 7. იაო მინი (ჰიუსტონი) | 2 342 738 (2006) |
| 8. კობი ბრაიანტი (ლეიკერსი) | 2 271 631 (2006) |
| 9. ლებრონ ჯეიმსი (კლივლენდი) | 2 207 697 (2006) |
| 10. შაკილ ონილი (მაიამი) | 2 192 542 (2006) |

ზურაბ თალაკვაძე

## NBA. რეგულარული ჩემპიონატი

**გ. სტეიტი–ნიუ ჯერსი 121:119**

33:26, 20:26, 29:38, 39:29

**გოლდენ სტეიტი:** მ. ელისი (39 ქ. 4 მ. 3 ჩ), ბ. დევისი (25 ქ. 12 მ. 10 პ. 5 ჩ), ე. ჰარინგტონი (19 ქ), ს. ჯექსონი (13 ქ. 7 პ), ბარნსი (12 ქ. 5 მ. 4 პ), ბიედრინსი (6 ქ. 10 მ. 4 დ).

**ნიუ ჯერსი:** რ. ჯეფერსონი (34 ქ. 9 პ. 5 მ), ვ. კარტერი (29 ქ. 6 მ. 4 პ. 2 ჩ), ბუნი (21 ქ. 17 მ. 2 დ), ა. რაიტი (13 ქ. 9 მ. 2 პ), კიდი (6 ქ. 12 პ. 8 მ. 2 ჩ).

**მილუოკი–ინდიანა 104:92**

32:32, 20:18, 22:23, 30:19

**მილუოკი:** რედი (37 ქ. 5 მ. 5 პ), ბოგუტი (17 ქ. 7 მ. 3 პ. 3 დ), სიმონსი (16 ქ. 8 მ. 3 პ. 3 ჩ), ჩ. ბელი (10 ქ. 2 ჩ), მო უილიამსი (9 ქ. 9 პ).

**ინდიანა:** მ. დანლივი-უმცროსი (22 ქ. 6 მ. 5 პ), გრეინჯერი (20 ქ. 9 მ. 2 პ), დიენერი (15 ქ. 9 პ), რაში (14 ქ. 4 მ), ფოსტერი (13 ქ. 6 მ. 3 პ. 2 ჩ).

**მაიამი–სან ანტონიო 89:90**

28:24, 18:21, 26:20, 17:25

**მაიამი:** უეიდი (27 ქ. 9 პ. 6 მ. 4 ჩ), მ. ბლაუნტი (23 ქ. 5 მ), ჯეისონ უილიამსი (14 ქ. 4 პ. 4 ჩ), ჰასლემი (4 ქ. 12 მ).

**სან Aანტონიო:** დანკანი (30 ქ. 11 მ. 5 პ), ჯინობილი (18 ქ. 11 მ. 8 პ. 2 ჩ), ტ. პარკერი (12 ქ), ფინლი (10 ქ. 6 მ).

## ევროლიგა. I ჯგუფური ეტაპი. XIII ტური

### A ჯგუფი

**ცსკა–ტაუგრესი 70:62**

19:16, 15:13, 22:13, 14:20

**ცსკა:** ჰოლდენი (19 ქ. 4 პ), ლენგდონი (13 ქ), პაპალუკასი (6 ქ. 6 პ. 3 ჩ).

**ტაუგრესი:** რაკოჩევიჩი (21 ქ), სპლიტერი (12 ქ), მაკდონალდი (10 ქ).

**მონტეპასკი–პროკომი 87:64**

22:8, 21:15, 20:17, 24:24

**მონტეპასკი:** სატო (16 ქ. 2 მ), ილიევსკი (11 ქ), ტორნტონი (11 ქ. 2 ჩ), ეზე (10 ქ. 6 მ. 6 ჩ), მაკინტაირი (5 ქ. 5 პ. 3 ჩ).

**პროკომი:** გუროვიჩი (20 ქ. 8 მ. 2 ჩ), სტანოიევიჩი (10 ქ. 6 მ. 3 ჩ), სოუ (10 ქ. 8 მ).

**ჟალგირისი–ოლიმპიაკოსი 88:75**

21:14, 21:18, 25:22, 21:21

**ჟალგირისი:** იანკუნასი (17 ქ. 5 მ), მ. ბრაუნი (14 ქ), მაციულისი (14 ქ. 5 მ. 4 ჩ), კოლინზი (13 ქ. 5 მ. 7 პ), იურაკი (13 ქ. 8 მ. 4 ჩ), მ. პოპოვიჩი (9 ქ. 4 პ).

**ოლიმპიაკოსი:** გრირი (29 ქ), ჯექსონი (10 ქ. 5 მ), მავროკეფალიდესი (10 ქ), ტეოდოშიჩი 9 ქ. 8 მ. 2 ჩ).

**ოლიმპია–ვირტუსი 75:60**

19:13, 24:19, 15:15, 17:13

**ოლიმპია:** მილიჩი (20 ქ. 5 მ. 2 ჩ), პუკიჩი (15 ქ), ბელეი (13 ქ), დრაგიჩი (10 ქ. 3 პ), ბეგიჩი (6 ქ. 9 მ. 4 დ).

**ვირტუსი:** სპენსერი (14 ქ).

| | მ-წ | სხვ |
|---|---|---|
| 1. ცსკა* | 11-2 | +157 |
| 2. მონტეპასკი* | 9-4 | +117 |
| 3. ტაუგრესი* | 8-5 | +101 |
| 4. ჟალგირისი* | 8-5 | +2 |
| 5. ოლიმპიაკოსი* | 7-6 | +93 |
| 6. ოლიმპია | 4-9 | -106 |
| 7. პროკომი | 3-10 | -181 |
| 8. ვირტუსი | 2-11 | -183 |

### B ჯგუფი

**ლ. რიტასი–უნიკახა 71:63**

22:15, 19:13, 13:19, 17:16

**ლ. რიტასი:** პრაისი (23 ქ. 6 პ), პეტრავიჩუსი (11 ქ), გაჩევიჩუსი (11 ქ), ლუკაუსკისი (8 ქ. 3 ჩ), იომანტასი (4 ქ. 6 მ. 5 ჩ).

**უნიკახა:** ჰეისლიპი (22 ქ), ნდონგი (16 ქ. 6 მ).

**ეფესი–არისი 74:84**

17:10, 17:21, 17:23, 23:30

**ეფესი:** ნიკოლასი (20 ქ. 2 ჩ), გრეგორი (13 ქ), ვუდსი (10 ქ. 9 მ), კუკო (10 ქ), პენი (6 ქ. 5 პ. 3 ჩ).

**არისი:** მოტოლა (22 ქ), მასეი (19 ქ. 9 მ), ვაშინგტონი (16 ქ), ილიადისი (11 ქ).

**ლე მანი–ციბონა 100:87**

28:17, 30:24, 18:23, 24:23

**ლე მანი:** ბოგდანოვიჩი (21 ქ), რიჩი (21 ქ), ლიმონადი (20 ქ. 9 პ), კლენსი (13 ქ).

**ციბონა:** პოსკინი (22 ქ. 15 მ), უორენი (17 ქ. 5 მ. 2 ჩ), მულაომეროვიჩი (16 ქ), აოუსო (10 ქ).

**მაკაბი–მილანი 91:76**

23:27, 21:19, 27:19, 20:11

**მაკაბი:** ჰალპერინი (24 ქ), გარსია (14 ქ), მორისი (12 ქ. 7 მ), ვუიჩიჩი (10 ქ. 4 პ), კამინგსი (4 ქ. 10 რ. 3 ჩ).

**მილანი:** გალინარი (27 ქ. 3 ჩ), ვუკჩევიჩი (16 ქ. 5 მ. 5 პ), სესეი (15 ქ. 5 მ), უოტსონი (9 ქ. 11 მ).

| | მ-წ | სხვ |
|---|---|---|
| 1. ლ. რიტასი* | 10-3 | +121 |
| 2. მაკაბი* | 10-3 | +47 |
| 3. უნიკახა* | 9-4 | +107 |
| 4. ეფესი | 8-5 | +36 |
| 5. არისი | 7-6 | -11 |
| 6. ციბონა | 4-9 | -101 |
| 7. მილანი | 3-10 | -72 |
| 8. ლე მანი | 1-12 | -127 |

### C ჯგუფი

**ბარსელონა–რომა 75:77**

22:25, 17:10, 17:25, 19:17

**ბარსელონა:** ბაზილე (14 ქ), ვასკესი (12 ქ), აკერი (11 ქ), გრიმაუ (6 ქ. 7 მ. 4 პ).

**რომა:** ჰოუკინსი (22 ქ. 3 ჩ), რეი (12 ქ), უკიჩი (12 ქ. 4 პ), გაბინი (11 ქ), დე ლა ფუენტე (10 ქ).

**პანათინაიკოსი–ფენერბაჩე 88:68**

16:15, 26:14, 28:18, 18:21

**პანათინაიკოსი:** იასიკიავიჩუსი (23 ქ), სპანულისი (12 ქ. 2 ჩ), ბატისტე (7 ქ; 11 მ), დიამანტიდისი (3 ქ. 6 პ. 3 ჩ).

**ფენერბაჩე:** კინსი (20 ქ. 5 მ. 2 ჩ), ვიდმარი (12 ქ. 5 მ), უაიტი (12 ქ), ასიქი (7 ქ. 9 მ).

**რუანი–რეალი 68:82**

19:24, 16:15, 17:20, 16:23

**რუანი:** სალიერსი (19 ქ. 6 მ. 2 ჩ), პესი (11 ქ), სოლომანი (8 ქ. 8 მ).

**რეალი:** ბალოკი (14 ქ. 5 მ. 2 ჩ), რეიესი (13 ქ. 8 მ. 2 ჩ), ჰერველი (11 ქ. 6 მ), სმიტი (10 ქ. 2 ჩ), მუმბრუ (10 ქ. 6 მ), რ. ლოპესი (5 ქ. 8 პ. 2 ჩ).

**პარტიზანი–ბამბერგი 85:37**

14:10, 28:8, 21:10, 22:9

**პარტიზანი:** ველიკოვიჩი (17 ქ. 13 მ. 3 ჩ), ტეპიჩი (16 ქ), პეკოვიჩი (13 ქ), ვიტკოვაცი (12 ქ), პალასიო (10 ქ), კეჩმანი (7 ქ. 3 ჩ).

**ბამბერგი:** ოკულაჯა (11 ქ. 6 მ).

| | მ-წ | სხვ |
|---|---|---|
| 1. პანათინაიკოსი* | 12-1 | +127 |
| 2. რეალი* | 10-3 | +114 |
| 3. ბარსელონა* | 8-5 | +87 |
| 4. ფენერბაჩე | 6-7 | -21 |
| 5. რომა | 6-7 | -15 |
| 6. პარტიზანი | 5-8 | -8 |
| 7. რუანი | 3-10 | -127 |
| 8. ბამბერგი | 2-11 | -157 |

## ჩოგბურთი

### ავსტრალიის ღია პირველობა

# მეფე მოკვდა

ავსტრალიის ღია პირველობაზე **როჯერ ფედერერის** ბატონობა დასრულდა. სერბმა **ნოვაკ ჯოკოვიჩმა** დაამარცხა ის მონსტრი, რომელიც წინა სამ სეზონში მელბურნში არავის უტოვებდა გამარჯვების შანსს. ნახევარფინალში "ჯოკერს" (ჯოკოვიჩის მეტსახელი) კიდევ სხვა ის ტრადიციები უნდა დაერღვია, რომელიც ბოლო წლებში შვეიცარიელი ჩოგბურთელის სახელს უკავშირდება. მაგალითად, აქამდე როჯერი "დიდი სლემის" ზედიზედ 10 (!) ტურნირის ფინალში გადიოდა. ფედერერს ორჯერ ჰყავდა დამარცხებული ჯოკოვიჩი იმავე "დიდი სლემის" ჩემპიონატების ნახევარფინალებში, საერთოდ კი, ამ ჩოგბურთელთა ურთიერთდაპირისპირებაში ანგარიში იყო - 5:1 ფედერერის სასარგებლოდ. სერბს ერთადერთი მატჩი შარშან, მონრეალის მასტერსის ფინალში ჰქონდა მოგებული.

აი, ასეთი იყო მატჩისწინა ამბები. მიუხედავად როჯერის უძლეველობისა, ნახევარფინალის წინ მაინც ფრთხილი პროგნოზები კეთდებოდა, ვინაიდან "ჯოკერი" ამ მატჩამდე სეტის წაუგებლად მივიდა, ხოლო ფედერერს კი, მესამე წრეში უმძიმესი ბრძოლა გადახდა ნოვაკის თანამემამულე **იანკო ტიპსარევიჩთან** (ბოლო სეტი 10:8 მოიგო).

პირველი მოწოდების უფლება ჯოკოვიჩმა მიიღო და 3:3-მდე თანაბარი თამაში მიდიოდა. მეშვიდე გეიმში ფედერერმა პირველი ბრეიკ-პოინტი მოიპოვა, შანსი ხელიდან არ გაუშვა და დაწინაურდა - 4:3. მეტოქეებმა გეიმები გაცვალეს, რის შემდეგაც, 5:4-ზე შვეიცარიელმა საკუთარ მოწოდებაზე სეტის მოგების შანსი ხელიდან გაუშვა. მან რამდენიმე უნებლიე შეცდომა დაუშვა და ანგარიში გათანაბრდა - 5:5. შემდეგ სერბი წინ გავიდა, მე-12 გეიმში კი, კვლავ გამოიყენა მეტოქის შეცდომები და პარტია 7:5 მოიგო.

მეორე სეტის სტარტზე ფედერერმა ორჯერ დათმო გეიმი თავის მოწოდებაზე და ჯოკოვიჩი წინ გავიდა - 5:1. მხოლოდ ამის შემდეგ დაალაგა თავისი თამაში როჯერმა და ერთი ბრეიკი დაიბრუნა. მისი მოწოდების მერე, ანგარიში 5:3-მდე შემცირდა, მაგრამ ნოვაკმა, მიუხედავად მსაჯის გაფრთხილებისა - მოწოდების წინ დროს ნუ აჭიანურებო, ნერვები მოთოკა და ეისით დაუსვა წერტილი მეორე სეტს - 6:3.

მესამე სეტი ფედერერმა თავისი გეიმის აღებით დაიწყო, შემდეგ კი, ნოვაკის მოწოდებაზე 40:0 დაწინაურდა, მაგრამ სამივე ბრეიკ-პოინტი გაფლანგა. ცოტა ხანში ჯოკოვიჩს ჰქონდა ოთხი ბრეიკ-პოინტი, თუმცა ვერც მან იხეირა. ამის შემდეგ, მეტოქეები დამაჯერებლად იღებდნენ თავიანთ მოწოდებებს. ჯოკოვიჩს ერთადერთხელ მე-12 გეიმში გაუჭირდა, როცა მის მოწოდებაზე ფედერერს ორი სეტ-პოინტი ჰქონდა, მაგრამ იმ დღეს სერბის პირველი მოწოდება უკეთესი იყო და ამის წყალობით, ანგარიში ამჯერადაც გათანაბრდა. საბოლოოდ, პარტიის ბედი ტაი-ბრეიკზე გადაწყდა. "ჯოკერი" თავიდან მდევრის როლში იყო, მაგრამ 1:3-დან ანგარიში გაათანაბრა, ხოლო 5:5-ზე ზედიზედ ორი გათამაშება და მასთან ერთად მატჩი მოიგო - 7:5, 6:3, 7:6.

*"ვფიქრობ, მას უფრო მეტად გაუმართლა, ვიდრე მე. თანაც ის მატჩის გადამწყვეტი მომენტებში უკეთ მოქმედებდა... პრაქტიკულად ყველა ჩემში მონსტრს ხედავს, რომელმაც ყველა მატჩი უნდა მოიგოს. რას ვიზამთ, მე თავად შევქმენი ეს მონსტრი. თვითონ სცადეთ, როგორია ყოველ კვირას მხოლოდ გამარჯვებაზე თამაში. პირდაპირ გეტყვით - ეს ძალიან რთულია"*, - განაცხადა ნახევარფინალის შემდეგ ფედერერმა, რომელმაც "დიდი სლემის" ტურნირებზე სამ სეტში მატჩი შორეულ 2004 წელს წააგო. ეს მოხდა როლან გაროსზე, როცა შვეიცარიელი მეორე წრეში ბრაზილიელმა **გუსტავო კუერტენმა** დაამარცხა - 6:4, 6:4, 6:4.

ჯოკოვიჩმა პირდაპირ კორტზე მისცა სახელდახელო ინტერვიუ ცნობილ ამერიკელ ჩოგბურთელს **ჯიმ კურიეს**: *"ეს დაუჯერებელია! სამ სეტში მოვუგე სპორტის ამ სახეობის ისტორიაში საუკეთესო წარმომადგენელს! ძალიან ბედნიერი და ამაყი ვარ! საერთოდ ძნელია ითამაშო ისეთი ჩოგბურთელის წინააღმდეგ, რომელიც ნებისმიერ საფარზე დომინირებს. ბოლო წლებში, ის იმდენად წარმატებით თამაშობდა ავსტრალიის ჩემპიონატზე, რომ მისი მომგები არავინ ჩანდა. ჯერაც ვერ გამიგია, როგორ გავუძელი ამ კოლოსალურ ზეწოლას?! დღეს მე ჩემი საუკეთესო ჩოგბურთი ვაჩვენე"*.

20 წლის სერბს მომავალი ფინალის შესახებაც ჰკითხეს, სადაც ის ტურნირის მთავარ სენსაციას, ფრანგ **ჟო-ვილფრედ ცონგას** შეხვდება. *"ვფიქრობ, ნებისმიერ სპორტში მოუთმენლად ელიან ახალი სახეების გამოჩენას. ახლა ცონგა გამოვიდა ასპარეზზე. ის ბრწყინვალე ათლეტია. რეიტინგის მიხედვით, ფავორიტი მე ვარ, მაგრამ ეს ფინალია და ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ამიტომაც, ნუ ვიჩქარებთ"*, - განაცხადა ჯოკოვიჩმა.

"ჯოკერს" კარიერაში 7 ტიტული აქვს მოგებული, იმ დროს, როცა ცონგა საერთოდ პირველად გავიდა ATP-ის ტურნირის ფინალში. მიუხედავად იმისა, რომ 22 წლის ფრანგმა რეიტინგის საუკეთესო 14 ჩოგბურთელიდან ოთხს გამოუყვანა წირვა (მათ შორის, მეორე ჩოგან **რაფაელ ნადალს**), ის წინასწარვე განწირულად მიიჩნევა, მაგრამ ჯოკოვიჩს დავუჯეროთ - ნუ ავჩქარდებით.

**ავსტრალიის ღია**

მელბურნი. ხარდი

**1/2 ფინალი**

ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 3)-როჯერ ფედერერი (შვეიც, 1) 7:5, 6:3, 7:6(5).



როჯერ ფედერერი

## TV სპორტი

### 26 იანვარი. შაბათი

**I არხი**

18:05 ძიუდო. მსოფლიო თასი. თბილისი (LIVE).

**НТВ-პლიუსი (ფეხბურთი)**

13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 ესპანეთის თასი. 1/4 ფინალი. პირველი მატჩი.
15:05 საფეხბურთო კლუბი.
15:50 გასული კვირის ჰიტ-ალბომი.
17:35 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:50 FUTBOL MUNDIAL. საერთაშორისო ტელეჟურნალი.
18:20 ესპანეთის თასი. 1/4 ფინალი. პირველი მატჩი.
20:05 საფრანგეთის ჩემპიონატი. ლილი-პსჟ (LIVE).
22:05 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
22:25 სასტვენი.
22:55 ესპანეთის ჩემპიონატი.
00:55 ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-ოსასუნა (LIVE).

**SPORT 1 (უკრაინა)**

08:40 სპორტდოსიე.
09:10 გოლფი. მიმოხილვა.
09:40 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ტურის მიმოხილვა.
10:10 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
10:25 რეტრო-ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1998-99. 1/4 ფინალი. დინამო (კ)-რეალი.
12:05 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. XIII ტური. ლეტუვოს რიტასი-უნიკახა.
13:40 სპორტის სამყარო.
14:10 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
14:40 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. XIII ტური. პანათინაიკოსი-ფენერბაჰჩე.
16:11 ჩემი სპორტი.
16:30 ინგლისის თასი. 1/16 ფინალი. მენსფილდი-მიდლსბრო (LIVE).
18:30 წყლის სამყარო. ტელეჟურნალი.
18:57 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ვანკუვერი-სტ. ლუისი.
20:43 ფეხბურთი. Barca TV.
20:50 ფეხბურთი. ესპანეთის თასი. მიმოხილვა.
21:20 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. სერია A-ს ჟურნალი.
21:51 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. დინამო (კ)-ცრვენა ზვეზდა (LIVE).
23:47 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. რომა-პალერმო (LIVE).
01:30 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. გიმარაეში-ბენფიკა (LIVE).
03:15 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. V ეტაპი. ახალი ზელანდია.
04:09 პროფესიული კრივი.
05:15 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
05:42 სპორტდოსიე.
06:10 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ვანკუვერი-სტ. ლუისი.
07:58 სპორტკლუბი.

**EUROSPORT**

11:30 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. ქალები. ფინალი. მარია შარაპოვა-ანა ივანოვიჩი. მელბურნი.
12:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS134. ზაკოპანე. პოლონეთი.
14:15 თხილამურებით რბოლა. მსოფლიო თასი. მამაკაცები. 15 კმ. კენმორი. კანადა.
15:00 მთის თხილამურები. მსოფლიო თასი. მამაკაცები. სწრაფდაშვება. შამონი. საფრანგეთი (LIVE).
16:30 მთის თხილამურები. მსოფლიო თასი. ქალები. გიგანტური სლალომი. II ცდა. ოფტერშვანგი. გერმანია (LIVE).
17:15 ფიგურული სრიალი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. თავისუფალი პროგრამა. ზაგრები. ხორვატია (LIVE).
19:45 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. ქალები. ფინალი. მარია შარაპოვა-ანა ივანოვიჩი. მელბურნი.
22:00 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ჯგუფური ეტაპი. კამერუნი-ზამბია. განა (LIVE).
23:00 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ჯგუფური ეტაპი. განა.
23:30 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ჯგუფური ეტაპი. ეგვიპტე-სუდანი. განა (LIVE).
01:30 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ჯგუფური ეტაპი. მიმოხილვა.
02:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. მონტე კარლო.

**EUROSPORT-2**

10:30 ახალი ამბები.
12:00 ავტოსპორტი. აზიური სერია. I რბოლა. დუბაი. საემიროები.
13:00 ავტოსპორტი. აზიური სერია. II რბოლა. დუბაი. საემიროები (LIVE).
13:45 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
14:00 ციგაობა. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. I ცდა. ობერჰოფი. გერმანია (LIVE).
15:30 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ტელეჟურნალი.
16:00 ახალი ამბები.
16:15 ციგაობა. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. II ცდა. ობერჰოფი. გერმანია (LIVE).
17:15 ავტოსპორტი. აზიური სერია. II რბოლა. დუბაი. საემიროები.
17:45 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ჯგუფური ეტაპი. ნიგერია-მალი. განა.
18:45 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ჯგუფური ეტაპი. კოტ დ'ივუარი-ბენინი. განა.
20:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS134. ზაკოპანე. პოლონეთი (LIVE).
21:45 ახალი ამბები.
22:15 ავტოსპორტი. დაიტონას 24 საათი. აშშ (LIVE).
23:30 თხილამურებით რბოლა. მსოფლიო თასი. მამაკაცები, ქალები. სპრინტი. კენმორი. კანადა (LIVE).
02:00 ავტოსპორტი. დაიტონას 24 საათი. აშშ (LIVE).
03:00 ახალი ამბები.

### 27 იანვარი. კვირა

**I არხი**

18:05 ძიუდო. მსოფლიო თასი. თბილისი (LIVE).

**НТВ-პლიუსი (ფეხბურთი)**

11:15 ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-ოსასუნა.
13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 საფრანგეთის ჩემპიონატი. ლილი-პსჟ.
15:15 ესპანეთის ჩემპიონატი.
17:05 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:25 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ფეიენოორდი-გრონინგენი (LIVE).
19:30 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:55 ესპანეთის ჩემპიონატი (LIVE).
21:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ბილბაო-ბარსელონა (LIVE).
23:50 საფრანგეთის ჩემპიონატი. სტ. ეტიენი-ლიონი (LIVE).
01:50 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.

**SPORT 1 (უკრაინა)**

08:15 რეტრო-ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1998-99. 1/2 ფინალი. დინამო (კ)-ბაიერნი.
09:55 სპორტდოსიე.
10:25 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ვანკუვერი-სტ. ლუისი.
12:10 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. გიმარაეში-ბენფიკა.
13:55 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ტურის მიმოხილვა.
14:24 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბილბაო-ბარსელონა.
16:07 ფეხბურთი. Barca TV.
16:14 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. რომა-პალერმო.
18:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. უდინეზე-ინტერი (LIVE).
20:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი (LIVE).
22:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. მალიორკა-ატლეტიკო (LIVE).
00:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ვილიარეალი (LIVE).
02:00 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ტელეჟურნალი.
02:30 სპორტდოსიე.
03:00 ჰოკეი. NHL. ყველა ვარსკვლავის მატჩი (LIVE).
05:45 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბილბაო-ბარსელონა.
07:30 გოლფი. მიმოხილვა.

**EUROSPORT**

11:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS134. ზაკოპანე. პოლონეთი.
12:30 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. მამაკაცები. ფინალი. ნოვაკ ჯოკოვიჩი-ჟო ვილფრიდ ცონგა. მელბურნი (LIVE).
15:00 მთის თხილამურები. მსოფლიო თასი. მამაკაცები. კომბინაცია (სწრაფდაშვება). შამონი. საფრანგეთი (LIVE).
15:30 მთის თხილამურები. მსოფლიო თასი. ქალები. სლალომი. II ცდა. ოფტერშვანგი. გერმანია (LIVE).
16:15 ბიატლონი. მსოფლიო ჩემპიონატი. იუნიორები. მამაკაცები. რბოლა გამოდევნებით. რუპოლდინგი. გერმანია.
17:00 მთის თხილამურები. მსოფლიო თასი. მამაკაცები. კომბინაცია (სლალომი). შამონი. საფრანგეთი (LIVE).
18:00 ფიგურული სრიალი. ევროპის ჩემპიონატი. საჩვენებელი გამოსვლები. ზაგრები. ხორვატია (LIVE).
20:30 თოვლის უიქ ენდი. ტელეჟურნალი.
22:00 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ჯგუფური ეტაპი. სენეგალი-ანგოლა. განა (LIVE).
23:00 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ჯგუფური ეტაპი. განა.
23:30 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ჯგუფური ეტაპი. ტუნისი-ს. აფრიკა. განა (LIVE).
01:30 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ჯგუფური ეტაპი. მიმოხილვა.
02:30 თოვლის უიქ ენდი. ტელეჟურნალი.
03:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. მონტე კარლო.
03:30 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ჯგუფური ეტაპი. განა.

**EUROSPORT-2**

10:30 ახალი ამბები.
12:00 ციგაობა. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. II ცდა. ობერჰოფი. გერმანია.
12:30 მთის თხილამურები. მსოფლიო თასი. ქალები. სლალომი. I ცდა. ოფტერშვანგი. გერმანია (LIVE).
13:30 ციგაობა. მსოფლიო ჩემპიონატი. ორადგილიანი. I ცდა. ობერჰოფი. გერმანია.
14:00 ახალი ამბები.
14:14 ციგაობა. მსოფლიო ჩემპიონატი. ორადგილიანი. I ცდა. ობერჰოფი. გერმანია (LIVE).
15:00 ახალი ამბები.
15:15 ავტოსპორტი. დაიტონას 24 საათი. აშშ (LIVE).
16:45 სნოუბორდი. მსოფლიო თასი. პალფჰაიპი. იტალია (LIVE).
17:45 ავტოსპორტი. დაიტონას 24 საათი. აშშ (LIVE).
18:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. მონტე კარლო (LIVE).
19:00 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ჯგუფური ეტაპი. კამერუნი-ზამბია. განა.
20:00 ავტოსპორტი. დაიტონას 24 საათი. აშშ (LIVE).
22:45 ახალი ამბები.
23:00 ლაკროსი. ჩრდილოეთ ამერიკის რეგულარული ლიგა.
00:30 კიკბოქსინგი.
02:00 ახალი ამბები.
02:15 სნოუბორდი. მსოფლიო თასი. პალფჰაიპი. იტალია.
03:15 ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

**აფრიკის თასი**

B ჯგუფი

**კოტ დ'ივუარი-ბენინი 4:1**

კოტ დ'ივუარი: ბარი, ბოკა, ებუე, მეიტე, კოლო ტურე (46. გოფური), იაია ტურე, ზოკორა, დინდანე, დროგბა (69. სანოგო), კალუ, ა. კეიტა (76. ფერვინიო).

ბენინი: ჩიტუ, ადენონი, აჯამოსი, ბოკო, ჩრისოსტომე (70. სეკა), გასპოზი (51. ოგუნბიი), სესენონი, აჰუეია, ს. ჩომოგო (59. მაიგა), ომოტოიოსი, უ. ჩომოგო.

გოლები: 1:0 დროგბა (40), 2:0 იაია ტურე (44), 3:0 ა. კეიტა (53), 4:0 დინდანე (63), 4:1 ომოტოიოსი (90)

მაყურებელი: 20 000

**ნიგერია-მალი 0:0**

ნიგერია: ეჯიდე, ნვანერი, შიტუ, ტაივო, იობო, ობი მიკელი, ოლოფინჯანა, ოდემვინგი (58. უჩე), ობინა (84. მკინვა), მარტინსი (46. უტაკა), აიეგბენი.

მალი: მაჰამადუ სიდიბე, ა. კულიბალი, დიამუტენი, კანტე, ამადუ სიდიბე (86. დემბელე), ტამბურა, მ. დიარა, სეიდუ კეიტა, კანუტე, სისოკო (82. დიაკიტე), ბ. ტურე, დ. ტრაორე (74. დიალო).

მაყურებელი: 7 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კოტ დ'ივუარი | 2 | 2 | 0 | 0 | 5-1 | 6 |
| 2. მალი | 2 | 1 | 1 | 0 | 1-0 | 4 |
| 3. ნიგერია | 2 | 0 | 1 | 1 | 0-1 | 1 |
| 4. ბენინი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-5 | 0 |

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| არაუ-რაპიდი | 1:2 |
| ოსნაბრიუკი-ბუნი | 1:1 |
| ჰაიდუკი-ვერდერი | 2:2 |
| ლეგია-აუსტრია | 1:0 |
| ჰოფენჰაიმი-ჰანოვერი | 0:2 |
| კიოლნი-სტ. პაული | გადაიდო |
| ესენი-ოფენბახი | 1:1 |
| იანგ ბოიზი-ფონდსი | 7:2 |
| დუისბურგი-ვუპერტალი | 3:1 |
| შალკე-ბაზელი | 1:0 |

**ინგლისი**

I ლიგა

| | |
|---|---|
| ჩელტენემი-კარლაილი | 1:0 |
| დონკასტერი-სუონსი | 0:4 |
| ნორთჰემპტონი-ლეიტონი | 2:0 |

**ინგლისის თასი**

1/16 ფინალი

| | |
|---|---|
| საუთენდი-ბარნსლი | 0:1 |

**საფრანგეთი**

II დივიზიონი

| | |
|---|---|
| აიაჩო-ანჟერსი | 1:1 |
| ბულონი-გინგამი | 0:2 |
| ბრესტი-კლერმონი | 1:1 |
| დიჟონი-სედანი | 1:1 |
| გრენობლი-ამიენი | 2:2 |
| გენიონი-ბასტია | 0:1 |
| ლიბურნი-შატორუ | 1:0 |
| ნიორი-რეიმსი | 0:1 |
| ტრუა-მონპელიე | 2:1 |

**ჰოლანდია**

| | |
|---|---|
| ვილემი-ალკმაარი | 3:0 |

II დივიზიონი

| | |
|---|---|
| აპელდორნი-კამბური | 2:2 |
| ცვოლე-ომნივორლდი | 1:1 |
| ფორტუნა-იგლხი | 2:2 |
| ჰაარლემი-ემენი | 1:2 |
| ჰელმონდი-ეინდჰოვენი II | 4:1 |
| მაასტრიხტი-დორდრეხტი | 3:2 |
| როსენდალი-ვაალვიკი | 0:4 |
| ვეენდამი-დენ ჰააგი | 3:3 |

**ბელგია**

| | |
|---|---|
| ვარეგემი-სერკლი | 0:3 |

**პორტუგალია**

| | |
|---|---|
| ბრაგა-ბელენენსეში | 1:1 |

### კალათბურთი

**საფრანგეთი**

| | |
|---|---|
| ბულონი-ლე მანი | 68:69 |

### ჰოკეი

**რუსეთი**

| | |
|---|---|
| ავანგარდი-ცსკა | 3:6 |
| სიბირი-სპარტაკი | 1:2 |
| ტრაქტორი-ვიტიაზი | 2:2 |
| ლადა-ს. იულაევი | 5:2 |
| დინამო-ამური | 2:3 |
| ნეფტეხიმიკი-სკა | 1:3 |
| სევერსტალი-ლოკომოტივი | 2:5 |
| ტორპედო-მეტალურგი (ნ) | 0:2 |
| მვდ-მეტალურგი (მ) | 2:3 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| აუგსბურგი-კიოლნი | 2:1 |
| ვოლფსბურგი-შტრაუბინგი | 7:4 |
| ინგოლშტადტი-აისბარენი | 3:4 |
| კრეფელდი-დუისბურგი | 3:2 |
| მანჰაიმი-ჰამბურგი | 3:3 |
| ფრანკფურტი-დიუსელდორფი | 1:2 |

**სლოვაკეთი**

| | |
|---|---|
| ზვოლენი-სკალიცა | 2:3 |
| კეჟმაროკი-მარტინი | 1:3 |
| ნიტრა-სლოვანი | 6:2 |
| პოპრადი-მიკულაში | 6:1 |
| ტრენჩინი-ჟილინა | 1:1 |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| ლუკო-ტპს | 4:1 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| ვიტკოვიცე-სპარტა | 2:0 |
| სლოვანი-კლადნო | 3:3 |
| პლზენი-კარლოვი ვარი | 2:2 |
| სლავია-ზნოიმო | 6:3 |
| ლიბერეცი-ბუდეიოვიცე | 2:2 |

**შვეიცარია**

| | |
|---|---|
| ბაზელი-ამბრი | 4:6 |
| ცუგი-სერვეტი | 3:5 |

## საუკეთესონი

### სპორტული ოსკარები

## ნომინანტები დასახელებულია

სპორტის მსოფლიო აკადემიამ (Laureus) 2007 წლის სპორტული ჯილდოების ნომინანტები გამოაცხადა. ე.წ. "სპორტული ოსკარების" მაძიებლები შემდეგი სპორტსმენებს და გუნდები არიან:

**საუკეთესო მამაკაცი: როჯერ ფედერერი** (შვეიცარია, ჩოგბურთი), **ტაისონ გაი** (აშშ, მძლეოსნობა), **კაკა** (ბრაზილია, ფეხბურთი), **მაიკლ ფელპსი** (აშშ, ცურვა), **კიმი რაიკონენი** (ფინეთი, ფორმულა 1), **ტაიგერ ვუდსი** (აშშ, გოლფი).

**საუკეთესო ქალი: ჟუსტინ ანენი** (ბელგია, ჩოგბურთი), **ელენა ისინბაევა** (რუსეთი, მძლეოსნობა), **კაროლინა კლუფტი** (შვედეთი, მძლეოსნობა), **ლიბი ლენტონი** (ავსტრალია, ცურვა), **მარტა** (ბრაზილია, ფეხბურთი), **ლორენა ოჩოა** (მექსიკა, გოლფი).

**საუკეთესო გუნდი:** "მილანი" (ფეხბურთი), ერაყი (ფეხბურთი), გერმანია (ფეხბურთი, ქალები), ავსტრალია (კრიკეტი), სამხრეთ აფრიკა (რაგბი), "ფერარი" (ფორმულა 1).

**წლის აღმოჩენა: ალბერტო კონდატორი** (ესპანეთი, ველოსპორტი), **ნოვაკ ჯოკოვიჩი** (სერბეთი, ჩოგბურთი), **ტაისონ გაი** (აშშ, მძლეოსნობა), **ლუის ჰემილტონი** (ბრიტანეთი, ფორმულა 1), **ოსკარ პისტორიუსი** (სამხრეთ აფრიკა, მძლეოსნობა), **კეისი სტოუნერი** (ავსტრალია, მოტოსპორტი).

**წლის დაბრუნება: კრისტინ ოჰოროუგუ** (ბრიტანეთი, მძლეოსნობა), **პოლა რედკლიფი** (ბრიტანეთი, მძლესნობა), **იანე როულინსონი** (ავსტრალია, მძლეოსნობა), **სტივ სტრიკერი** (აშშ, გოლფი), **ჯონი უილკინსონი** (ბრიტანეთი, რაგბი).

დაჯილდოვების ცერემონია სანქტ-პეტერბურგში 18 თებერვალს ჩატარდება.

## ჰოკეი

### NHL. რეგულარული

**ბოსტონი–აილენდერსი 4:1**

2:0, 2:0, 0:1

გოლები: 1:0 ეიდემანი-7 (სავარი-44), 2:0 ლუჩიჩი-5 (ხარა-26), 3:0 სავარი-12 (კობესიუ-9, შტურმი-17), 4:0 კესელი-13 (ეიდემანი-16, ხარა-27), 4:1 სილინგერი-14 (ფედოტენკო-15, ჰანტერი-19).

**ნიუ ჯერსი–მონრეალი 3:4**

1:0, 2:1, 0:3

გოლები: 1:0 ელიაში-13 (მოტო-10), 2:0 ელიაში-14 (მოტო-11, ჯ. უაიტი-3), 2:1 სმოლინსკი-4 (ა. კოსტიცინი-16, კოვალიოვი-16), 3:1 ლანგენბრუნერი-8 (პ. მარტინი-17, ჰონტა-20), 3:2 სმოლინსკი-5 (ა. მარკოვი-23, კომისარეკი-11), 3:3 ს. კოივუ-9 (კომისარეკი-12), 3:4 ჰიგინსი-16 (ჰამრლიკი-16, ს. კოივუ-27).

**რეინჯერსი–ატლანტა 2:1 (ბ)**

0:0, 0:1, 1:0, 0:0

გოლები: 0:1 მარიან ჰოსა-22 (ენსტრიომი-27, რეკი-19), 1:1 როჯესიალი-12 (დეივსი-5, დუბინსკი-12).

ბულიტები გაიტანეს: შენეჰანი (რეინჯერსი).

**ფილადელფია–პიტსბურგი 4:3**

1:1, 1:1, 2:1

გოლები: 1:0 უმბერგერი-9 (ჯ. სმიტი-5, ბრიერი-28), 1:1 მალკინი-27 (ი. რუუტუ-6, სიდორი-6), 2:1 რ. ჯონსი-3 (პარტნელი-13, უმბერგერი-25), 2:2 სიკორა-15 (გონჩარი-32, რაიან უიტნი-15), 3:2 ვანდერმეერი-3 (უმბერგერი-26, პარტნელი-14), 3:3 რაიან უიტნი-8 (მელიუნი-11, ჯ. სტაალი-10), 4:3 ნუბლი-16 (ჯ. კარტერი-14, კობურნი-19).

**ვაშინგტონი–ტორონტო 2:1**

1:0, 0:0, 1:1

გოლები: 1:0 ლეიჩი-8 (ოვეჩკინი-25, ფლიშმანი-13), 1:1 დევეროი-7 (კუბინა-20, ტ. კაბერლე-24), 2:1 ვიქ. კოზლოვი-9 (ოვეჩკინი-26, ბექსტრიომი-32).

**ტამპა ბეი–ოტავა 4:8**

0:3, 1:2, 3:3

გოლები: 0:1 ალფრედსონი-30 (ვერმეტი-17), 0:2 სპეცა-17 (რ. რობიტაილი-10, ალფრედსონი-32), 0:3 ალფრედსონი-31 (სპეცა-40, მეზაროში-15), 0:4 ალფრედსონი-32 (ფიშერი-20), 0:5 ვერმეტი-11 (ალფრედსონი-33, რედენი-23), 1:5 ბოილი-1, 1:6 რ. რობიტაილი-8 (ალფრედსონი-34), 2:6 ტარნავსკი-4 (ლეკავალიე-5), 2:7 მაკამონდი-6 (ნილი-11, ფიშერი-21), 3:7 კ. მაკდონალდი-2 (ა. რუა-3, ტარნავსკი-4), 4:7 ბოილი-2 (რეინჯერი-16, სენტ ლუისი-40), 4:8 სპეცა-18 (ალფრედსონი-35, მეზაროში-16).

**ფლორიდა–ედმონტონი 3:4 (ბ)**

1:0, 0:1, 2:2, 0:0

გოლები: 1:0 გ. კემპბელი-5, 1:1 მორო-4, 2:1 მაკლინი-5 (ო. იოკინენი-25, მონტადორი-8), 3:1 ო. იოკინენი-24 (მაკლინი-6, მ. იოჰანსონი-8), 3:2 სტოლი-7 (პემსკი-31, ჰენერი-17), სტოლი-8 (პემსკი-32, გილბერტი-10).

ბულიტები გაიტანეს: პორკოფი (ედმონტონი).

**ჩიკაგო–კოლამბუსი 0:1**

0:0, 0:1, 0:0

გოლი: 0:1 ბოლი-5 (ტოლეფსენი-1).

**დალასი–ბაფალო 1:2**

0:1, 1:0, 0:1

გოლები: 0:1 დ. რუა-17 (სტეფორდი-12, ვანეკი-17), 1:1 ბარნსი-8 (ნორსტრიომი-3, ნისკანენი-14), 1:2 დ. რუა-18 (ვანეკი-18, სტეფორდი-13).

**კოლორადო–მინესოტა 2:3**

1:2, 1:1, 0:0

გოლები: 0:1 ფედორუკი-2 (დემიტრა-19, შულტცი-7), 0:2 როლსტონი-17 (გაბორიკი-27, ნუმელინი-6), 1:2 ბრუნეტი-10 (ჰეიდუკი-18, ჰლინკა-15), 2:2 ვოლსკი-14 (სვატოსი-4, არნასონი-11), 2:3 დემიტრა-10 (ფოსტერი-7, შულტცი-8).

**ფინიქსი–ნეშვილი 4:3 (ო)**

1:0, 2:3, 0:0, 1:0

გოლები: 1:0 ერბატა-19 (რაინპრეხტი-17, სიოსტრიომი-9), 1:1 რადულოვი-17 (დუმონი-24, არნოტი-27), 2:1 ერბატა-20 (ტიარნკვისტი-4, ზ. მიხალეკი-8), 2:2 ჰევერლი-1 (ფიდლერი-12, ნიკოლი-5), 2:3 ერატი-15 (გელინასი-10, სატერი-16), 3:3 ერბატა-21 (რაინპრეხტი-18, ტიარნკვისტი-5), 4:3 ზ. მიხალეკი-2 (ერბატა-16, დოუნი-31).

**ლოს ანჯელესი–ანაჰაიმი 3:1**

1:0, 2:0, 0:1

გოლები: 1:0 კოპიტარი-19 (დ. ბრაუნი-16, ვიშნოვსკი-23), 2:0 დ. არმსტრონგი-6 (პურსელი-1, მოდრი-5), 3:0 ფროლოვი-11 (დ. არმსტრონგი-16, მოულსონი-2), 3:1 რ. ნიდერმაიერი-4 (ბოშემენი-16).

**სან ხოსე–სენტ ლუისი 4:1**

0:0, 1:0, 3:1

გოლები: 1:0 მ. მიხალეკი-17 (ჯ. ტორნტონი-43, მ. კარლი-11), 2:0 ჩიჩუ-8 (მ. მიხალეკი-14, ჯ. ტორნტონი-44), 3:0 ბერნიე-13 (მარლო-17, რივე-18), 3:1 ბოიესი-29 (ე. მაკდონალდი-23, კარია-32), 4:1 ჩიჩუ-9 (მ. მიხალეკი-15, ჯ. ტორნტონი-45).

## ჩოგბურთი

### ახალი ვარსკვლავი

# ფრანგული ჩოგბურთის მუჰამედ ალი

## ჟო-ვილფრედ ცონგამ კუერტენის რეკორდი გაიმეორა

ავსტრალიის ღია პირველობა ჯერ არ დასრულებულა, მაგრამ "დიდი სლემის" პირველი ჩემპიონატი უკვე აქედანვე შეგვიძლია სენსაციად მოვნათლოთ. ბევრისთვის უცნობმა ფრანგმა ჟო-ვილფრედ ცონგამ ესპანელი რაფაელ ნადალი დაამარცხა და ფინალში თამაშის უფლება მოიპოვა.

თავისი სენსაციური გამოსვლით, ცონგამ ATP-ის რამდენიმე რეკორდი დაამყარა. 1997 წლიდან მოყოლებული, ის გახდა პირველი ჩოგბურთელი, რომლის ATP-ის ტურში პირველივე ფინალი "დიდი სლემის" ტურნირის გადამწყვეტი მატჩი აღმოჩნდა. შეგახსენებთ, რომ 11 წლის წინ, ბრაზილიელმა გუსტავო კუერტენმა როლან გაროსის გადამწყვეტ მატჩში ესპანელი სერხი ბრუგერა დაამარცხა. ეს იყო გუგას კარიერაში პირველი ფინალი.

ჟო-ვილფრედი ATP-ის ისტორიაში მე-13 ჩოგბურთელია, რომელმაც "დიდი სლემის" ფინალს ისე მიაღწია, რომ მანამდე პროფესიულ ტურში ხუთზე მეტი ტურნირი არ ჰქონდა ნათამაშები.

ცონგა აგრეთვე მოხვდა ავსტრალიის ღია პირველობის ისტორიაში 19 ყველაზე ახალგაზრდა ფინალისტს შორის. მისი ასაკია 22 წელი და 285 დღე.

დაბოლოს, ცონგა მესამე ფრანგი ჩოგბურთელია, რომელიც ავსტრალიის ღიას ფინალში ითამაშებს. 1928 წელს, ლეგენდარულმა ჟან ბოროტრამ გადამწყვეტ მატჩში მასპინძელი ჯეკ კამინგსი დაამარცხა. 2001 წელს კი, არნო კლემანმა სამ სეტში წააგო ამერიკელ ანდრე აგასისთან.

ამ ჩამონათვალის შემდეგ, უპრიანია უფრო ახლოს გავიცნოთ თანამედროვე ჩოგბურთის ახალი ვარსკვლავი.

2008 წლის პირველ კვირას, **ჟო-ვილფრედ** ცონგამ ადელაიდის ტურნირის ნახევარფინალში გაააღწია, სადაც გზად ავსტრალიის მთავარი იმედი, **ლეიტონ ჰიუიტი** დაამარცხა. ცონგა ამით არ დაკმაყოფილდა და უკვე სიდნეიში, თანამემამულე **რიშარ გასკესთან** წყვილში, კარიერაში მეორე ტიტული მოიპოვა, თანაც ფინალში ფრანგულმა დუეტმა ძმები **ბრაიანების** ვარსკვლავურ წყვილს მოუგო. შავკანიანი ფრანგი სწრაფი ნაბიჯებით მიიწევს რეიტინგის უმაღლესი საფეხურებისკენ, სრულყოფს თავის თამაშს და ყველანაირ ბარიერს უკან იტოვებს.

*"ძალიან ძნელი იყო, მაგრამ მე ეს შევძელი!"* - აღიარა დაღლილმა, მაგრამ საკუთარი თავით კმაყოფილმა ცონგამ, როცა 2007 წლის ივნისში, ერთდროულად ბრწყინვალედ გამოვიდა სურბიტონის "ჩელენჯერში" და ლონდონური ტურნირის, Queen's Club-ის კვალიფიკაციაში. ალბათ, ამ მომენტიდან დაიწყო ნიჭიერი ფრანგის აღმასვლა. რამდენად შორს წავა ის, ამას დრო გვიჩვენებს, მაგრამ ჩოგბურთელის ხასიათის თავისებურებები და მისი ბიოგრაფიის ცალკეული ფურცლები იმის თქმის უფლებას გვაძლევს, რომ ჩვენს წინ არის ფრანგული ჩოგბურთის ახალი ვარსკვლავი. ბოლოს და ბოლოს, ATP-ის ტურში კოლეგებმა ცონგას **მუჰამედ ალი** შეარქვეს და ეს არა მხოლოდ მათი გარეგნული მსგავსების გამო მოხდა.

ჟო-ვილფრედ ცონგა 1985 წლის 17 აპრილს, ქალაქ ლე მანში დაიბადა. მამამისი იქ კონგოდან ჩავიდა სამუშაოდ. თავის დროზე, ის კონგოს ხელბურთელთა ნაკრების წევრი იყო. ჩოგბურთელის დედა კი, სკოლის მასწავლებლად მუშაობდა. ცონგამ 7 წლის ასაკში დაიწყო მამასთან ერთად ჩოგბურთის თამაში. ფრანგი სავარჯიშო კლუბებსა და მწვრთნელებს იცვლიდა, მაგრამ ნელ-ნელა იმაღლებდა ოსტატობას. 14 წლისამ პირველ დიდ წარმატებას მიაღწია - თავის ასაკობრივ ჯგუფში საფრანგეთის ჩემპიონი გახდა.

ამის შემდეგ, ჟოს კარიერაში წინსვლის პერიოდი დაიწყო. იუნიორთა დონეზე ის თითქმის ყველაფერს იგებდა და კარგად გამოდიოდა "დიდი სლემის" იუნიორთა ჩემპიონატებში. სხვათა შორის, 2003 წელს მან აშშ-ის ღია პირველობაც კი მოიგო, როცა ფინალში კვიპროსელი **მარკოს ბაღდატისი** დაამარცხა. სპეციალისტებმა ფრანგს ყურადღება მიაქციეს. მას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ იუნიორული ასაკიდან დიდებში გადასვლის პერიოდში, ტრავმებმა იჩინეს თავი.

2004 წლიდან მოყოლებული, ჟო-ვილფრედმა ყოფილ ფრანგ ჩოგბურთელთან, **ერიკ ვინოგრადსკისთან** დაიწყო თანამშრომლობა. თავად ერიკს თავის კარიერაში მნიშვნელოვანი წარმატებისთვის არ მიუღწევია და არასოდეს ასულა რეიტინგში 89-ე პოზიციის ზემოთ. ვინოგრადსკი და ცონგა დღემდე ნაყოფიერად მუშაობენ.

2004 წლის დასაწყისში ჟოს ტრავმების მთელი სერია ჰქონდა. ფეხის, ხელის, მუხლის დაზიანებებმა მას ნახევარი წელი არ მისცეს კორტზე გასვლის საშუალება. მხოლოდ ივნისში შეძლო მან თამაშის განახლება და თავის კარიერაში პირველი "ფიუჩერსი" მოიგო, რომელიც ესპანეთში გაიმართა. მოგვიანებით კი, ნოტინგემისა და ტოლიატის "ჩელენჯერებში" იმარჯვა. იმავე წლის სექტემბერში, ცონგას დებიუტი ჰქონდა ATP-ის ტურში - პეკინში ის საკმაოდ წარმატებით გამოვიდა. ძირითად ბადეში კვალიფიკაციიდან მოხვედრილმა ფრანგმა **კარლოს მოიას** მოუგო, რომელიც იმ მომენტში მეექვსე ადგილს იკავებდა ATP-ის რეიტინგში. სეზონის ბოლოს, ფრანგმა კიდევ ერთხელ გაიბრწყინა პროფესიულ ტურში, ამჯერად პარიზის "მასტერსზე". მან ამჯერადაც გაიარა კვალიფიკაცია და პირველ წრეში ხორვატ **მარიო ანჩიჩს** აჯობა, თუმცა მეორე წრეში არგენტინელ **გილერმო კანიასთან** დამარცხდა.

2005 წლის სეზონის წინ, ჟო-ვილფრედს ხერხემლის დისკებს შორის გრიჟა აღმოუჩინეს. მან მხოლოდ თებერვალში შეძლო ვარჯიშების განახლება. მარტში ცონგამ მექსიკაში "ჩელენჯერი" მოიგო, მაგრამ ტურნირის მსვლელობისას მხარის ტრავმა გაიმიზეზა და იძულებული გახდა, ორი თვე უარი ეთქვა ვარიჯშებზე.

გამოჯანმრთელების შემდეგ, ფრანგმა როლან გაროსის ორგანიზატორებისგან უაილდ-ქარდი მიიღო და პირველივე წრეში ურთულესი მეტოქე შეხვდა - ამერიკელი **ენდი როდიკი**. ეს უკანასკნელი თიხნარზე არასოდეს ბრწყინავდა, მაგრამ არც ცონგას თამაშია ასეთი საფარის კორტისთვის ზედგამოჭრილი. ენდიმ ის შეხვედრა ძალიან იოლად მოიგო.

კორდობას "ჩელენჯერზე" კვლავ ხერხემლის ძველმა ტრავმამ იჩინა თავი და ამას ისევ რამდენიმეთვიანი იძულებითი პაუზა მოჰყვა. ჟო სექტემბერში დაბრუნდა, მაგრამ საფრანგეთში "ფიუჩერსის" სერიის ტურნირის მეორე მატჩში იძულებული გახდა თამაში შეეწყვიტა. ისევ მხარის ტრავმა. მოკლედ, კოშმარული წელი იყო. ასე გაგრძელდა მომდევნო სეზონში, როცა ცონგამ ხუთი თვე გამოტოვა ზურგის და პრესის კუნთების ტრავმების გამო. ისე ჩანდა, რომ ეს შავი სერია არასოდეს დასრულდებოდა.

2007 წელს, როგორც იქნა ფრანგის პრობლემები წარსულს ჩაბარდა. ჯანმრთელობა ნორმაში მოვიდა და მან პროფესიულ ჩოგბურთში პირველი სრულფასოვანი სეზონი ჩაატარა. წლის დასაწყისში ცონგამ ავსტრალიის ღია პირველობის უაილდ-ქარდი მიიღო და კვლავ არ გაუმართლა წილისყრის თვალსაზრისით. პირველივე წრეში ისევ ენდი როდიკი ერგო. ეს იყო ტურნირის ერთ-ერთი პირველი მატჩი და ის მნიშვნელობით მეორე კორტზე - Vodafone Arena-ზე გაიმართა. მაყურებელმა ძალიან საინტერესო და ლამაზი შეხვედრა იხილა. ფრანგმა შესანიშნავად დაიწყო - პირველი სეტი მარათონული ტაი-ბრეიკით მოიგო - 20:18. მეორე პარტიაში 5:2 იგებდა, მაგრამ მალე გამოჩნდა ამერიკელის უფრო მაღალი სათამაშო კლასი, რომელმაც შეძლო შეხვედრის გადარჩენა.

საბოლოოდ, ჟოს ნიჭი სეზონის შუაში წარმოჩინდა - ფრანგმა შთამბეჭდავი სერია გამოაცხო, როცა 31 მატჩიდან, 30 თავის სასარგებლოდ დაასრულა. თუმცა ეს იყო ძირითადად "ჩელენჯერებზე" მოგებული შეხვედრები. ერთ-ერთი ტრიუმფი სურბიტონის ტურნირზე დაფიქსირდა.

ისე მოხდა, რომ ამ "ჩელენჯერის" ნახევარფინალური და ფინალური მატჩები ლონდონის ტურნირის საკვალიფიკაციო შეხვედრებს დაემთხვა, ამიტომაც, ფრანგს დღეში ორი მატჩის გამართვა და წინ და უკან გადაადგილება უწევდა. *"პირველი მატჩი შაბათს ვითამაშე, ეს იყო ლონდონში,* - იხსენებს ცონგა. - *შემდეგ*



*მანქანა ავიყვანე და სურბიტონში წავედი. იქაც ვითამაშე და ლონდონში დავბრუნდი, სადაც კვალიფიკაციის მეორე წრე ჩავატარე. იგივე განმეორდა კვირას".* ასეთ დამქანცველ განრიგს ხელი არ შეუშლია მისთვის "ჩელენჯერიც" მოეგო და ლონდონის ტურნირის ძირითად ბადეში გასულიყო. იქ კი, წილისყრამ გაუმართლა და Queen's Club-ის პირველ წრეში დანიელ **კრისტიან პლესს** შეხვდა. ამ უკანასკნელის დამარცხების შემდეგ, ცონგას ლონდონის ტურნირის მოქმედ ჩემპიონთან, ლეიტონ ჰიუიტთან უწევდა შეხვედრა.

ფრანგმა ნერვიულობას გაუძლო და თავისი საუკეთესო ჩოგბურთი აჩვენა. ავსტრალიელმა ზედიზედ ორი ტაი-ბრეიკი წააგო და ტურნირს გამოეთიშა. მატჩის შემდეგ, ჟომ განაცხადა, რომ ეს იყო მისი კარიერის ყველაზე მნიშვნელოვანი გამარჯვება. მაგრამ წარმატების განვრცობა ცონგამ ვერ შეძლო, დაღლილობა იგრძნო და მერვედფინალი წააგო ხორვატ **მარინ ჩილიჩთან**.

ლონდონური წარმატების გამო, ფრანგს უიმბლდონის უაილდ-ქარდი მისცეს, რაც მისთვის სასიამოვნო სიურპრიზი აღმოჩნდა. *"მწვრთნელმა ინგლისის ფედერაციას უაილდ-ქარდი სთხოვა, თუმცა ამის შესახებ მე არაფერი მითხრა. ასე რომ, ეს დიდი სიურპრიზი აღმოჩნდა ჩემთვის. ძალიან გახარებული ვიყავი",* - ჰყვებოდა თავის პირველ უიმბლდონურ ინტერვიუში ჟო.

ცონგას ამ უდიდეს ტურნირზე თავის გამოჩენის შანსი მიეცა. მას ჯანმრთელობა აღარ აწუხებდა, სატურნირო ბადის მხრივაც გაუმართლა და ფრანგმა შეძლო მთელი თავისი შესაძლებლობების წარმოჩენა. სეტის წაუგებლად აჯობა **ჟულიენ ბენეტოს, ნიკოლას ლაპენტისა** და **ფელისიანო ლოპესს**, რითაც მერვედფინალში ამოჰყო თავი. მაგრამ იქ ვერანაირი წინააღმდეგობა ვერ გაუწია თანამემამულე რიშარ გასკეს. მიუხედავად ამისა, უიმბლდონზე გამოსვლის შემდეგ, ცონგა პირველად შევიდა ATP-ის რეიტინგის საუკეთესო ასეულში.

ფრანგმა ამერიკის ღია პირველობაზეც კარგად წარმოაჩინა თავი. ის მესამე წრემდე მივიდა, წინა ეტაპზე კი, ბრიტანელი **ტიმ ჰენმანის** დამარცხება შეძლო.

წლის ბოლოს, ცონგამ წყვილთა თანრიგში კარიერაში პირველი ტიტული მოიპოვა. ლიონში **სებასტიან გროსჟანთან** ერთად გაიმარჯვა, ერთეულთა თანრიგში კი, ნახევარფინალს მიაღწია, სადაც წყვილში თავის პარტნიორთან წააგო. 2007 წელი ცონგამ საუკეთესო 50 ჩოგბურთელს შორის დაასრულა.

როგორც ჩანს, წლევანდელი წელი გარდამტეხი იქნება ჟოს კარიერაში. ადელაიდაში ბრწყინვალე გამოსვლის შემდეგ, მან ავსტრალიის ღიას ფინალში თამაშის უფლება მოიპოვა. ცონგას შანსი აქვს, 8-10 თებერვალს საფრანგეთის ნაკრების შემადგენლობაში დევისის თასზე პირველად ითამაშოს, რაც მას პეკინის ოლიმპიადაზე გამოსვლის საშუალებას მისცემს.


**სპორტული გაზეთი**

მთავარი რედაქტორი
**თენგიზ გაჩეჩილაძე**

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიგილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ ბრძელიძე, მამუკა ძანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაჟელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიგილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიმშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

**სპორტი**
გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი: საქართველოს ოლიმპიური ფონდი

ახმეტელის 10ა, 0159 თბილისი (დიღომი, ახალი კონსტუდია, პირველი სართული);

ტელეფონი: 46 30 98
46 30 56. 46 32 62
899 55 48 97 (მთ. რედაქტორი)
53 39 11

ფაქსი +995. 32 46 30 97

e-mail: sporti@sporti.ge
ინდექსი 66435 INDEX

**გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა**